PRIME Time
N11 (312) ორშაბათი, 23 მარტი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge




EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015
Coca-Cola PROUD PARTNER



# მომღერალს მეგობრის მკვლელობაში ადანაშაულებენ

CRIMINALSCANDAL

სოსო პავლიაშვილს ბრალს დაუსწრებლად წაუყენებენ?!

„ჩემი შვილის მკვლელი ქალეხის სუფრასთან მეჯდა“



# ლაშა ნაცვლიშვილი თბილისში დაბრუნდა

EXCLUSIVE

რა სკანდალურ საქმეებში უყენებენ მას ბრალს და ექნება თუ არა ამ საქმეებს გაგრძელება



# ზოია ვაზაგაშვილი აფეთქებაში ეჭვმიტანილებს ასახელებს

SCANDAL

„ძმაკაცები ყოფილან, ორივე პოლიციაში მუშაობდა ადრე. ერთ-ერთი სააკაშვილის დაცვაშიც მსახურობდა. ორივე ძმას კარგად იცნობდა სოსანაშვილი“

სკანდალური ინტერვიუ იური ვაზაგაშვილის დასთან

# EXCLUSIVE



# საიდუმლო გეგმა და ფარული შეხვედრები

რისთვის ხვდებიან ალასანია და სააკაშვილი ერთმანეთს ბრიუსელში

## როგორ შემოაქვთ ნაციონალებს ფული საქართველოში

EXCLUSIVE

**გივი თარგამაძე:** „ჩვენ უკვე დავიწყეთ ეს პროცესი... გამოყენებული იქნება ჩვენი ფრონტი პარლამენტში“

**მიხეილ მაჭავარიანი:** „ამ გეგმაში თავისუფალი დემოკრატების იმედი გვაქვს“

**გია ხუხაშვილი:** „არ გამოვრიცხავ, ნაციონალები დიპლომატიური არხებითაც აგვარებდნენ ფინანსებს“

პროკურატურა სააკაშვილისთვის ახალი ბრალის წარდგენისთვის ემზადება



„ეს უკვე ვერდიქტია! ამით ნაციონალების კნავილი, მათი თითქოსდა პოლიტიკურად დევნის თაობაზე, დასრულებულია“

EXCLUSIVE

„ოსკარის“ ნომინაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართულმა კინომ ღირსეულად გააგრძელა უძველესი ტრადიცია




EXCLUSIVE

„დანერგე მომავალი“ ახალი პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან



**ოთარ დანელია:** „ეფექტი იქნება ძალიან სწრაფი და ძალიან მალე. დაახლოებით 3 წლის თავზე კი უკვე პროექტის შედეგსაც მივიღებთ“



# ოქროყანაში მომხდარი სკანდალური ინციდენტის დეტალები

exclusive

როგორ და საიდან ჟონავს ინფორმაციები და რას ჰყვება პატრულის მიერ დაკავებული პირი

„ოქროყანის გზაზე გაგვაჩერეს, მოგვმართეს უხეშად, – რომ გეძახით, არ გესმითო?.. ხელი კრა ჩემს ძმას, მოგვმართავდნენ ქუჩური ტერმინოლოგიით“



# კახა ცხადაძის პირველი სკანდალი - გიორგი მერებაშვილი მის ნაკრებში არ ითამაშებს

exclusive

GOSSIP

## თეა თუთბერიძის სკანდალური სტატუსი

რატომ უწოდა მან ნაციონალებს „ჩმორი“

## არმაზ ახვლედიანმა პოლიტიკა დატოვა

ვინ ლობირებდა მას და რას ამბობენ კულისებში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დღის ფოტო





# პროკურატურა სააკაშვილისთვის ახალი წარდგენისთვის



## „ეს უკვე ვერდიქტია! ამით ნაციონალების კნავილი, მათი თითქოსდა პოლიტიკურად დევნის თაობაზე, დასრულებულია“

ქეთი ხატიაშვილი

**ექსპერტების დასკვნა ერთმნიშვნელოვანია – სააკაშვილსა და სხვა მაღალჩინოსნებს პროკურატურა ბრალს უკვე მალე წაუყენებს და ეს ბრალი დასავლეთის სტანდარტებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი. ამის თქმის საფუძველს მათ შაბათს პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადება აძლევთ. ექსპერტების განმარტებით, ავტორიტეტული უცხოელი პროკურორების რეკომენდაცია სწორედ იმას ნიშნავს, რომ ქართულ მხარეს უკვე აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისთვის, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.**

**პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში წერია:**

„პროკურატურის მრჩეველთა ჯგუფმა საქმეზე მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რამდენიმეთვიანი შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ 2007-2012 წლებში საქართველოს მთავრობის ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო სამთავრობო ინსტიტუტების გამოყენებით არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის კუთვნილი ქონების უკანონოდ ჩამორთმევისკენ, ასევე, 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, რა დროსაც მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ მოხდა ძალის გამოყენება, დასკვნის მიხედვით, აღნიშნული საკმარისია ბრალდების მხარდაჭერისთვის და სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა გაგრძელდეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ივანე მერაბიშვილის, თავდაცვის ყოფილი მინისტრის



# გივი თარგამაძე: „პარლამენტშიც მოხდება ინიცირება მთავრობის გადაყენების მოთხოვნით“

**გივი თარგამაძე თავის დაკავებას გამორიცხავს და აცხადებს, რომ თავიდან ბოლომდე კანონმდებლობა იცავს.**

**გივი თარგამაძე, ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი:**

– გვაქვს ჩამოყალიბებული მიზანი: მთავრობის გადაყენება. ჩვენ უკვე დავიწყეთ ეს პროცესი და მიზნის მისაღწევად ყველა კონსტიტუციურ საშუალებას გამოვიყენებთ. ეს იქნება აქციები, გამოყენებული იქნება ჩვენი ფრონტი პარლამენტში, იქნება ხელმოწერების შეგროვება, საზოგადოებრივი აქტიურობები.

**– ხელმოწერების შეგროვება მთავრობის გადაყენებისთვის?**

– დიახ, პარლამენტშიც მოხდება ინიცირება, მთავრობის გადაყენების მოთხოვნით. საბოლოო ჯამში, ამ მიზანს მივაღწევთ. ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას ტექნიკური მთავრობა, რომელიც ორი მიმართულებით იმუშავებს. ერთი – ეს არის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, და მეორე – ეს არის საარჩევნო გარემოს დემოკრატიზაცია. ამის შემდეგ უნდა მოხდეს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა და სწორედ იქ გამოჩნდება შედეგები.

**– ტექნიკური მთავრობის მუშაობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ჩვენ არ ვთვლით, რომ ახლა გვაქვს ხალხის მანდატი მთავრობაში მონაწილეობისთვის, მაგრამ ტექნიკური მთავრობა ნამდვილად არ უნდა დააკომპლექტოს ბიძინა ივანიშვილმა. ეს უნდა იყოს ნორმალური ადამიანებისგან შემდგარი, რომლის მუშაობასაც ჩვენ ხმას მივცემთ.

**– თქვენი მისამართით ძალიან ბევრი კითხვაა...**




– მე კანონმდებლობა მიცავს თავიდან ბოლომდე, ამიტომ ვურჩევ პრემიერს, სანამ რამეს იტყვის, დაფიქრდეს. იცით, სინამდვილეში ამ ადამიანებმა არ იციან წერა-კითხვა, არ იციან კანონები. ჯერ რაღაცას დააბრეხვებენ ხოლმე და შემდეგ იწყებენ იმაზე ფიქრს, რამდენად რეალისტურია. მართალია, ამ ილუზიებმა ბოლოს გადაუარეს, მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენ სიმართლეს მივაღწევთ. ბოლო შემთხვევასთან დაკავშირებით პირადად მე იმედი მაქვს არასამთავრობო ორგანიზაციების, იგივე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობის. ჩვენ დავიცავთ რუსლან ბაზიაშვილის უფლებებს და აღვადგენთ მას სამსახურში. აუცილებლად მოვახდენთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ინიცირებას იმ ფაქტზე, რომელიც სინამდვილეში გამოსაძიებელია. უნდა გაეცეს კითხვებს პასუხი, როგორ გადააპარა ხელისუფლებამ პოლიციის თანამშრომლის მკვლელი ქურდული სამყაროს წარმომადგენელი საზღვარზე.



**„ჩვენ არ ვთვლით, რომ ახლა გვაქვს ხალხის მანდატი მთავრობაში მონაწილეობისთვის“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




დავით კეზერაშვილის, ყოფილი მთავარი პროკურორის ზურაბ ადეიშვილისა და თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას წინააღმდეგ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის“.

„იმედის“ დარბევის თემაზე დაიკითხა ყველა, მათ შორის, ვალერი გელბახიანი, გიორგი თარგამაძე, დიანა ტრაპაიძე... ახალმა ხელისუფლებამ, თეა წულუკიანის ინიციატივით, სტასბურგიდანაც გამოითხოვა საქმე. გიორგი ახვლედიანის განმარტებით, საქმე მან ადვოკატ ია მუხაშავრიას დახმარებით შეიტანა, თუმცა, თეა წულუკიანმა, როგორც იუსტიციის მინისტრმა, ჩათვალა, რომ „იმედის“ დარბევის თემას ახალი ხელისუფლება გამოიძიებდა, ამიტომაც ეს საქმე თბილისში დაბრუნდა.

**მაშინ ჟურნალისტი და ახლა პოლიტიკოსი გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო პროკურორების რეკომენდაცია ძალიან სერიოზული განცხადებაა:**

– ამით ნაციონალების კნავილი, რომ თითქოს მათ წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს, უნდა დასრულდეს. ამ განცხადებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობით მიმდინარეობს და არანაირი შერჩევით სამართალსა და პოლიტიკურ დევნას არ აქვს ადგილი.

ვალერი გელბახიანის განმარტებით, ამ საქმეში დაზარალებულად მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი არ უნდა გამოცხადდეს: „ყველაზე მეტად მისი თანამოაზრეები დაზარალდნენ, არანაკლებად დავზარალდით ჩვენც და გამოძიება ამ მიმართულებითაც უნდა წარიმართოს“, – განმარტავს გელბახიანი. მისი თქმით, ძიების მასალები მთლიანად დაკარგულია, ანუ საქმე, რომელიც სააკაშვილის დროს აღიძრა, აღარ არსებობს. თავად პროკურატურამ რამდენიმე ხნის წინათ დაკითხა მხოლოდ „იმედის“ დარბევის კუთხით. ყოფილი დეპუტატი გამოძიებას ურჩევს, მთლიანი პროცესით დაინტერესდეს.

ლევან ალაფიშვილის განცხადებით, თუკი საკმარისი მტკიცებულებები იქნება უზრუნველყოფილი, გამოძიებას სრული პასუხი ექნება. და რადგანაც მრჩევლების რეკომენდაცია გამოძიების გაგრძელებას დასაშვებად მიიჩნევს, გამოდის, რომ გარკვეული მტკიცებულებები არსებობს და ახლა გამოძიებამ სრული მტკიცებულებები უნდა წარადგინოს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ის შეძლებს, მაღალი რანგის პირების, ვისი ბრალეულობაც გამოიკვეთება და დადასტურდება, ბრალი წაუყენოს ან დაუმძიმოს.

გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს რომ განცხადებაში ჩამოთვლილი პირები სხვადასხვა საქმეში სხვადასხვა ფორმითა და დოზით მონაწილეობდნენ ბადრი პატარკაციშვილის გაკოტრებაში.

საერთაშორისო ჯგუფი 2014 წლის ივლისში მთავარი პროკურორის ინიციატივით შეიქმნა იმ მიზნით, რომ აქტიურად შეესწავლა მთავარი პროკურატურის მიერ მიწოდებული მასალები, რომლებიც მოიცავდა მოწმეთა ჩვენებებს, ექსპერტიზის დასკვნებს, სასამართლო ოქმებს, საქართველოს კანონმდებლობასა და შესაბამის მასალებს. პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფში გაწევრიანებული არიან: სერ ჯოფრი ნაისი (გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ადვოკატი), მოშე ლადორი – ისრაელის სახელმწიფოს ყოფილი მთავარი პროკურორი და პოლ კოფი – ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილი უფროსი.

# ხელისუფლების გადაყენების გეგმა ცნობილია




## რა შეხვედრებს გამართავენ ბრიუსელში სააკაშვილი და ალასანია










ქეთი ხატიაშვილი

**21 მარტის აქციის მთავარი ინტრიგა ის არ იყო, რამდენ ხალხს მოუყრიდა თავს „ნაციონალური მოძრაობა“. ბოლოს და ბოლოს, ის მთავარი ოპოზიციური ძალაა, ვისაც პოლიტიკაში არც კრიატიულობა აკლია, არც ორგანიზება უჭირს და არც ფინანსები ენანება, მოკლედ, გამართული სისტემაა. ამიტომაც, ეს სულაც არ იყო აქ მთავარი. მთავარი ინტრიგა ის იყო, ეს აქცია მხოლოდ ნაციონალური აქტივისტებისა იქნებოდა თუ ხალხიც გაიზიარებდა მას. როგორც არ უნდა ატრიალონ ახლა ციფრები და მათემატიკა, ფაქტია – ხალხი აქციაზე არ იყო. ეს პარტიული აქტივისტების შეკრებას უფრო ჰგავდა.**

ამიტომაც, როგორც არ უნდა იჭიდაონ ახლა ციფრებით, აზრი არ აქვს. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რამდენი აქტივისტი ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“. 12 ათასი, როგორც ამას ირაკლი სესიაშვილი ამბობს, თუ 50 ათასი, როგორც მიტინგზე ნიკა მელიამ გამოაცხადა. 50 ათასი, რა თქმა უნდა, ძალიან გადაჭარბებულია, ნაციონალები თავისუფლების მოედნის შესავსებად, როგორც ჩანს, ჯერ მზად არ არიან. ეს რეალობაა.

საინტერესოა, რომ რევოლუციურმა გეგმამაც სწორედ აქ გაიჟღერა: პერმანენტული აქციები; პარლამენტში ხელმოწერების შეგროვება და ვადამდელი არჩევნები. ოპოზიციის ლიდერშიფი დარწმუნებულია, რომ მომავალ არჩევნებამდე მთავრობა გადადგება და ტექნიკური მთავრობა „შავ საქმეს“ გააკეთებს.

მართალია, მიტინგზე ნაციონალები საკუთარი აქტივისტების ამარა იყვნენ და სხვა პარტიებმა ისინი დააიგნორეს, მაგრამ ეს ქუჩაში. ნაციონალებს იმედი აქვთ, რომ ამ გეგმას თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია შეუერთდება. ამის შესახებ პირდაპირი განცხადებებიც კეთდება.

მიხეილ მაჭავარიანის განმარტებით, პარლამენტში მთავრობის გადაყენების პროცედურები დაიწყება და: „ჩვენ გვჭირდება 60 დეპუტატი და ვნახოთ, ვინ შემოგვიერთდება. სახელისუფლებო გუნდის იმედი არ გვაქვს. რაც შეეხება „თავისუფალ დემოკრატებს“, აქ უფრო იმედიანად ვართ“.

საქმე ის გახლავთ, რომ მთავრობის უნდობლობის საკითხის დასაყენებლად ოპოზიციას მართლაც სჭირდება 60 დეპუტატის ხელმოწერა, ხოლო უკვე გადასაყენებლად – 7 დეპუტატი.

და ექსპერტების მთელი ჯგუფი კიდევ ერთხელ გადაეშვა მათემატიკაში. ოფიციალურად „ნაციონალურ მოძრაობას“ 51 დეპუტატი ჰყავს, ალასანიას მხოლოდ – 8. მათი ჯამი კი 59-ია და არა 60.

ეს ის შემთხვევაა, როცა პოლიტიკურ ვაჭრობას ფართოდ გაეხსნება კარი. ახლა თითოეული ხმის ფასი ძალიან აიწევს. პროცედურის დაწყებას, როგორც ჩანს, მაშინ გეგმავენ, როცა პარლამენტში მთავრობა გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შეიტანს. ანგარიში კანონმდებლებმა რამდენიმე კვირაში უნდა მიიღონ, თუმცა მისი განხილვა ზაფხულამდე შეუძლიათ.

## და როდის დატოვებენ პარლამენტს ბოიკოტით

სწორედ მაშინ აპირებენ ნაციონალები ხელმოწერების შეგროვებას და ნდობის საკითხის დაყენებას. ექსპერტები აქ ნაციონალებს წარმატებას არ უწინასწარმეტყველებენ, თუმცა, თავად ნაციონალები ძალიან ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

როგორც ჩანს, ალასანიას იმედი შემთხვევით არ აქვთ. 21 მარტის აქციას ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელიდან საღამოს ჩაერთო. იმავე დღეს, გამთენიისას ალასანიამ თბილისი დატოვა და ბრიუსელში გაემგზავრა. ერთ-ერთი ინფორმაციით, ალასანია და სააკაშვილი იქ ერთმანეთს შეხვდებიან. ვარაუდობენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის გეგმაზეც ექნებათ საუბარი.




სხვათა შორის, ახალი წლების შემდეგ „პრაიმტაიმის“ პაპარაციმ ირაკლი ალასანია „თბილისი მარიოტში“ გიგა ბოკერიასთან ერთად ნახა. თუმცა, მაშინ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა თქვეს: არანაირი შეხვედრა დაგეგმილი არ ყოფილა, აქ ერთმანეთს შემთხვევით შევხვდითო.

ახლა „შემთხვევით“ შესაძლოა, ისინი ბრიუსელშიც გადაიკვეთონ.

გეგმა შემუშავებულია. ნაციონალებს პოლიტიკაში მუშაობის სერიოზული სტაჟი აქვთ. მათ კარგად იციან, რამდენად შეიძლება ქუჩის აქციებმა უკვე პარლამენტში ვითარება სრულიად შეცვალოს. ამიტომაც გეგმავენ ისინი, როგორც ჩანს, პერმანენტულ ქუჩის აქციებს.

ასე რომ, ნაციონალები ახალ რევოლუციურ პროცესს იწყებენ... თუმცა, ექსპერტების ვარაუდით, ნაციონალები ამ ხმაურით მხოლოდ პოლიტიკური გავლენისთვის იბრძვიან ახლა და ხელისუფლებაში დაბრუნებას ვერ მოახერხებენ. არ გამორიცხავენ, რომ მათ რადიკალურ ნაბიჯებსაც მიმართონ და საპარლამენტო მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადონ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რადიკალიზმით გავლენები შეინარჩუნონ და პოლიტიკურ ამინდზე ზემოქმედება მოახდინონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანაკლიის პიარკამპანიაში გახარჯული მილიონებით საგამოძიებო ორგანო დაინტერესდა



## რეგიონებიდან ლაზიკაში 43 618 მგზავრის გადაყვანაზე გაფორმდა 10 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ 294 ათასი ლარი შეადგინა

## როლანდ ახალაიას ახლობელი ბიზნესმენის, სერიოჟა გვარამიას კუთვნილ კერძო კომპანია „სანის“, საერთო ჯამში, 22 მილიონ 36 ათასი ლარი გადაერიცხა

მირიან ბოქოლიშვილი

**მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს საზოგადოებას, ალბათ, კარგად ახსოვს ანაკლიასთან დაკავშირებული არაერთი პიარკამპანია. ზოგი ამას – ტურისტებისა და ინვესტორების მოზიდვას, ზოგი კი პრეზიდენტის მორიგ ახირებას უკავშირებდა. შემდგომი ეკონომიკური სარგებლის მიღების კუთხით, ძნელია იმის თქმა, რომ სახელმწიფომ ეს თანხები არამიზნობრივად გახარჯა, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოძიება რამდენიმე კომპანიასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა დააეჭვა და პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გაცემული თანხების კანონიერების შესწავლა დაიწყო.**

მაგალითად, საუბარია 2010 წელს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ 6 განკარგულებაზე, რომლის საფუძველზე როლანდ ახალაიას ახლობელი ბიზნესმენის, სერიოჟა გვარამიას კუთვნილ კერძო კომპანია „სანის“, საერთო ჯამში, 22 მილიონ 36 ათასი ლარი გადაერიცხა. ეს თანხა პრეზიდენტის განკარგულებით სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიისთვის გამოიყო, სანაპირო ზოლზე ბულვარის გაშენების, წყალმომარაგებისა და გარე განათების სამუშაოების ხარჯების დასაფარად. გუბერნატორის ადმინისტრაციამ კი ეს თანხა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება ახალაიებთან დაახლოებულ ბიზნესმენთან გააფორმა. როგორც გავარკვიეთ, ამ კომპანიის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 18 მილიონ 400 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შპს „სანის“ მიერ 2004 წლის 1-ლი იანვრიდან 2012 წლის 1-ელ ნოემბრამდე განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ყველა სახის ორგანიზაციულ-სამეურნეო და საბუღალტრო დოკუმენტაცია ამოიღო.

ბულვარის გაშენების შემდეგ დღის წესრიგში დადგა მისი საზეიმო გახსნის საკითხიც. ამ მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ნახევარი მილიონი ლარი გამოიყო. მიხეილ სააკაშვილის 2011 წლის 18 აგვისტოს განკარგულებით, ანაკლიის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის საზეიმო გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, სარეზერვო ფონდიდან გუბერნატორის ადმინისტრაციას გამოეყო 496 ათასი ლარი. თავის მხრივ, გუბერნატორის ადმინისტრაციამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ANAKLIA-GANMUXURI RESORTS“-თან. ხსენებულმა კომპანიამ კი ღონისძიებისთვის რამდენიმე ქვეკონტრაქტორი დაიქირავა. მაგალითად, შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“, რომელსაც 37 ათასი ლარი გადაერიცხა. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ღონისძიების პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მიხედვით საზოგადოებრივი მაუწყებელი ისედაც ვალდებულია, უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ (მათ შორის ახალი სანაპირო ბულვარისა და ამფითეატრის ვიდეოგადაღება და საზოგადოებისთვის მიწოდება). ამ და სხვა ფუნქციების შესასრულებლად მას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს შესაბამისი ასიგნება და გუბერნატორის ადმინისტრაციის მიმართვის შემთხვევაში ის ვალდებული იყო, პირდაპირი ეთერით უზრუნველყოფა განეხორციელებინა ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 13 ოქტომბრის განკარგულებით ანაკლიის, როგორც თავისუფალი ზონის პოპულარიზაციისთვის დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველსაყოფად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 202 ათასი ლარი გამოიყო. ეს თანხა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას გადაერიცხა, რომელმაც, ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულება გააფორმა შპს „არტ ბათუმთან“. შეთანხმების ოქმით, ანაკლიის თავისუფალი საკურორტო ზონის პოპულარიზაციის მიზნით 26 ოქტომბერს გასამართი ღონისძიება, ანაკლიის ნაცვლად, ქალაქ ბათუმში უნდა გამართულიყო. 2011 წლის 23 დეკემბერს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან „არტ ბათუმის“ ანგარიშზე კიდევ 403 ათასი ლარი მოხვდა. ამჯერად, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველყოფის მიზნით. 2012 წლის 27 ივლისის განკარგულების საფუძველზე კი „არტ ბათუმს“ 229 ათასი ლარი გადაერიცხა, ლაზიკაში საზეიმო ღონისძიების გამართვის ორგანიზების მიზნით. ამავე განკარგულებით, აღნიშნული ღონისძიება საპარლამენტო არჩევნების წინ, კერძოდ, 18 სექტემბერს უნდა გამართულიყო. ღონისძიების ჩატარების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებულია კიდევ 11 მეწარმე სუბიექტთან, მათ შორის ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სამეგრელოს სხვა დანარჩენი რეგიონებიდან ლაზიკაში 43 618 მგზავრის გადაყვანაზე გაფორმდა 10 ხელშეკრულება, რომლის ღირებულებამ 294 ათასი ლარი შეადგინა. ამჟამად, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ხსენებული ღონისძიებისთვის გამოყოფილი თანხების მითვისების ფაქტს სწავლობს, ვინაიდან საბოლოოდ ღონისძიება საერთოდ არ ჩატარდა.

2013 წლის 6 იანვრის სასამართლოს განჩინების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ასევე მთლიანად ამოღებულია გუბერნატორის ადმინისტრაციასა და შპს „CMD DOMINGO LAZARO INGENEROS“-ს შორის ურთიერთამსახველი სრული დოკუმენტაცია. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხსენებული კომპანიისთვის გადარიცხულია 394 ათასი ლარი.

**პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები საგამოძიებო სამსახურმა ამოიღო**




# ფულადი გზავნილების აქცია თიბისი ბანკისგან




**17.03.2015 დღეიდან თიბისი ბანკი ფულადი გზავნილების აქციას იწყებს. მათ, ვინც 17 მარტიდან 17 ივნისამდე თიბისი ბანკის და თიბისი კონსტანტას ფილიალებში ფულადი გზავნილების მომსახურებით ისარგებლებს, წამახალისებელი საჩუქრები გადაეცემათ.**

აქციაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, მომხმარებლებმა სამჯერ გააგზავნონ ან მიიღონ ფულადი გზავნილები თიბისი ბანკის ან თიბისი კონსტანტას ფილიალებში.

თიბისი ბანკის და თიბისი კონსტანტას ფილიალებში შესაძლებელია ყველა წამყვანი ფულადი გზავნილების სისტემით სარგებლობა, როგორებიცაა: Western Union, Contact, IntelExpress, ZolotayaKorona, Anelik, Ria , Money Gram და Unistream.

საერთაშორისო ფულადი გზავნილების გარდა სამთვიან წამახალისებელ აქციაში მონაწილეობას იღებს ასევე თიბისი ბანკის გზავნილების ახალი სისტემა მარდი.

ფულადი გზავნილების სისტემა - მარდი მოქმედებს საქართველოს მასშტაბით თიბისი ბანკისა და თიბისი კონსტანტას ფილიალებში.

მარდის მეშვეობით შესაძლებელია თანხის გაგზავნა და მიღება საქართველოს ნებისმიერ წერტილში, ანგარიშის გახსნის გარეშე, ყველაზე სწრაფად და ყველაზე დაბალი ტარიფით.

ისარგებლეთ თიბისი ბანკის ფულადი გზავნილების მომსახურებით და გახდით საჩუქრების მფლობელი!

Ⓐ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური ინტერვიუ იური ვაზაგაშვილის დასთან

# EXCLUSIVE

## ზოია ვაზაგაშვილი აფეთქებაში სავარაუდო ეჭვმიტანილებს ასახელებს

მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმი“ წინა ნომერში წერდა იური ვაზაგაშვილის საქმის ახალი ფიგურანტის შესახებ. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, დაკავებული გია სოსანაშვილის გარდა, შემთხვევის ადგილზე ამოღებულია კიდევ ერთი პირის, კონკრეტულად ქალის დნმ. ჩვენი ინფორმაციით, ეს პიროვნება გამოძიებამ უკვე ოთხჯერ დაკითხა. ამის შესახებ სოფელ ყარაფილაშიც კარგად იციან, ვინაიდან ის მეზობელი სოფლის მკვიდრი გახლავთ. ადგილობრივები ვაზაგაშვილის საქმესთან ამ ქალბატონის შემხებლობას გამორიცხავენ.**

ქრისუფლებსაც ფხიზლად ყოფნა უწევთ. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიცვალებულისთვის საფლავი დაკრძალვის წინა დღეს გაჭრეს, გამოდის, რომ სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია იმ დღეებში სულ მხედველობის არეში უნდა ყოფილიყო.

შეამჩნიეს თუ არა რაიმე საეჭვო გარემოება მელაძეების სახლიდან? ამის გასარკვევად ჩვენ პირადად მათთან ვიმყოფებოდით, თუმცა შინ, მცირეწლოვანი ბავშვის გარდა, არავინ დაგვხვდა. ყოველ შემთხვევაში ასე გვითხრა პატარა გოგონამ, რომელსაც უფროსების კოორდინატები არ აღმოაჩნდა(!).

ყარაფილაში გავარკვიეთ, რომ ძმები მამუკა და ზაზა მელაძეები წარსულში სამართალდამცავ უწყებაში მუშაობდნენ. მეტიც, ზოია ვაზაგაშვილი ამბობს, რომ მამუკა მელაძე მიხეილ სააკაშვილის დაცვაშიც მსახურობდა.

## „ძმაკაცები ყოფილან, ორივე პოლიციაში მუშაობდა ადრე. ერთ-ერთი სააკაშვილის დაცვაშიც მსახურობდა. ორივე ძმას კარგად იცნობდა სოსანაშვილი და პანაშვიდზეც რომ იყო, ეს კი იცით“

დაკავებული გია სოსანაშვილის გარდა, კიდევ ვის შეიძლებოდა ჰქონოდა შეხება ვაზაგაშვილის აფეთქებასთან? ამ მიზნით ჩვენ სოფელ ყარაფილას ვესტუმრეთ და იმ ქალბატონთან გასაუბრება ვცადეთ, რომლის დნმ შემთხვევის ადგილზე ფიგურირებს. მრავალი მცდელობის მიუხედავად, მან ჩვენთან საუბარი არ ისურვა, თუმცა გავესაუბრეთ სხვა ადგილობრივებს, რომლებიც მას დადებით პიროვნებად ახასიათებენ, დნმ-ს კვალს კი იმით ხსნიან, რომ იური ვაზაგაშვილის თხოვნითვე ის ვაზაგაშვილების სასაფლაოს უვლიდა.

ამავე პოზიციაზეა აწ გარდაცვლილის და, ზოია ვაზაგაშვილიც, რომელმაც ჩვენთან საუბრისას საკმაოდ საეჭვო და, შეიძლება ითქვას, სკანდალურ ვერსიაზე გაამახვილა ყურადღება. მის ნაამბობს თუ გავყვებით, ასეთი სურათი იხატება:

იმ დღეს იური ვაზაგაშვილი ყარაფილაში მცხოვრებ მელაძეების ოჯახში იმყოფებოდა გასვენებაში. მელაძეების სახლი, ზურაბ ვაზაგაშვილის საფლავიდან (იქ, სადაც იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს) დაახლოებით 100-150 მეტრში მდებარეობს. ამაღლებულ ფერდობზე მდებარე სასაფლაო პრაქტიკულად ამ სახლს გადაჰყურებს. შესაბამისად, სახლის მცხოვრებლებს სასაფლაოზე რაიმე საეჭვო გადაადგილება არ უნდა გამოჰპარვოდათ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სახლში მიცვალებული ასვენია და

**ზოია ვაზაგაშვილი, იური ვაზაგაშვილის და:**

– ძვირფასი ძმა მომიკლეს, სიმართლისთვის მებრძოლი ძმა. მთელ სოფელში მოიკითხეთ, თუ ერთი ვინმე მაინც გეტყვით აუგს.

**– ამბობენ, შემთხვევის ადგილზე ერთ-ერთი ქალის დნმ-ის კვალია აღმოჩენილიო...**

– ქალი აქ არაფერ შუაშია. ის მაგას არ გააკეთებდა. ეს ამბავი კვალის დასაფარად არის აგორებული. აქ ბიჭების ხელი ურევია და ურჩევნიათ, კარგად გამოიძიონ. იქ არავითარი ქალი არ ყოფილა. ვინც დადიან და ცდილობენ კვალის დაფარვას, სჯობს, იმათ მიხედონ. ისე ვარ გამწარებული, არავის დავინდობ. იმ დღეს იმ სოსანაშვილის და მოსულა აქ, სოფელში, კიდევ კარგი, აქ არ დავხვდი, თორემ თავს გავუტეხდი. დადიან ის და მისი ადვოკატი და აქ ხალხს ეუბნებიან, ჩვენება შეცვალეთო. საქმეში აქ მცხოვრები ბიჭების ხელი ურევია და ნუ დაფარავენ. გამოაცხადეს, რომ კიდევ ერთი ადამიანის დნმ აღმოაჩინეს და ეს არის ყოფილი პოლიციელიო. მე ძალიან კარგად ვიცი, ვინ არის ეს ყოფილი პოლიციელი, ამიტომ ჯობია, თავადვე თქვან ყველაფერი.

**– ვისზე გაქვთ ეჭვი?**

– ძალიან კარგად იციან უკვე, ვინც არიან და რა შეხება ჰქონდათ იმ სოსანაშვილთან. 75 წლის ქალი ვარ, აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, ამ ხნის განმავლობაში არ მსმენია, რომ მიცვალებული ორ საათზე ადრე გაესვენებინათ სახლიდან. არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირველ საათზე გაესვენებინოთ მიცვალებული. რატომ გაასვენეს მათ დედამისინაადრევად?! გამცენ პასუხი. ეს წარმოუდგენელია.



**– ანუ რაზე მიანიშნებთ?**

– კი არ მივანიშნებ, ვკითხულობ, რა საჭიროება იყო, რომ სასწრაფოდ გაესვენებინათ მიცვალებული.

**– ნაადრევად გასვენება ვისი გადაწყვეტილება იყო?**

– გარდაცვლილის შვილების, აბა, მე ხომ არ გადავწყვეტდი. მთელი სოფელი გაგიჟებულია და აინტერესებთ, ასე რატომ გააკეთეს. მაგათი ერთ-ერთი ბიჭი იურასთან მუშაობდა, სახაჭაპურეში. 1000 ლარზე მეტ ხელფასს აძლევდა იურა. სახაჭაპურე რომ დაკეტა ჩემმა ძმამ, შემდეგ მაღაზიაში გადაიყვანა დაცვაში, ორი კვირით ადრე კი თვითონვე წამოვიდა იურასგან.

**– სოსანაშვილს ახლოს იცნობდნენ?**

– კი, ძმაკაცები ყოფილან, ორივე პოლიციაში მუშაობდა ადრე. ერთ-ერთი სააკაშვილის დაცვაშიც მსახურობდა. ორივე ძმას იცნობდა კარგადო და პანაშვიდზეც რომ იყო, ეს კი იცით. სოსანაშვილმა ფული აიღო და ეს უბედურება გააკეთა. არ ვიცი, სხვას რა ინტერესი ჰქონდა, ის კი ვიცი, რომ ორ საათზე ადრე მიცვალებული არავის გაუსვენებია სახლიდან. აქ რაღაც ბუდობს და ჯობია, სიმართლე ითქვას.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მელაძეების ოჯახიდან მიცვალებულის ნაადრევი გასვენების თემით პროკურატურაც დაინტერესდა და ამჟამად გამოძიება კონკრეტულ დეტალებს ამოწმებს. როგორც ჩვენი წყარო გვეუბნება, საგამოძიებო ორგანო არკვევს გია სოსანაშვილისა და ძმები მელაძეების ურთიერთკავშირსაც.




## „სოსანაშვილის და და მისი ადვოკატი სოფელში დადიან და ხალხს ეუბნებიან, ჩვენება შეცვალეთო“

## ვერსაჩეს „ეროსი“ ქალბატონებისთვის - მიმზიდველობა, უსაზღვრო სურვილი და ვნება





თამარ გონგაძე

**პარფიუმერულმა ქსელმა „ისი პარიმ“ ვერსაჩეს ახალი სუნამო წარმოადგინა. „ეროსი“ ქალბატონებისთვის გაყიდვაშია. მსოფლიოში ყველაზე დინამიკური და ლუქსბრენდი ვერსაჩეს დავიწყება თუნდაც სახასიათო ლოგოს გამოც შეუძლებელია. ვერსაჩე იტალიის სამხრეთ ნაწილში დაიბადა და ის ახლოს იყო ბერძნულ კულტურასთან. ლოგოში მედუზა მოქცეულია ვერსაჩეს ლოგო-წრეში. გამოკვეთილი ძალაუფლება, მიმზიდველობა და ფატალური მომხიბვლელობა - ეს არსი აქვს ლოგოს. ვერსაჩეს არაჩვეულებრივი ოტკუტიურით მეგა ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე მუდმივად იწონებენ თავს. მამაკაცის სუნამო „ეროსი“ 2013 წელს გამოსცეს, ამ სკანდალური სათაურით. სიყვარული, ვნება, სილამაზე და სურვილები - ეს მთავარი ელემენტია, რომელიც მამაკაცის ახალი სუნამოს კონცეფციაშია ჩართული. სიახლე კი არის ქალის „ეროსი“ ვერსაჩესგან. ახალი ერა, ახალი მითი... მაგიური და დამატყვევებელია ეს სუნამო. ინგრედიენტები, რომელიც ამ სურნელში შედის, გახლავთ: - პიტნის ყვავილი, იტალიური ლიმონი, მწვანე ვაშლი, ვანილის აკორდი, კედარი... ქალი, რომელიც ამ სუნამოს კონცეფციით არის წარმოდგენილი ერთადერთია, რომელიც მითიურ ეროსის ატყვევებს. სუნამოს ოქროსფერ შეფუთვაზე მითიური მედუზაა წარმოდგენილი.**

**ხატია შამუგია („ისი პარის“ მარკეტინგისა და პიარის მენეჯერი):**

- წელიწადის ყველაზე სურნელოვანი სეზონის ხელიდან გაშვება არ მინდოდა და ახალი სუნამო წარმოგიდგინეთ. ამ სუნამოს არომატში მიმზიდველობა, უსაზღვრო სურვილი და ვნება დევს. მიმზიდველობა მოაქვს სიცილიურ ლიმონს, ბროწეულის აკორდს. ჟასმინი და პიონი კი უსაზღვრო სურვილის მომტანია. ეს არის ძლიერებისა და ცდუნების არომატი, რომელიც ცნობილ პარფიუმერებთან ერთად დონატელა ვერსაჩემ შექმნა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გოგა ხაჩიძე: „არ გავჩერდებით, სანამ მთავრობას არ შევცვლით“

**ნაციონალებმა ხელისუფლებაში დასაბრუნებლად კონკრეტული გეგმა შეიმუშავეს. ისინი უკვე ვადამდელ არჩევნებს ითხოვენ და მიაჩნიათ, რომ არჩევნების დროზე ადრე ჩატარება არც დემოკრატიას დააყენებს ეჭვქვეშ და არც თავად ქვეყანას აზარალებს.**

**გოგა ხაჩიძე, ნაციონალების წევრი:**

– 21 მარტი დასაწყისი იყო იმისთვის, რომ ხელისუფლება გადავაყენოთ. ჩვენს გეგმას ყველაფერთან აქვს კავშირი, რაც კონსტიტუციურ ფარგლებში ჯდება. ჩვენ არ გვჭირდება არავის სწავლა, როგორ უნდა ჩავატაროთ აქცია, როგორ უნდა ჩავჯდეთ კონსტიტუციურ ფარგლებში, ჩვენ ნამდვილად არ ვგავართ იმათ, ქვებით რომ დარბოდნენ, კარვებსა და საკნებს რომ აწყობდნენ რუსთაველზე, თანაც თვეობით რომ აყოვნებდნენ ქვეყანასა და ეკონომიკას. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები და მივყვებით ამ გეგმებს. არ გავჩერდებით, სანამ მთავრობას არ შევცვლით.





**– არ ფიქრობთ, რომ ასეთი აქციები ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის? ამას ხომ თავად ამბობდით ადრე, როცა ოპოზიცია მიტინგებს გიწყობდათ?**

– ჩვენ არ ვაპირებთ. აქციებზე თვეობით ვიდგეთ, რუსთაველზე კარვები გავშალოთ და აქაურობა ტუალეტად ვაქციოთ. თუ ჩვენ ცენტრალურ მაგისტრალებს თვეობით გადავკეტავთ, ეს ქვეყნის ეკონომიკას, რა თქმა უნდა, დაანგრევს, მაგრამ ჩვენ ამას არ ვაპირებთ. ჩვენ გვინდა, რომ ეს მთავრობა წავიდეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენ მოვიდეთ ხელისუფლებაში. ჩვენ გვინდა, რომ მოვიდეს ტექნიკური მთავრობა, მენეჯერების გუნდი, მათივე რიგებიდან დაკომპლექტებული, რომელიც ანტიკრიზისულ გეგმას განახორციელებს. მთავრობა, რომელიც ახალ საარჩევნო კოდექსს მოამზადებს და რომელიც არჩევნებს ჩაატარებს. ვინ გაიმარჯვებს იმ არჩევნებზე, ეს მოსახლეობის გადასაწყვეტია.

**– საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას თქვენ მუდამ გთხოვდნენ კოალიციის დღევანდელი წევრები, როდესაც ოპოზიციაში იყვნენ, მაგრამ მაშინ ამის სურვილი არ გაგჩენიათ...**

– გასაგებია, მაგრამ ერთმანეთის ჯინაზე მაშინ ნაბიჯი აღარ უნდა გადავდგათ და შედეგად რასაც ვიღებთ, ხედავს სრულიად საზოგადოება.

# არშემდგარი კონტრაქცია

**მირიან ბოქოლიშვილი**

**21 მარტს „ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო აქციის პარალელურად სამების საკათედრო ტაძართან კონტრაქცია დაიგეგმა, თუმცა იქ მისულ ჟურნალისტებს ადგილზე „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზის“ 20-25 კაციანი ჯგუფი დაგვხვდა. შავ მაისურებში გამოწყობილი აქციის მონაწილეები ამტკიცებენ, რომ ნაციონალები პროვოკაციას გეგმავენ, რასაც ისინი არ დაუშვებენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელმაც კონტრაქცია დააანონსა, გოდერძი ოთარაშვილი გახლავთ. ჩვენთან საუბრისას ის ამბობს, რომ ყურადღებით მიადევნებენ თვალს ყოფილი მმართველი გუნდის შემდგომ ქმედებებს და დესტაბილიზაციის მცდელობის შემთხვევაში, ადეკვატურად იმოქმედებენ.**



**– ბატონო ოთარ, რა მიზნით შეიკრიბეთ დღეს?**

– ჩვენ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ არ დავუშვათ ქვეყანაში „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაცია. გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი სერიოზულ პროვოკაციას გეგმავენ და ჩვენ ამას ადეკვატურად ვუპასუხებთ.

**– რა იცით, რომ პროვოკაცია იგეგმება? საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?**

– ეს ვიცით ჩვენ და მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც. მათ ნება თუ მიეცი, უკან არაფერზე დაიხევენ. ჩვენ ვიცით, რომ ისინი განიხილავენ სახელმწიფო უწყებებში შევარდნასა და ძალადობრივი გზით მოვლენების განვითარებას. ამას ჩვენ ალვკვეთთ და არ ვაპირებთ გულხელდაკრეფილებმა ვუყუროთ ნაციონალების ბოგინს.

**– არც თუ ისე მრავალრიცხოვანია თქვენი აქცია... ამ რესურსით აპირებთ ნაციონალებთან დაპირისპირებას?**

– ჩვენ აქ მიტინგის გასამართად არ შევკრებილვართ. ჩვენ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ თვალი მივადევნოთ ნაციონალების შემდგომ ნაბიჯებს. ერთი პროვოკაციის შემთხვევაშიც კი მერწმუნეთ, უამრავ ადამიანს გამოვიყვანთ და საკადრის პასუხს გავცემთ მათ. საკმარისია, ერთი შეტყობინება გავუშვათ, რომ აი, აქ, სამების ტაძართან ათასობით ადამიანი შეიკრიბება „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

**– ანუ თქვენ მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერი ბრძანდებით?**

– არა, მე ვარ ჩემი ქვეყნის მხარდამჭერი.

**– რომელი პოლიტიკური ძალა იმსახურებს თქვენს სიმპათიებს?**

– საქართველოში პარტიები ფულის საკეთებლად და საკუთარი კეთილდღეობისთვის იქმნება. რომელმა პარტიამ მოუტანა ქვეყანას სიკეთე? არც ერთმა. ამიტომ არც ერთი პარტიის მხარდამჭერი არ ვარ. ვფიქრობ, ისინი არ უნდა მართავდნენ ქვეყანას.

**– აბა, ვინ უნდა მართავდეს?**

– ჩვენ გვჭირდება ეროვნული ადამიანი. ის, ვინც მართლმადიდებლობის ფასი იცის.

**– და ვინ გეგულებათ ასეთად?**

– ამას უფალი გამოაჩენს.

**P.S. ე.წ. კონტრაქცია სამების ტაძართან მანამ დაიშალა, სანამ თავისუფლების მოედანზე ნაციონალების აქცია დაიწყებოდა. კონტრაქციის ორგანიზატორთა მოლოდინი არ გამართლდა. 21 მარტს არც რაიმე პროვოკაცია მომხდარა და არც არავინ შევარდნილა სახელმწიფო კანცელარიაში. ამის მიუხედავად, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“ „ნაციონალური მოძრაობის“ შემდგომ ქმედებებს ყურადღებით დააკვირდება. ასე დაგვემშვიდობნენ კონტრაქციის ორგანიზატორები.**

# რატომ უწოდა თეა თუთბერიძემ ნაციონალებს „ჩმორი“

**თეა თუთბერიძე სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე 21 მარტის აქციას ეხმაურება და „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთ ლიდერს „ჩმორს“ უწოდებს. „პრაიმტაიმთან“ საუბარში მან განმარტა:**

„დღევანდელი დღე იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ხელისუფლებამ უნდა დაინახოს საკუთარი გაუაზრებელი პოლიტიკის „შედეგი“. 2 წელიწადში დაშვებულმა უამრავმა შეცდომამ, ოპოზიციის წარმომადგენლების პოლიტიკური ნიშნით დევნამ, გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ და ა.შ. გამოიწვია ის, რაც დღეს მიიღეს. დღევანდელი აქცია, ასევე, იყო მაგალითი იმისა, როგორი უნდა იყოს მშვიდობიანი აქცია. როდესაც აქციის ორგანიზატორები არ მოუწოდებენ ძალადობისკენ აქციის მონაწილეებს, აქცია სრულდება ისე, როგორც დასრულდა დღეს. ხოლო როდესაც ძალადობაა მიზანი აქციისა, ვიღებთ იმას, რაც მივიღეთ რამდენიმე დღის წინ ზუგდიდში ხელისუფლების ორგანიზებით. თუმცა, ისევე როგორც ჩემი, ბევრი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია აქციაზე გაკეთებულმა განცხადებებმა, სადაც პოლიტპატიმრების ჩამონათვალში არ მოხვდა 12 გამამართლებელი განაჩენის მქონე ბაჩო ახალაია. სწორედ ამას ეძლვნებოდა ჩემი სტატუსი.

მართალია, გიგა ბოკერია შეეცადა, თავის გამოსვლაში გამოესწორებინა სიტუაცია, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ სხვებმა რაც გააკეთეს, ის უნდა გადავყლაპოთ და არ მივცეთ შეფასება მათ ამ ქმედებას“.

# ლაშა ნაცვ

**ირაკლი მამალაძე**

**მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე თბილისშია! თანამდებობიდან სკანდალურად წასული ლაშა ნაცვლიშვილი თბილისში დაბრუნდა. ცნობილი ხდება, რომ ის ამ დრომდე შვეიცარიაში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა და მის საკუთრებაში არსებულ სახლში ცხოვრობდა. ბოლო ინფორმაციით, რომელიც ლაშა ნაცვლიშვილზე პრესაში გავრცელდა, პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე შვეიცარიის ერთ-ერთ კლინიკაში ნარკოტიკის ზედოზირებით მოხვდა. ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია ნაცვლიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისა და სამართლებრივი დევნის შესახებ. პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე ქვეყნის დატოვების შემდეგ საჯაროდ არ გამოჩენილა, რამაც უფრო მეტად გააჩინა ეჭვები მისი მხრიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულებებზე, რომელიც მის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდს უკავშირდებოდა. საუბარია ბიზნესწილების გადაფორმებაზე და ბიზნესმენისთვის ფულის გამოძალვის ფაქტებზე. პროკურორის ყოფილ პირველ მოადგილეს კიდევ ერთი სკანდალური საქმე უკავშირდება, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გაყალბებას ეხება. ეს ფაქტი ამ დრომდე გაუხმაურებელი იყო, დეტალები კი „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი. საქმე იმდენად სკანდალურია, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ ახსნა-განმარტებები მოსთხოვა და პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი დღემდე ცდილობს ინტერპოლთან ურთიერთობის დალაგებას...**

ინფორმაცია, რომელიც „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა, ინტერპოლის ბიუროსთვის თბილისიდან გაყალბებული საგამოძიებო მასალების გადაგზავნას ეხება. ამ სკანდალურ საქმეში პროკურორის ყოფილი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი და პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ჩილინგარაშვილი ფიგურირებენ. ცნობისთვის, ეს უკანასკნელი დღემდე ინარჩუნებს თანამდებობას. ჩილინგარაშვილისა და ნაცვლიშვილის მიერ გაყალბებული დოკუმენტები სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ეხება. საუბარია ამ საქმის ერთ-ერთ ფიგურანტზე – დავით ჩხიტუნიძეზე, რომელიც ათენში 2013 წლის 14 აგვისტოს თბილისის ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე დააკავეს. ბრალდების მიხედვით, დავით ჩხიტუნიძეს, ეკავა რა იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილის თანამდებობა, უკანონოდ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაერთხელ მოახდინა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდადებული გერონტი ალანიას რამდენიმე დღით უკანონო გამოყვანა, ხოლო 2008 წლის 11 აგვისტოს ჩხიტუნიძემ დოკუმენტების გარეშე, სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე, სასჯელაღსრულების #10 დაწესებულებიდან 14 დღის ვადით უკანონოდ გამოიყვანა ოთხი მსჯავრდადებული: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, პროკურატურის მიერ წაყენებული ოფიციალური ბრალით ჩხიტუნიძის საბერძნეთიდან საქართველოში ექსტრადირების პროცედურა გაძნელდებოდა. სწორედ ამის გამო პროკურატურის მაღალჩინოსნებმა ლაშა ნაცვლიშვილმა და ირაკლი ჩილინგარიშვილმა ბრალდება დამძიმეს, საქმე გააყალბეს და ჩხიტუნიძეს წამების მუხლიც დაუმატეს, ამ უკანონო ქმედებით კი მიზანმიმართულად შეიყვანეს

## „რა თქმა უნდა, იყო მოთხოვნა, ზეწოლა და მუქარა, რომ გარკვეული თანხა დამეთმო“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიშვილი თბილისში დაბრუნდა

## რა სკანდალურ საქმეებში უყენებენ მას ბრალს და ექნება თუ არა ამ საქმეებს გაგრძელება



შეცდომაში ინტერპოლის გენერალური სამდივნო. ამ ინფორმაციას „პრაიმტაიმთან“ საუბარში ჩხიტუნიძის ადვოკატი **ვახტანგ თალაკვაძე** ადასტურებს.

– ბრალდება არასწორად იყო წაყენებული და ინტერპოლისთვის გადაგზავნილ მასალებში ნამდვილად იყო საუბარი წამების მუხლზე, თუმცა მოგვიანებით ეს პროკურატურამ დააზუსტა. კვალიფიკაცია იყო არასწორად მინიჭებული.

**– და რაში სჭირდებოდა საქმის გაყალბება? შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს მიზანმიმართულად მოხდა?**

– სურდათ, ჩხიტუნიძის მდგომარეობა დაემძიმებინათ და ექსტრადირება მომხდარიყო... ჩვენ დროულად გავასაჩივრეთ საქმის ეს ნაწილი და არ დავუშვით, სასამართლო შეცდომაში შეეყვანათ. სწორედ ამის გამო უამრავი რამ დაზუსტდა შემდგომ საქმეში და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წაყენებული ბრალდება შეიცვალა. ეს ყველაფერი სასამართლომ გაითვალისწინა და უარი თქვა ექსტრადირებაზე.



დაიწყო თუ არა გამოძიება ექსტრადირების მასალების გაყალბებაზე, ადვოკატ ვახტანგ თალაკვაძისთვის უცნობია. ინფორმაცია პროკურატურაშიც გადავამოწმეთ. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა საკითხის შესასწავლად დრო ითხოვა.

კიდევ ერთი საქმე, როლის გამოც ლაშა ნაცვლიშვილისთვის ბრალის წაყენებას პოლიტიკოსები და ექსპერტები ვარაუდობდნენ, წილების გადაფორმება და ბიზნესმენებზე განხორციელებული ზეწოლაა. ამ სკანდალურ საქმეში ნაცვლიშვილთან ერთად გია ხუხაშვილი, პიქსელის შენობა და იქ დაბარებული ბიზნესმენები სახლდებოდნენ. არსებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ექსპერტი გია ხუხაშვილი და მაშინდელი პროკურორის პირველი მოადგილე ბიზნესმენების დამუშავებასა და მათგან წილების გადაფორმების პროცესს ერთობლივი ძალებით ცდილობდნენ. ამავე ინფორმაციის თანახმად, ბიზნესმენები, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, ხელშეუხებლობის გარანტიებს ვაკეში, პიქსელის შენობაში, გია ხუხაშვილისგან და ნაცვლიშვილისგან იღებდნენ. თუმცა დღეს „პრაიმტაიმთან“ საუბარში გია ხუხაშვილი ლაშა ნაცვლიშვილს წარსულ დროში მოიხსენიებს, ამბობს, რომ დიდი ხანია არ უნახავს. და მასთან მხოლოდ არჩევნების პერიოდში მეგობრობდა.

**გია ხუხაშვილი:**

**– ბატონო გია, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ლაშა ნაცვლიშვილი თბილისში დაბრუნდა. ხომ არ გქონიათ მასთან შეხვედრა?**

– მე მასთან არ მაქვს კონტაქტი, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ის არ ყოფილა წასული, ეს მცდარი ინფორმაცია იყო, რომ ვითომ ის გაიქცა.

**– როგორც ვიცით, თქვენ კარგი ურთიერთობა გქონდათ მასთან, პროკურატურის საქმიანობაზე ანალიზს აკეთებდით. მაგალითად, ტრაქტორების საქმეზე, რომელსაც უშუალოდ ლაშა ნაცვლიშვილი კურირებდა?**

– რა სისულელეა, მე არც თავი ვიცი მაგ საქმის და არც ბოლო.

**– მასთან მეგობრობასაც ხომ არ უარყოფთ, ბატონო გია?**

– კარგით, რა, საარჩევნო პროცესში ყველანი ვიყავით მეგობრები და ჩემზე მეტი მეგობრობა აკავშირებდა დღევანდელ პრემიერს ლაშასთან.

**„რამდენადაც ვიცი, ის არ ყოფილა წასული, ეს მცდარი ინფორმაცია იყო, რომ ვითომ ის გაიქცა“**

როგორც ირკვევა, მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილეს ურთიერთობა მხოლოდ გია ხუხაშვილთან და პრემიერ-მინისტრთან არ გართულებია, მტრები მან ახალო მეგობრებშიც გაიჩინა. ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი აცხადებს, რომ მისი საქმე ლაშა ნაცვლიშვილმა მიზანმიმართულად არ გამოიძია და ჭეშმარიტების დადგენას ხელს უშლიდა. ამის მიზეზი კი ის 6 მილიონი გახდა, რომელიც ელიზბარაშვილს ადეიშვილის უწყებამ ჩამოართვა, ნაცვლიშვილი კი ამ თანხის დაბრუნების სანაცვლოდ წილს ითხოვდა. თამაზ ელიზბარაშვილი ადასტურებს, რომ ლაშა ნაცვლიშვილი საქართველოში დაბრუნდა, და ურჩევს, რომ მისგან თავი შორს დაიჭიროს.



გია ხუხაშვილი

**თამაზ ელიზბარაშვილი:**

– ლაშა დიდი ხანია არ მინახავს. მაგის მეუღლე არის ჩემი მეზობელი, ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ამ ხალხთან, რაც შეეხება ლაშას, მასაც კარგად ვიცნობდი, არჩევნებზე სააკაშვილის რეჟიმს ერთად ვებრძოდით, მაგრამ რაც მთავარი პროკურორის მოადგილე გახდა, მასთან ნორმალური კონტაქტი აღარ მქონია.

**– თქვენს საქმეში რა როლი ითამაშა ნაცვლიშვილმა და რატომ არ მოხდა თქვენთვის ბრალის მოხსნა?**

– არ ვიცი, მგონი, მაგასაც ჩემი დაჭერა უნდოდა, აბა, ბრალი არ მომიხსნეს. მოსამართლემ გამამართლა ბოლოს. ლაშასთან მე პირადად არ მქონია ლაპარაკი, მაგრამ გზავნილები იყო მისგან. ეგ იყო ჩემი მეზობელი, ბავშვობიდან ვიცნობდი და სამართლიანობა რომ აღედგინა, ბოდიში და, ტრაკი არ გაანძრია, თავი არ შეიწუხა. ეტყობა, სხვა საქმეებით იყო დაკავებული, უფრო მნიშვნელოვანით, მაგიტომაც გაუშვეს. მაგრამ მე მაგას სათქმელს პირში ვეტყვი, თუ სადმე გადამეყარა.

**– რა გზავნილი იყო ნაცვლიშვილისგან, 6-მილიონიან გირაოს ხომ არ ეხებოდა ეს?**

– რა თქმა უნდა, იყო მოთხოვნა, ზეწოლა და მუქარა, რომ გარკვეული თანხა დამეთმო.

ამ საჯარო ბრალდებებზე ლაშა ნაცვლიშვილის პასუხი ვერ მივიღეთ. ჩვენ მასთან დაკავშირებას შევეცადეთ, თუმცა უშედეგოდ. როგორც შემოგვითვალეს, მას ამ ეტაპზე ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ სურს. იმ შემთხვევაში, თუ ის ბრალდებებზე პასუხის გაცემის სურვილს გამოთქვას, მზად ვართ, მისი პოზიცია გამოვაქვეყნოთ.



თამაზ ელიზბარაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





თამარ ჩერგოლეიშვილი



სერგო რატიანი და მარიამ რამინაშვილი

# „სმარტმა“ ახალი საიმიჯო კამპანია და დასაქმების ინოვაციური პროგრამა დაიწყო




**19 მარტს სუპერმარკეტ „სმარტის“ საბურთალოს ობიექტში კომპანიამ ახალი საიმიჯო კამპანიის პრეზენტაცია გამართა და დასაქმების ინოვაციური პროგრამა დაიწყო, რითაც საზოგადოებას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და სამუშაოს დაწყების საშუალება მისცა. მომხმარებელმა თერთმეტი სერიისგან შემდგარი ვიდეო რგოლი იხილა, რომელშიც სუპერმარკეტის თანამშრომლების განსაკუთრებულ უნარებსა და შესაძლებლობებზე იყო ყურადღება გამახვილებული და ხაზგასმული იყო „სმარტის“ მთავარი მესიჯი - „ჩვენი თანამშრომლები ქმნიან ხარისხს დეტალებში“.**

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა, სოსო ფხაკაძემ განაცხადა, რომ „სმარტი“ ოთხი წელია, რაც ბაზარზეა. მას ახარებს ის ფაქტი, რომ მოვიდა ის დრო, როცა „სმარტმა“ წამოიწყო პირველი საიმიჯო კამპანია. ფხაკაძის თქმით, დიდხანს მიდიოდა მსჯელობა, როგორი უნდა ყოფილიყო პირველი საიმიჯო კამპანია და გადაწყდა, რომ კონცენტრაცია ხარისხზე გაკეთდებოდა, რაც კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა. „ახალი საიმიჯო კამპანიით ჩვენ შევძელით, „სმარტის“ თანამშრომლები თავიანთი უნიკალური შესაძლებლობებით წარმოგვეჩინა, რათა „სმარტში“დასაქმების მსურველთათვის მკაფიოდ გვეჩვენებინა, რომ ხარისხია ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება და რომ ეს მათ მომხმარებელს თითოეულ დეტალში უნდა აგრძნობინონ, თუ ჩვენთან დასაქმება სურთ“,- განაცხადა ფხაკაძემ. მან ასევე აღნიშნა, რომ სუპერმარკეტის თანამშრომლების განვითარებაზე „ვისოლ ჯგუფის“ აკადემია მუდმივად ზრუნავს.

„სმარტი“ ბაზარზე თავისი ინოვაციური გადაწყვეტილებებით, თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული საცალო ვაჭრობის კულტურის დანერგვითა და ხარისხზე მუდმივი ორიენტაციით არის გამორჩეული, ასევე პროდუქტის ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანდარტებით. წარმოების ხარისხი, ასორტიმენტის მართვის ხარისხი, სურსათის უვნებლობა, მომსახურება, მეგობრული პერსონალი, ექსკლუზიური ბრენდები, ყოველდღიურად ახალი ნატურალური პროდუქცია, სუპერმარკეტის დიზაინი და სხვა - სწორედ ამ დეტალების ერთობლიობა ქმნის „ხარისხს დეტალებში“, რომელიც სუპერმარკეტის ახალ სლოგანად და მარკეტინგულ კონცეფციად იქცა.

სოსო ფხაკაძემ ასევე აღნიშნა, რომ ისინი მნიშვნელობას ანიჭებენ არა იმდენად პროდუქციის რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ „სმარტში“ 25 000-მდე დასახელების პროდუქტია, რამდენადაც პროდუქციის მაღალ ხარისხს, რაც თითოეულ დეტალეში იგძნობა.

კამპანიასთან დაკავშირებით კომენტარი „სმარტის“ კადრების განყოფილების უფროსმა, რუსიკო სანიკიძემაც გააკეთა. მან სუპერმარკეტში დასაქმების მსურველებზე ისაუბრა. სანიკიძის თქმით, წლის ბოლომდე „სმარტის“ სამი ახალი ობიექტის გახსნა იგეგმება, რაც 500-მდე ადამიანისთვის დასაქმების შესაძლებლობას ქმნის. ის იმედოვნებს, რომ ბევრი პირი



გამოეხმაურება, რომელიც სელექციის პროცესს გაივლის და იმედს გამოთქვამს, რომ მომხმარებელს ბევრ საინტერესოს შესთავაზებს. „სმარტში“ დასაქმების მსურველთ შესაძლებლობა აქვთ საკუთარი თავი საიმიჯო რგოლის 11 პერსონალთან გააიგივონ, შეავსონ სპეციალური აპლიკაცია „სმარტის“ „ფეისბუქ“ გვერდზე, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები და დასაქმდნენ.

შეგახსენებთ, რომ „ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს თბილისში, ალმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაკეში, საბურთალოზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, ბათუმში, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, გორში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# paparazzi



გიორგი ვაშაძე



გიგა ბოკერია



ხათუნა გოგორიშვილი
და გია ბარამიძე



დავით კირკიტაძე



ხათუნა ოჩიაური და
გია როინიშვილი



ლექსო მაჭავარიანი
და გოგა ხაჩიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩვენ დასავლეთისთვის რუსეთის ცხვირწინ საფრიალებელი ნაჭერი უფრო ვართ“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარ ორიენტაციას პროქართულს უწოდებს, სინამდვილეში პრორუსულია. ამ ფორმულირებაში, მართალია, ლოგიკა არ არსებობს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ეს ასეა. „პროქართულობის“ უკან კი, როგორც ცოტნე გამსახურდია აცხადებს, ის ძალები იმალებიან, რომლებიც რეალურად დასავლურ საგარეო კურსს ებრძვიან...**

**ასეთი ძალებისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დღეს მისწრება იქნებოდა, თუმცა მის ალბათობას, პრორუსების გარდა, ვერავინ ხედავს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით ქუჩაში ერთმანეთს დატაკებული ოპოზიციური ძალები გამოვლენ...**

**ცოტნე გამსახურდია:**

– ვადამდელი არჩევნები მეტ ნეგატივს მოიტანს, ვიდრე დადებითისკენ შეცვლის სიტუაციას. ავად თუ კარგად სჯობს, ჩავამთავროთ საარჩევნო ციკლი, უმჯობესი იქნება, თუ საარჩევნო გარემოში უხეშად ჩარევის მაგალითებს არ დავამკვიდრებთ, ნუ დავაყენებთ ეჭვქვეშ, ისედაც სათუო სტაბილურობას. არც ისე ბევრია არჩევნების ლეგიტიმურ თარიღამდე დარჩენილი და, შესაბამისად, ექვსი თვით ადრე ჩატარდება არჩევნები თუ ექვსი თვით გვიან, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მით უფრო, რომ ვადამდელი არჩევნებით შესაძლოა, გარკვეულმა ძალებმა ისარგებლონ.

**– პრორუსულმა?..**

– მოგეხსენებათ, საქართველოს პოლიტიკა ძალიან მოწყვლადი და საშიში სფეროა, რადგან აქ ძალიან ბევრ ძალას აქვს თავისი ინტერესები და თანაც აქ ძალიან ადვილია პოლიტიკური მანევრებისა თუ პოლიტიკური ექსცესების გამოწვევა. შესაბამისად, გაცილებით ფრთხილად უნდა ვიყოთ. დღეს საარჩევნო გარემო გაცილებით თავისუფალია, თავისუფალია, ზოგადად, საარსებო სივრცე და ეს ყველაფერი რამდენადაც კარგია, იმდენად საფრთხისშემცველია. ამის მაგალითები არსებობს, მიხეილ სააკაშვილი მოსალოდნელ საშიშროებებს უკანონო და ძალისმიერი მეთოდებით ებრძოდა, ამიტომ იყო, რომ ნაბან წყალს ბავშვის სიცოცხლეს აყოლებდნენ და როდესაც ერთი სავარაუდოდ დამნაშავის გამო ცხრა უდანაშაულო ადამიანი ისჯებოდა. თუმცა, ბუნებრივია, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ არსებობენ მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები და მათი მხრიდან უნდა მოველოდოთ პრობლემებს.

**– ვისი ხელით არიან ჩართულები?**

– მოდით, ასე გიპასუხებთ, მსურველების ნაკლებობა საქართველოში, ტრადიციულად, არც ყოფილა და არც იქნება.

**– შეიძლება, რომ 21 მარტს დაწყებული საპროტესტო აქციები სერიოზულ ქაოსში გადაიზარდოს და ამით, როგორც თქვენ ამბობთ, მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურებმა ისარგებლოს?**

– ვფიქრობ, ქაოსის შექმნა და პროვოკაციები, პირველ რიგში, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ უნდა აწყობდეს. მათ ჰყავთ ძალიან იდეური მხარდამჭერები, რომლებიც ყველაზე კარგ შემთხვევაში რამდენიმე ათას ადამიანს შეადგენენ. „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი რესურსი არ გააჩნია, რომ რაიმე სერიოზული პროცესების მართვა მოახერხოს. თუკი ვინმე წავა პროვოკაციაზე, ამით მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ ძალას დააზარალებს. მე ვერავითარ საფრთხეს ვერ ვხედავ, დარწმუნებული ვარ, გამწვავებაზე არც ხელისუფლება არ წავა.



**ცოტნე გამსახურდია: „სიტყვა „პროქართულს“, როგორც წესი, დასავლეთის საპირისპიროდ იყენებენ და ამ სიტყვას ამოფარებული ძალები, როგორც წესი, პრორუსული ორიენტაციის არიან“**

**– ოპოზიციის ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკაში ყოფნის აკრძალვას ითხოვს...**

– მე ზოგადად ნაციონალების ადგილას სხვანაირად შევხედავდი პოლიტიკურ პროცესებს, მათ ადგილას მე გავთავისუფლდებოდი იმ ბალასტისგან, რა ბალასტიც მათ ჰყავდათ ოდიოზური ფიგურების სახით და ვეცდებოდი რებრენდინგის გაკეთებას.

**– მათ ეს ეტაპი გაიარეს კიდეც, ყოველ შემთხვევაში ამას აცხადებდნენ...**

– დიახ, ამაზე საუბარი იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ქართული პოლიტიკა პიროვნებებზეა ჩამოკიდებული უმეტესწილად და, შესაბამისად, ვერც ნაციონალები ვერ განთავისუფლდნენ სააკაშვილის სრულიად სამარცხვინო იმიჯისგან.

**– სააკაშვილის ჩამოშორება ნაციონალების გადარჩენის გარანტიაა?**

– „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობენ ფიგურები, რომლებიც, ზიანის გარდა, არაფრის მომტანები არ არიან. აი, მაგალითად, გივი თარგამაძემ ახალი პარტიაც რომ ჩამოაყალიბოს და ყველაფერი ნულიდან დაიწყოს, მინუსების გარდა, მაინც არაფერს მოიტანს. არადა „ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან წესიერი, კომპეტენტური, პროფესიონალი ადამიანები, რომელთა ხელიდან გაშვების საშუალებაც ქვეყანას არ აქვს. მე ნამდვილად არ ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრებს, რომლებიც განსასჯელის სკამებზე სხედან და ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხი უნდა აგონ.

**– ეს ძალა ირწმუნება, რომ ქვეყნის საგარეო ორიენტაცია შეიცვალა და ის აღარ არის დასავლეთი, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– მე ვიტყოდი, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შესაძლოა, დეკლარირებულად იმდენად აღარ არის ორიენტირებული დასავლეთზე, მაგრამ ეს არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანამ განვითარების ამ გეზს მხარი აუქცია. სხვა საკითხია, ეს გეზი რამდენად მიგვიყვანს რაიმე ხელშესახებ შედეგამდე. მე ბევრ ქვეყანაში ვიყავი ცოტა ხნით ადრე, სანამ ეს ქვეყნები ნატოში შევიდოდნენ. ძალიან კარგად მახსოვს, იქ რა არეულობაც სუფევდა, მაგალითად უფრო ადრე თურქეთში, იქ ვირებს ერეკებოდნენ, როდესაც ნატოში მიიღეს. ნატოში მიღება სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. დღეს მე ვერ წარმომიდგენია, რა პოლიტიკური საკითხი უნდა დადგეს, რომ ნატოს 28 წევრმა ქვეყანამ ცალსახა კონსენსუსს მიაღწიოს საქართველოს გაწევრიანებაზე. ეს ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. სიმართლე გითხრათ, „მრეწველთა პარტიის“ წევრების ბოდიალზე მეტად შეურაცხმყოფელია დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ყოველწლიური რიტორიკა, როდესაც ისინი რეგულარულად გვაგზავნიან ნატოსგან საკმაოდ შორს... ჩვენ კი ამ დროს გამოვდივართ და ვამტკიცებთ, რომ გინდა თუ არა, ნატოს კარზე კაკუნი უნდა გავაგრძელოთო.

**– აბა, რას სთავაზობთ?**

– მესმის, რომ ეს პოლიტიკური საკითხია, ამ გზით თავზე ნაცრის დაყრა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ჩვენთვის დასავლეთის კარი დაკეტილი თუ არა, ღია ნამდვილად არ არის. ამ დროს რუსეთი ჩვენ საერთოდ არ განგვიხილავს, როგორც სახელმწიფოს, მისთვის ჩვენ ვართ როგორც უფერული ტერიტორია, საიდანაც მას შეიძლება საფრთხე დაემუქროს, ამ ტერიტორიის დამოუკიდებლობამ შეიძლება მისი ეკონომიკური ინტერესები აზარალოს, მაგრამ ფაქტია, რომ დასავლეთიც არ განგვიხილავს თანასწორი პარტნიორის როლში. ჩვენ დასავლეთისთვის რუსეთის ცხვირწინ საფრიალებელი ნაჭერი უფრო ვართ, რომელთანაც, გარდა ხმამაღალი განცხადებებისა, არავითარი თანასწორუფლებიანი ურთიერთობები არ არსებობს. ჩვენ ჩვენში თუ არ ვიპოვით განვითარების ძალას, მსოფლიოს თუ არ დავანახებთ, რის მიცემა შეგვიძლია მათთვის, უბრალოდ, თვალებში შემყურე და მოლოდინის რეჟიმში ყოფნა არაფერს მოგვცემს. ნუ გამაიგივებთ „პროქართული“ პოლიტიკის მომხრეებთან, მე არ ვემხრობი „პროქართული“ პოლიტიკის თეორიებს, რომელსაც რეალურად არაფერი აქვს საერთო ნამდვილ პროქართულობასთან.

**– რა ორიენტაციაა პროქართულობა?**

– პროქართულს ახსნა არ სჭირდება, თუმცა რას გულისხმობენ „პროქართულში“ ისინი, ვინც ამ სიტყვას არიან ამოფარებულები, ეს არის საკითხავი. პროქართული ჩემთვის მინდა იყოს განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, იქნება ეს პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი განვითარება. მე თუ მკითხავთ, დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში ცალკე აღებული სახელმწიფო, მით უმეტეს იმ მასშტაბების, როგორიც საქართველოა და როგორებიც არიან ის ქვეყნები, ვისაც ინტერესები აქვთ კავკასიაში, საქართველო ვერც ერთ შემთხვევაში დამოუკიდებელ პოლიტიკას ვერ გაატარებს. ჩემი აზრით, პროქართული შეიძლება იყოს მხოლოდ განვითარების პოლიტიკა და არა წარსულში ჩარჩენის, მეათემეთერთმეტე საუკუნეების იდეალების, ქსენოფობიისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის პოლიტიკა. სიტყვა „პროქართულს“, როგორც წესი, დასავლეთის საპირისპიროდ იყენებენ და ამ სიტყვას ამოფარებული ძალები, როგორც წესი, პრორუსული ორიენტაციის არიან.

**– როდესაც სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, არ ფიქრობთ, რომ ეს პროცესი მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალების ხელისუფლებას არ უნდა შეეხოს? არ უნდა დაისაჯოს თუნდაც იგივე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ასევეა პასუხისმგებელი კონკრეტულ ქმედებებზე?**

– უნდა დადგეს ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხიც, უნდა დადგეს ნებისმიერი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი. მაგალითად, მე ვიცი, რომ პროკურატურაში მიმდინარეობს მიტინგებზე დახვრეტილი ადამიანების საქმეების გამოძიება, ვგულისხმობ 1990-იანი წლების პერიოდს და ძალიან კარგი იქნება, თუკი ძველი, მსგავსი გახმაურებული, განსაკუთრებული სისასტიკის დანაშაულის შემცველი საქმეების გამოძიება მოხდება. ეს სახელმწიფოს ღირსების საქმეა, რადგან სამართლიანობის აღდგენა ვერ დაიწყება რაღაც კონკრეტული დროის ნიშნულიდან, შერჩევითი პერიოდიზაცია იგივე შერჩევითი სამართალია. სამართლიანობის შერჩევითობა შეიძლება იყოს არა მხოლოდ ინდივიდების მიმართ, არამედ შერჩევითი პერიოდების მიმართ. მე ვემხრობი იმ აზრს, რომ ნებისმიერმა ადამიანმა, ვინც კი ზიანი მიაყენა ამ ქვეყანას, ზიანი მიაყენა ადამიანებს, იძალადა მათზე, უნდა გასამართლდეს და შემდეგ უკვე უნდა მიეცეს შეფასება სასჯელის იმ ზომას, რასაც იმსახურებს.

**– თუ არის შემოთავაზებები პოლიტიკაში ჩართვაზე და შეიძლება, რომ მიიღოთ გადაწყვეტილება?**

– გამორიცხულია, მე პოლიტიკაში ჩავერთო. შემოთავაზებები რეგულარულად იყო და არის, მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობდი და უარს ვიტყვი თუნდაც იმიტომ, რომ მოვლენების უკეთ შეფასების საშუალება გაქვს, როდესაც პირადად არ ხარ დაინტერესებული. თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკოსებს ყოველთვის უნდათ „პადოშის“ აკვრა სახეზე? დიდი ალბათობაა, რომ თავადაც ვერ ათვითცნობიერებენ, თეთრზე შავიაო, რომ ამტკიცებენ. რადგან ქვეცნობიერად დაინტერესება აიძულებთ. შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარად როლის გათავისება მოქმედებს. ეს როლი ხშირად არ შეესაბამება პრინციპებსა და რეალობას. შესაბამისად, წარმოდგენაც კი მიჭირს, რა უნდა მოხდეს, რომ მე შეხედულება შევიცვალო.

**„სამართლიანობის აღდგენა ვერ დაიწყება რაღაც კონკრეტული დროის ნიშნულიდან, შერჩევითი პერიოდიზაცია იგივე შერჩევითი სამართალია“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა მოხდა ოქროყანაში და ვისი დაკვეთით მოქმედებდა პოლიცია?

## რას ყვება პატრულის მიერ დაკავებული იმედა წიკლაური?



# EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

**შინაგან საქმეთა სამინისტროდან ინფორმაციის უკანონო გაჟონვის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, მანამდე კი შსს-ს გენინსპექციის დასკვნის საფუძველზე რამდენიმე პოლიციელს სამსახური დაატოვებინეს. მათ შორის გახლავთ პატრულ ინსპექტორები არჩილ დავითულიანი და ნიკა ალიხანაშვილი. საქმე ეხება 2015 წლის 26 იანვარს პატრულის თანამშრომლებსა და მოქალაქეებს შორის მომხდარ ინციდენტს, რომელიც მოგვიანებით ხელისუფლების ოპონენტებმა ისე წარმოაჩინეს, თითქოს პოლიციამ დანაშაულებრივი ჯგუფი დააკავა, თუმცა დაკავებულები პროკურორის ზარის შემდეგ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლეს.**

რა მოხდა რეალურად ოქროყანის გზაზე? საგამოძიებო უწყებაში განმარტავენ, რომ 2015 წლის 26 იანვარს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით ბრალდებულის სახით დააკავეს ადვოკატი იმედა წიკლაური და მისი ძმა გიორგი წიკლაური, ხოლო ადმინისტრაციული წესით დაუმორჩილებლობისთვის დააკავეს მათი თანმხლები პირი, ასევე ადვოკატი ლევან ავალიანი. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ უფლებამოსილებას თავად საპატრულო პოლიციამ გადააჭარბა.

ვინაიდან გამოძიების პროცესში გამოიკვეთა საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და განზრახ უკანონო დაკავების შესაძლო ფაქტები, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაყრდნობით, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა ჩაატარა. გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, პატრულ-ინსპექტორ არჩილ დავითულიანს და ნიკა ალიხანაშვილს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდათ.

„ზედამხედველი პროკურორის მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის პატრულ-ინსპექტორების სამკერდე კამერებისა და საპატრულო ეკიპაჟის ავტომანქანის კამერის მიერ განხორციელებული ვიდეო ჩანაწერების, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ი. წიკლაურისა და გ. წიკლაურის მხრიდან რაიმე სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს, კერძოდ, სამართალდამცავთა მიმართ რაიმე სახის იძულებას, რასაც თან ახლდა ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ განხორციელდა ხსენებული პირების სსკ-ის 353-ე მუხლით ბრალდებულის სახით დაკავება. აღნიშნულიდან გამომდინარე იმავე დღეს პროკურორის დადგენილებით ბრალდებულის სახით დაკავებული ი. წიკლაური და გ. წიკლაური განთავისუფლდნენ დაკავებიდან“.

„პრაიმტაიმი“ დეტალების გასარკვევად იმედა წიკლაურს დაუკავშირდა. მან დაკავებისას სხეულის დაზიანება მიიღო. წიკლაურის თქმით, ხსენებული დაზიანებები პატრულ ინსპექტორების მხრიდან მისი ცემის შედეგად მიიღო. იგი მოთავსებული იქნა ჰოსპიტალში და ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაუდგინდა თირკმლის დაჟეჟილობა.

**იმედა წიკლაური:**

– ფირზეც კარგად ჩანს, როგორ მოხდა ჩვენი დაკავება. ეს იყო აბსოლუტური უკანონობა. რომ ამბობენ, წინააღმდეგობა გაგვიწიაო, ფირებშიც კარგად ჩანს, რომ არანაირი წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, ტანსაცმლის დახევა კი მათი მხრიდან იყო მტკიცებულებების ფალსიფიცირება. რეალურად მოხდა ასეთი რამ: ოქროყანის გზაზე გაგვაჩერეს, მოგვმართეს უხეშად, – რომ გეძახით, არ გესმითო? დავინტერესდი, რატომ გაგვაჩერეს, მაინტერესებდა, იქნებ რამე დავარღვიეთ. ამას მოჰყვა მათი გაღიზიანება და მეუბნება, მე შენ დაგაკავებო. ხელი კრა ჩემს ძმას, მოგვმართავდნენ ქუჩური ტერმინოლოგიით.

**– დაზიანება როგორ მიიღეთ?**

– მართლაც დამაკავეს და უკვე დაკავებულს ჩამარტყა ზურგში. დამიდგინდა თირკმლის დაჟეჟილობა. აგვიყვანეს, როგორც კრიმინალები, მაშინ, როდესაც ზედმეტი არაფერი გვითქვამს, რაიმე დანაშაულზე ხომ საუბარი ზედმეტია. ბორკილდადებულ კაცს, მისთვის ტანსაცმელი როგორ უნდა დამეხია. ეს არის სააკაშვილის დროინდელი უსუსური ინსცენირება, რომ როგორმე ჩვენთვის დანაშაული „შეეტენათ“. ეს ხალხი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ემსახურებოდა და ამ ფაქტმა დაადასტურა კიდეც. როცა დაგვაკავეს, წინ და უკან გვატარეს კაი ხანს, კლინიკაში მიმიყვანეს, ჩამიტარდა გამოკვლევა და გამთენიისას, როდესაც ყველაფერი გაირკვა, გამომიშვეს. ეს რომ სხვას მოეყოლა, არ დავიჯერებდი და ბოლომდე ვერც ვიჯერებდი ასეთ ფაქტებს, სანამ საკუთარ თავზე არ გადამხდა.

**„ამით მათ გამოააშკარავეს თავიანთი რეალური პატრონები, ისინი, ვისთანაც ინფორმაციები მიჰქონდათ“**

**– როგორ აღმოჩნდა ეს ინფორმაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“?**

– მათ იგრძნეს საფრთხე, რომ შესაძლოა, პასუხი მოეთხოვოთ ჩადენილი უკანონობის გამო. გაიგეს რა, რომ საქმე პროკურატურამ წაიღო, მივიდნენ კუბლაშვილთან. ამით მათ გამოააშკარავეს თავიანთი რეალური პატრონები, ისინი, ვისთანაც ინფორმაციები მიჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც ძმებ წიკლაურებს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ დაუდასტურდათ, პროკურორის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე ისინი გაათავისუფლეს, რაც შეეხება პოლიციის მუშაკისადმი დაუმორჩილებლობის გამო ადმინისტრაციული წესით დაკავებულ ავალიანს, მის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ შეწყვიტა, ვინაიდან საერთოდ არ დადასტურდა ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის ფაქტი. არსებული ჩანაწერების შესწავლის შედეგად, ასევე, დგინდება, რომ ავალიანის მხრიდან ადგილი არ ჰქონია დაუმორჩილებლობის ჩადენის ფაქტს.

„მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს დაკავებულების გაშვება მოხდა პროკურორის სატელეფონო ზარით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არის ტყუილი და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ბრალდებულების განთავისუფლება მოხდა პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ვინაიდან ბრალდებულის სახით დაკავება მოხდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე და აშკარად ჰქონდა ადგილი მოქალაქეთა უფლებების უხეშ დარღვევას“, – აცხადებენ საგამოძიებო ორგანოში.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოსა და პოლონეთის კინოცენტრების საჩუქარი ქართველ მაყურებელს

## „იდას“ პრემიერა „ამირანში“



**my View**

**ნინო მჭედლიშვილი**

**მსოფლიოს დიდი კინოთეატრების შემდეგ „იდა“ საქართველოშიც ჩამოვიდა. 20 მარტს პოლონელი რეჟისორის, პაველ პავლიკოვსკის ოსკაროსანი ფილმის „იდა“ ჩვენება კინოთეატრში „ამირანი“ გაიმართა. საქართველოს ეროვნული კინოცენტრისა და პოლონეთის კინოცენტრის ერთობლივი საჩუქარი ორმაგად საინტერესო იყო ქართველი მაყურებლისთვის. „იდა“ ხომ „მანდარინების“ მთავარი კონკურენტი აღმოჩნდა. ამერიკული კინოაკადემიის 2015 წლის რჩეული უცხოენოვანი ფილმის ჩვენებამ ანშლაგით ჩაირა.**




„იდა“ პოლონეთში გაზრდილი ობოლი გოგონას ისტორიას ეხება. მონაზვნად აღკვეთამდე გოგონა ერთადერთი ნათესავისგან, დეიდისგან იგებს მშობლების ნამდვილ ისტორიას და მათი საფლავების ძებნას იწყებს. იდა მეორე მსოფლიო ომის დროს დახოცილი ებრაელი წყვილის შვილია, რომელიც ფაშისტურ განაჩენს მონასტრის დახმარებით გადაურჩა.

**ანჟეი ჩიშკოვსკი (პოლონეთის ელჩი საქართველოში):**

- დღეს გამორჩეული დღეა, დიდი პატივი გვაქვს წარმოგიდგინოთ ჩვენთვის ძალიან საამაყო ფილმი, „ოსკარის“ გამარჯვებული „იდა“. ვამაყობთ, რომ მოვიპოვეთ ექსკლუზიური ჩვენების უფლება და დარწმუნებული ვარ ხანგრძლივი დროითაც დადგება კინოთეატრებში და ქართველი კინომოყვარულები ისიამოვნებენ.

**იური მეჩითოვი (ფოტოგრაფი):**

- ამ ფილმის შესახებ ბევრი მსმენია და მომეცა საშუალება დიდ ეკრანზე მენახა. ღრმაა, სერიოზული პრობლემებია დახატული. ფანტასტიკურად თამაშობს ორივე მსახიობი იდას და დეიდამისის შემსრულებელიც. ძალიან კარგი ნამუშევარია. შეიძლება მეორედ არც შეხედო ამ ფილმს, არც არის საჭირო, გასაგებად არის პრობლემა დაყენებული და გადმოცემული რეჟისორის მიერ, მაგრამ ეს ის ფილმია, რომელიც უნდა ნახო.

**- პარალელი რომ გავავლოთ „იდასა“ და „მანდარინებს“ შორის, შედარება რომ გააკეთოთ...**

- არ მინდა დავაკნინო ჩვენი პროდუქცია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი მსახიობები თამაშობდნენ, ნაკლებად დამაჯერებელი იყო ჩემთვის „მანდარინები“, ვიდრე არის „იდა“. ჩვენ ახლა ვიწყებთ ასეთი კინოს გადაღებას, სადაც დატვირთულია ყოველი კადრი, სადაც კამერა მოძრაობს, ხმაც სხვანაირად ისმის.



**თეა ადეიშვილი (ჟურნალისტი):**

- ძალიან მომეწონა ფილმი. წამების კადრების ნახვის გარეშეც შეგიძლია ძალიან მარტივად აღიქვა სისასტიკე. იყო ისეთი ნიუანსები, რომელიც შენი ცხოვრების ბევრ ეტაპს გაგახსენებს. მაგალითად, როცა მთავარი გმირი მონასტერში ჭამს და ჩაეცინება. არავინ იცის რა გაახსენდა, მაგრამ ბევრი ვერსია ამოტივტივდა. ბოლოს, როცა კვლავ მონასტერში ბრუნდება ანალოგები გამახსენდა ქართული კინოდან. რა თქმა უნდა, არავის არაფერი არ მოუპარავს, უბრალოდ, გამახსენდა. ფინალი კითხვის ნიშნებს ტოვებს, გაფიქრებს, რატომ დაბრუნდა მონასტერში, არ მოეწონა ერთდღიანი ყოფითი ცხოვრება, სექსი, დალევა თუ რა? ან იქნებ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყოველივე მაინც ამაოებაა, რომ მონაზონიც კვდება და ერის კაციც.

**- შენი ვერსია როგორია?**

- რასაც მიეჩვია ბავშვობიდან, მონასტერს, იქაურ წესებს, მონაზვნურ ცხოვრებას, ის იყო მისთვის უფრო ახლობელი. ის ერთი დღე იყო უბრალოდ, ინტერესი, გამოსცადა, ნახა, რა იყო ყოფითი ცხოვრება და დაბრუნდა იქ, რაც მისთვის უფრო ორგანული იყო.



**ნანა ჯანელიძე (საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი):**

- პოლონეთიდან კინოინდუსტრიის წარმომადგენლების დიდი დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოში. სწორედ მათ ჩამოგვიტანეს „იდა“, იცოდნენ რა, რომ ჩვენთვის ეს ფილმი ძალიან საინტერესოა „ოსკარის“ ციებ-ცხელების შემდეგ, ეს, ფილმის პირველი ჩვენებაა.



**- როგორ შეაფასებთ თავად ფილმს?**

- ძალიან ღრმაა, ძუნწად გაკეთებული და ამ სიძუნწეში ძალიან დიდი ძალა ჩანს. დიდი სიძლიერეა რეჟისორის, რომლის ფილმში არც ერთი ზედმეტი ემოცია არ ჩანს. ფილმში ასახულია უმძიმესი პერიოდი, თუ როგორ შეუძლია ორ საშინელ სისტემას ფაშიზმსა და კომუნიზმს გასრისოს ოჯახი.

**- ფინალზე რას იტყვით?**

- იდამ ყველა ცდუნება გაიარა, სრულად შესვა ცხოვრება ერთ დღეში და თქვა უარი ყოფითობაზე. გაურყვნელი კი არ წავიდა, იგემა ყველაფერი და მიხვდა, რომ შეუძლებელია ამ სისტემაში ყოფნა.

**- შეადარებთ, „მანდარინებსა“ და „იდას“?**

- სხვადასხვა ეროვნული ხასიათის ნაწარმოებებია, ეს ძალიან კარგად ჩანს. „მანდარინები“ ძალიან თბილი, ემოციური ფილმია, ტრაგიკული და ამავე დროს ოპტიმისტური. ამ ტრაგიზმში არის დიდი მომავალი, ახალი სუნთქვა. ჩეჩენი ბოევიკი სრულიად ახალ ადამიანად გარდაისახა, იგი უკვე სხვანაირად გააგრძელებს ცხოვრებას. „იდა“ სხვა პერიოდს ეხება, როცა ერთი ჭირი გადის და მეორე ავადმყოფობაში გადადიხარ. ამიტომ არის ასეთი მკაცრი ეს ფილმი. ამ ფილმებს შორის ტემპერამენტული და ეროვნული ხასიათის განსხვავებაა.

„მანდარინებმა“ სრულიად სხვა სახელი მოუტანა ქართულ კინოს. არც ერთი ქართული ფილმი მანამდე არ ყოფილა „ოქროს გლობუსის“ ნომინაციაში მოხვედრილი, გარდა ამისა „მანდარინებმა“ მიიღო საერთაშორისო პრესის აკადემიის მთავარი პრიზი „სატელიტი“. არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ „ოსკარის“ „შორთ ლისტში“ ქართული „სიმინდის კუნძულიც“ მოხვდა და ამან კიდევ უფრო მეტად გაუსვა ხაზი იმას, რომ ქართული კინო თავისი აღმავლობის გზას დაადგა. არ მეგულება ქვეყნად სხვა ისეთი ფონდი, ვგულისხმობ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს, რომელიც ასეთი მწირი ბიუჯეტით დააფინანსებდა ორ სხვადასხვა ფილმს და ორივე „ოსკარის“ „შორთ ლისტში“ მოხვდებოდა, ერთ წელს. ეს იმას ნიშნავს, რომ კინოცენტრი და წარმოების ეს სისტემა სწორად მუშაობს. დღეს ქართული კინო და ამ ფილმების რეჟისორები ჩვენი სიამაყეა. მათ უკან კიდევ დგას ყველა თაობის ქართველი ნიჭიერი რეჟისორების მთელი ჯარი - ჩვენი კულტურის ოქროს ფონდი. სახელმწიფომ სწორედ ამ ყველაზე წარმატებულ დარგს უნდა დაუჭიროს მხარი და გაცილებით მეტად დააფინანსოს. ქვეყნის პოზიციონერება მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად ფილმებით ხდება. „ოსკარის“ ნომინაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართულმა კინომ ღირსეულად გააგრძელა უძველესი ტრადიცია.

**„ოსკარის“ ნომინაციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართულმა კინომ ღირსეულად გააგრძელა უძველესი ტრადიცია**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოსო პავლიაშვილს ბრალს დაუსწრებლად

მირიან ბოქოლიშვილი

**ბიზნესმენ ანტონ, იგივე ავთანდილ, ადუაშვილის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება. შესაძლოა, მალე ამ საქმეში ბრალი დაუსწრებლად წაუყენონ მომღერალ სოსო პავლიაშვილს. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ადუაშვილის მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით სასჯელს სოსო პავლიაშვილის სიძე (დის ქმარი) ვახტანგ ჩხაპელია იხდის, რომელმაც სასამართლო პროცესზე წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება გადათქვა და აღნიშნა, რომ პავლიაშვილის წინააღმდეგ ჩვენება ზეწოლის შედეგად დააწერინეს. მას შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პირობა დადო, რომ უშუალოდ გაარკვევდა, მართლა განხორციელდა თუ არა ზეწოლა ვახტანგ ჩხაპელიაზე, თუმცა, როგორც გაირკვა, მსგავსი რამ არ დადასტურდა, ამიტომაც შესაძლოა, პროკურატურამ ჩხაპელიას პირველადი ჩვენების საფუძველზე სოსო პავლიაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დადგენილება გამოსცეს.**



სოსო პავლიაშვილი და ავთანდილ ადუაშვილი

## 2 მილიონი, რომელსაც ბიზნესმენი ავთანდილ ადუაშვილი შეეწირა

ადუაშვილის მკვლელობის ორგანიზატორი და უშუალო შემსრულებლები სასამართლომ უკვე გაასამართლა, დამკვეთის ნაწილში კი გამოძიება ცალკე წარმოებად გამოიყო. სწორედ მკვლელობის დაკვეთაში სდებს ბრალს ადუაშვილის ოჯახი პავლიაშვილს. გარდაცვლილის დედა, ნანა ეფრემიძე გამოძიების დაჩქარების მიზნით იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს.

სანამ ქალბატონ ნანასთან ინტერვიუს გაგაცნობთ, მანამდე ორიოდე სიტყვით ვახტანგ ჩხაპელიას პირველადი ჩვენების შესახებ, რომელიც შესაძლოა, სოსო პავლიაშვილის ბრალდების მთავარ მტკიცებულებად იქცეს.

**ჩვენებაში ჩხაპელია ადასტურებს, რომ ანტონ ადუაშვილის დასჯის მიზნით ფულადი დახმარება სოსო პავლიაშვილმა გაუწია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ არც თავად და არც სოსო ადუაშვილის სიკვდილს არ ელოდნენ. ჩხაპელია იმ თანხებსაც ასახელებს, რომელიც ადუაშვილის დასჯის მიზნით სოსო პავლიაშვილმა უკრაინასა და სომხეთში გადასცა.**

„სოსო ბოლოს ერევანში ვნახე, მეუღლესთან ერთად ვიყავი იქ ჩასული. 10 ათასი დოლარი და 10 ათასი ევრო გამომატანა. 30 ათასი ევრო გადმომცა უკრაინაში ყოფნის დროს. ვუთხარი, საქმისთვის მჭირდება-მეთქი. ამ თანხის ნაწილი უნდა წასულიყო ანტონ ადუაშვილის დასასჯელად. ეს თანხა უნდა მიმეცა იმათთვის, ვინც ამ საქმეში მეხმარებოდა... ფიზიკურად უნდა გავსწორებულიყავი, მაგრამ კონკრეტულად როგორ, ეს სოსომ არ იცოდა. მან სიკვდილის შესახებ არ იცოდა, მაგას არც მე არ ველოდი, მაგრამ რომ უნდა დაგვესაჯა, ეს იცოდა. პირადი შუღლი არ ყოფილა, მაგრამ გაღიზიანება გამოიწვია იმან, რასაც ვიგებდი მთლიანად ჩვენი ოჯახის მიმართ. სოსო მაგას სულ ეხმარებოდა, მაგრამ ეს სულ ლანძღავდა და აგინებდა. ეტყობა, სოსოს ყურამდეც მივიდა, ჩემშიც დაგროვდა ბევრი რამ... ადუაშვილი უნდა დასჯილიყო, არ შეიძლებოდა ასე გაგრძელება. ეს ჩემი აზრი იყო, მოგეხსენებათ, მე არ მქონდა ამისთვის ფინანსები, ამიტომ სოსოს ვუთხარი, ფული მოეცა, რომ დამესაჯა. მან მომცა 30 ათასი ევრო, დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილ მომცა. საერთო ჯამში, 50 ათასი გადავეცი, ვინც ეს საქმე გააკეთა“, – ყვება ვახტანგ ჩხაპელია გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში.

მოგვიანებით, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მან ეს ჩვენება უარყო და განაცხადა, რომ პავლიაშვილის წინააღმდეგ ზეწოლის შედეგად ალაპარაკეს, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ჩხაპელიაზე ზეწოლის განხორციელებისთვის არც ერთი გამომძიებლის პასუხისმგებლობის საკითხი არ გამოკვეთილა. ამ დრომდე უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა – ვინ დაუკვეთა ადუაშვილის მკვლელობა? თუ გამოძიებამ ჩხაპელიას პირველადი ჩვენება სარწმუნოდ მიიჩნია, შესაძლოა, მთავარ ბრალდებულად სწორედ რუსული ესტრადის ქართველი ვარსკვლავი, სოსო პავლიაშვილი ოფიციალურად მოგვევლინოს.

**ნანა ეფრემიძე, გარდაცვლილის დედა:**

– წყალი არ გაუვა, რომ ჩემი შვილის მკვლელობის საქმეში თავი და თავი სოსო პავლიაშვილია. ჩემს შვილთან ერთად არის გაზრდილი. თუკი მას რაიმე კარგი გაუკეთებია და მიუღწევია, მხოლოდ ჩემი შვილის დამსახურებით. რამ გადაუტრიალა ასე ტვინი, არ ვიცი. პირველ კონცერტებზე ჩემი ავთოს პიჯაკებით გადიოდა ხოლმე.

**– რატომ ხართ დარწმუნებული?**

– ჯერ ერთი, წინა დღეს ჩემი შვილი მიდიოდა ერევანში მაგასთან შეხვედრაზე, სადაც საბოლოოდ უნდა გაერკვიათ ფინანსური საკითხები. ცალკე გამოსვლას აპირებდა ავთო, რადგან მათ ჰქონდათ ერთობლივი საქმიანობა. სამწუხაროდ, დღეს ის მთლიანად მაფიოზური აზროვნების მქონე ადამიანია, რომელმაც ფულის გამო საკუთარი ბავშვობის ძმაკაციც კი არ დაინდო.

**– რა ბიზნესზე იყო საუბარი?**

– საქმეც ის არის, რომ მათ ჰქონდათ ფინანსური ურთიერთობა, მაგრამ ავთო ოფიციალურად არსად ჩანდა.. სწორედ ამ მიზნით მიდიოდა ერევანში, რომ საბოლოოდ გაერკვიათ და გაემიჯნათ, რა იყო მისი და რა – სოსოსი. პავლიაშვილი თავის დროზე საკმაოდ დიდ ფულში „გადააგდეს“. დასახმარებლად მიმართა ავთოს, რომელიც 5 წელი იქ იყო, მოუგვარა ყველაფერი. მას მოსკოვის ცენტრში აქვს ბინა, მანქანა, სტუდია – ეს ყველაფერი ავთომ დაულაგა, გზაზე დააყენა და ამ ყველაფრიდან ავთოს თავისი წილი უნდა ჰქონოდა, სოსოს თავისი. პავლიაშვილი დროდადრო უგზავნიდა ხოლმე თავის კუთვნილ დივიდენდებს, მაგრამ ავთო იმ დღეებში ერევანში გეგმავდა ჩასვლას და ყველაფრის საბოლოოდ გარკვევას, თუმცა სწორედ ეს არ დაუშვა პავლიაშვილმა და იქ ჩასვლამდე მოიცილა. მანამდე ავთომ შეკრიბა თავისი ბავშვობის 4-5 ძმაკაცი და უთხრა, – მოსკოვიდან თავისი წილის წამოღებას აპირებდა, პირველ ეტაპზე სადღაც 700 ათას დოლარს, საერთო ჯამში კი დაახლოებით 2 მილიონზე იყო საუბარი. აქ გეგმავდა ბიზნესების წამოწყებას და ძმაკაცებს სთხოვა გვერდში დადგომა. დღეს სოსო პავლიაშვილს ძალიან დიდი ფული აქვს, სადღაც 30 მილიონს ითვლის მისი ქონება, მაგრამ მისი მაფიოზური გონება ამას არ დასჯერდა. არის მეორე მოტივიც – ნაციონალები რომ წავიდნენ, სოსო საქართველოში ბიზნესის დაწყებას გეგმავდა, დიდი რაოდენობით შავი ფულის შემოტანას აპირებდა. თუ ის საქართველოში რამეს წამოიწყებდა, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ავთოს გარეშე ამას ვერ გააკეთებდა, რადგან ავთო შავ ბიზნესს არ დაუშვებდა. ამიტომაც ავთო ზედმეტი იყო საქართველოში მათი მიზნების განსახორციელებლად, ამიტომაც გადაწყვიტეს ჩემი შვილის მოცილება. მათ კარგად იცოდნენ, რომ ავთო რაიმე ისეთს არ გააკეთებინებდათ.

**– ავთოს გარდაცვალების შემდეგ პავლიაშვილს არ უცდია თქვენთან გასაუბრება?**

– არც ერთხელ. ეს კიდევ ერთხელ მიმყარებს ეჭვს, რომ ეს ყველაფერი მისი უშუალო დაკვეთით მოხდა. როგორ წარმოგიდგენიათ, ბავშვობის ძმაკაცი მოუკლეს და მე, რომელსაც საკუთარ დედადაც კი მთვლიდა, არ დამირეკავდა მაინც, ჩამოსვლაზე ალარ მაქვს საუბარი. ტელეფონის აღებასა და დარეკვას წინ რა ედგა?! მანამდე სულ მირეკავდა, – შენ გენაცვალე ნანა დეიდაო, მეუბნებოდა. მკვლელობის შემდეგ კი ერთი ზარიც კი არ გამოსულა მისგან. ავთო სოსოს მეჯვარე და შვილის ნათლია იყო. კაი მე ვაპატიებ, მაგრამ ღმერთი აპატიებს ამ ცოდვას, საკუთარ შვილს ნათლია მოუკლა. ის ბავშვიც ველარ ჩამოდის თბილისში. თავისი ოჯახიც სასწრაფოდ გახიზნა, თითქოს ვინმეს მივუვარდებოდი და რამეს ავუტეხდი. მე არ ვარ მაგ დონის ქალი, რომ ოჯახზე ვიყარო ჯავრი. როგორც კი მისი სიძე, ვახო ჩხაპელია დააკავეს, იმავე დღეს მისი და ქვეყნიდან გაფრ-



სოსო პავლიაშვილი და ავთანდილ ადუაშვილი

EXCLUSIVE

## სოსო პავლიაშვილის სიძე: „ადუაშვილი უნდა დასჯილიყო, არ შეიძლებოდა ასე გაგრძელება“



ვახტანგ ჩხაპელია





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წაუყენებენ?!

## „მე უკვე რკინის ქალამნები ჩავიცვი და არ ვაპირებ გახდას, სანამ სამართალს არ მივაღწევ. არ მაქვს იმედი, რომ მაფიოზ პავლიაშვილს რუსეთი საქართველოს გადმოსცემს, მაგრამ იმას მაინც მივაღწევ, რომ მეგობრის მკვლელს მეგობრის მკვლელის სახელი ერქვას“

ინდა. თუ მართალი ხალხია, სად მირბიან?! რისი ეშინიათ?!

**– როგორც ვიცი, პავლიაშვილის სიძე ვახტანგ ჩხაპელია პანაშვიდებზეც დადიოდა...**

– დადიოდა? კი არ დადიოდა, ისე აჩვენებდა ხალხს თავს, თითქოს ძალიან განიცდიდა. სულ აქ, სახლში ტრიალებდა ეს მკვლელი, კოლიო თვითონ წამოიღო ქელეხში. სუფრაზე რომ შეთვრა, თამადას სადღეგრძელოებსაც კი კარნახობდა. რას წარმოვიდგენდი, რომ მკვლელი სუფრასთან მეჯდა.

**– გამოძიება ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი მკვლელობის დამკვეთის ნაწილში... რა მოლოდინი გაქვთ?**

– დიახ, დამკვეთის შესახებ ძიება ცალკე წარმოებად არის, მაგრამ ჩვენთვის რაიმე სიახლის შესახებ არავის მოუმართავს. სწორედ ამიტომ ვითხოვ თეა წულუკიანთან შეხვედრას, განცხადებაც შევუგზავნე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ასევე, შევხვდები უჩა ნანუაშვილს.

**– წულუკიანთან შეხვედრას რა მიზნით ითხოვთ?**

– მან თავის დროზე თქვა, რომ პირადად გაარკვევდა, მართლა განხორციელდა ზეწოლა ვახტანგ ჩხაპელიაზე თუ არა. თუ ზეწოლა დადასტურდა, მაშინ ვინმე ხომ უნდა დასაჯონ, ხომ უნდა აგოს პასუხი იმან, ვინც ზეწოლა განახორციელა და ძალით ალაპარაკა სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ?! მინდა, ეს პირადად გავარკვიო წულუკიანთან. თუ რეალურად ზეწოლა არავის მოუხდენია, მაშინ ველოდები, როდის მისცემენ პასუხისგებაში სოსო პავლიაშვილს, რადგან თავისი სიძე პირდაპირ ადებს ხელს, რომ მან გაუწია ფინანსური დახმარება ჩემი შვილის მკვლელობის მიზნით. წულუკიანმა თქვა, პირადად შევალ ჩხაპელიასთან საკანში, დავკითხავ და ყველაფერს გავარკვევო.

**– როგორ ფიქრობთ, ჩხაპელიამ რატომ შეცვალა ჩვენება?**

– იმიტომ რომ სოსომ დაუქირავა ადვოკატები, დიდი ფული ჩაყარა, რომ როგორმე თვითონ გამომძვრალიყო ამ საქმიდან. ჩემი შვილის საქმეს მინიჭებული აქვს შეკვეთილი მკვლელობის სტატუსი. 4 პირი სასჯელს იხდის ფულის სანაცვლოდ დაკვეთილი მკვლელობის განხორციელებაში, მაგრამ დღემდე ოფიციალურად არ არის გამოვლენილი დამკვეთის ვინაობა. ეს ხომ ნონსენსია. თუ დაკვეთა არ ყოფილა, მაშინ ეს ხალხი რისთვის იხდის სასჯელს? მინდა პროკურატურის გენინსპექციამ გაარკვიოს ერთხელ და სამუდამოდ, რა ზეწოლა განხორციელდა ასეთი, რომ „უდანაშაულო“ ხალხმა საკუთარ თავზე აიღო ეს დანაშაული. მე უკვე რკინის ქალამნები ჩავიცვი და არ ვაპირებ გახდას, სანამ სამართალს არ მივაღწევ. არ მაქვს იმედი, რომ მაფიოზ პავლიაშვილს რუსეთი საქართველოს გადმოსცემს, მაგრამ იმას მაინც მივაღწევ, რომ მეგობრის მკვლელს მეგობრის მკვლელის სახელი ერქვას.




ნანა ეფრემიძე

# „ივერია“ – ახალი მოთამაშე ქართულ პოლიტიკაში

მირიან ბოქოლიშვილი

**ქართულ პოლიტიკურ ველზე ახალი მოთამაშე გამოდის... საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია“ 2016 წლის არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. პოლიტიკურ წრეებში ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ხელისუფლების წინააღმდეგ მალე ახალი ოპოზიციური კოალიცია შეიკრას, რომლის ავანგარდშიც სწორედ „ივერია“ იქნება, კოალიციის სათავეში კი შესაძლოა, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ვიხილოთ. თავად ალასანია „ივერიელების“ მიმართ კეთილგანწყობას არ მალავს და მათ რამდენიმე განცხადებას ღია მხარდაჭერითაც უპასუხა. მაგალითად, როდესაც საუბარი იყო საქართველოში რუსული ტელეარხების აკრძალვაზე.**




მეორე მხრივ, ამბობენ იმასაც, რომ „ივერია“ „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტი ორგანიზაციაა. ამის არგუმენტად კი საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებელთა წარსული მოჰყავთ. მკითხველს შევახსენებ, რომ ორგანიზაციის დამფუძნებლები სააკაშვილის მთავრობის მაღალჩინოსნები და ელჩები არიან, მათ შორის – კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, საქართველოს ყოფილი ელჩი ჩინეთში მამუკა გამყრელიძე და სხვ...

**გააერთიანებს თუ არა საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერია“ პროდასავლურ ოპოზიციას? ვინ იქნება საარჩევნო სიის პირველი ნომერი და პრემიერმინისტრობის კანდიდატი? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს, მამუკა გამყრელიძეს ესაუბრა.**

**– ბატონო მამუკა, რატომ გაგიჩნდათ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი? როდის დარწმუნდით ამის აუცილებლობაში და რას სთავაზობთ ახალს საზოგადოებას?**

– „ივერია“, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ორი წლის წინათ შეიქმნა. ჩვენი თავდაპირველი მიზანი გახლდათ ფართო სადისკუსიო პლატფორმის შექმნა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მქონე ადამიანებისთვის. ორი წლის მუშაობის გამოცდილებამ და საზოგადოების ფართო წრეებთან ურთიერთობამ გვიჩვენა, რომ გაჩნდა მოლოდინი პროდასავლურად განწყობილი, პროფესიონალებით დაკომპლექტებული, რადიკალიზმისგან დაცლილი და ქვეყნის აღმშენებლობაზე და არა პოლიტიკურ ოპონენტებთან ძიძგილაობაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალისა. ჩვენ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა არა ვიწრო იდეოლოგიურ ჩარჩოებში ჩასმული პოლიტიკური პარტია, არამედ საზოგადოებას შევთავაზეთ სრულიად ახალი ინოვაცია ქართულ პოლიტიკაში, ფართო პლატფორმაზე აგებული საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს სხვადასხვა შეხედულების მქონე, სოციალურად აქტიურ პროფესიონალებს, ვისთვისაც პრიორიტეტი ძლიერი ქართული სახელმწიფოა. ჩვენი ვექტორი ევროპა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენაა მიმართული, პრინციპი კანონის უზენაესობაა, პრიორიტეტი – განათლება.

**– რამდენად შეძლებს დიპლომატიური გამოცდილების მქონე ადამიანების ერთობა პოლიტიკაში წარმატების მიღწევას? ეს ერთხელ უკვე ვნახეთ ირაკლი ალასანიას შემთხვევაში, თუმცა აღმოჩნდა, რომ მისმა დიპლომატიურმა გუნდმა დამოუკიდებლად ვერც ერთ არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატების ვერ მიაღწია... თქვენ რა გაძლევთ წარმატების იმედს?**

– წარმატების იმედს ჩვენს გუნდში თავმოყრილი ადამიანების ცოდნა, გამოცდილება და წარმატებული წარსული გვაძლევს. იმედიანად ვუყურებთ ჩვენს ახალგაზრდებსაც, რომლებიც თავიანთი განათლებითა და მათი წლოვანებისთვის ძალიან სოლიდური პროფესიული გამოცდილებით გამოირჩევიან. და რაც მთავარია, ესაა იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც „ივერიის“ გარშემო იკრიბებიან და დიდი ოპტიმიზმითა და ენთუზიაზმით უყურებენ ჩვენს საერთო მომავალს.

**– რაკიღა ალასანია ვახსენე, აქვე გკითხავთ: უკვე საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა, მალე ახალი ტიპის პროდასავლური კოალიცია შეიქმნას, რომელიც სწორედ თქვენი და ირაკლი ალასანიას გუნდებს გააერთიანებს... მით უმეტეს, ალასანია არ მალავს საკუთარ კეთილგანწყობას თქვენი ორგანიზაციის მიმართ და თქვენს რამდენიმე განცხადებას ღია მხარდაჭერაც გამოუცხადა... რამდენად რეალურია ხმები ამ ორი ძალის პოლიტიკურ გარიგებაზე და შესაძლოა თუ არა, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი 2016 წელს თქვენი გუნდის პრემიერმინისტრობის კანდიდატადაც კი ვიხილოთ?**

– ჩვენ დღეს ყველა იმ ადამიანისთვის თუ პოლიტიკური ორგანიზაციისთვის ღია ვართ, ვინც არაა კოლაბორაციონისტი და არ ატარებს მტრულ იდეოლოგიას. ვისთვისაც კანონის უზენაესობა უპირობოა და ვისთვისაც საქართველოს ევროატლანტიკური მომავალი პრიორიტეტულია. ამ ეტაპზე არავისთან არ გვქონია და არ გვაქვს არავითარი მოლაპარაკებები და რაიმე კოალიციაში შესვლას ჯერ არ ვგეგმავთ. ალასანიას კანდიდატურის პრემიერ-მინისტრად დასახელებას ჩვენი გუნდის მხრიდან კატეგორიულად გამოვრიცხავ. თუ ვინ იქნება ჩვენი პრემიერმინისტრობის კანდიდატი, ამ კითხვაზე პასუხს მიიღებთ ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებელ კონფერენციაზე, რომელიც, სავარაუდოდ, მალე გაიმართება.

**– მესმის, რომ ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ მაინც გკითხავთ: ვინ წარმოგიდგენიათ თქვენი საარჩევნო სიის პირველ ნომრად?**

– ჩვენი საარჩევნო სიის პირველ ნომრად გრიგოლ ვაშაძეს მოვიაზრებთ. ადამიანს, რომელსაც უდიდესი და ძალიან წარმატებული გამოცდილება აქვს სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის, ხალხთან ურთიერთობის და ჩვენს თანამოქალაქეებსა და უცხოელ პარტნიორებში დიდი პატივისცემით სარგებლობს.

**– საზოგადოება „ივერია“ ძირითადად დაკომპლექტებულია იმ ადამიანებისგან, ვინც ყოფილი ხელისუფლების სახეები იყვნენ... თუკი პოლიტიკაში აქტიურობა გადაწყვიტეთ, რატომ არ გამოიყენეთ ამ მიზნისთვის „ნაციონალური მოძრაობა“? რა პრობლემებს ხედავთ ამ პოლიტიკურ გუნდში?**

– „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჩვენ ერთადერთ რამ გვაკავშირებს – ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ვექტორი. რაც შეეხება ამ მიზნების მიღწევის ხედვას, ტაქტიკასა და გზებს, ამაში სერიოზული განსხვავებები გვაქვს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არ ვართ „ენმ“-სავით ჩაკეტილი, ერთი მკვეთრად გამოხატული ლიდერის გარშემო შეკრებილი პარტია. ჩვენ ვართ გახსნილები და დიალოგისთვის მუდმივ მზადყოფნაში ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასა თუ აქტივისტების ჯგუფთან, არასამთავრობო ორგანიზაციასა თუ პროფესიულ ასოციაციასთან. და საერთოდ, მიგვაჩნია, რომ ბელადების დრო საქართველოში დამთავრდა. მოვიდა საზოგადოებრივი აზრის გამარჯვების დრო.

**– სხვათა შორის, როდესაც საარჩევნო კოალიციაზეა საუბარი, შესაძლოა ამ მიმართულებით „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გქონდეთ მოლაპარაკება?**

– გავიმეორებ, არავითარ კოალიციაზე ამ ეტაპზე საუბარი არ მიმდინარეობს, თუმცა ღია ვართ ყველა არაკოლაბორაციონისტული, პროევროპული, თავისუფალი ბაზრისა და კანონის უზენაესობის პრინციპების პატივისმცემელი ყველა ორგანიზაციისთვის.

**– „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით აქციები დაიწყო... როგორ ფიქრობთ, რა ხეირს მოუტანს ყოფილ სახელისუფლებო გუნდს ქუჩის პოლიტიკა?**

– როდესაც საპარლამენტო უმრავლესობა არ აძლევს საპარლამენტო უმცირესობას საჭირბოროტო საკითხების განხილვის საშუალებას პარლამენტის კედლებში, უმცირესობა იძულებულია, გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება და ეს განხილვა თუ გაწსჯა ქუჩაში დაიწყოს. ჩვენ პრინციპულად არ ვართ მომხრე ქუჩის აქციების და მიგვაჩნია, რომ ამისთვის არსებობს ცივილიზებული მეთოდები, პარლამენტის თუ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ტრიბუნები, მაგრამ ამის საშუალება ხელისუფლებამ უნდა მოგცეს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვუერთდებით 21 მარტის აქციას, ვთვლით, რომ საპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ხელისუფლებამ აიძულა, ქუჩაში გამოსულიყო და ამიტომ სიტუაციის ნებისმიერ გართულებაზე სწორედ ხელისუფლება აგებს პასუხს.

**– დაბოლოს, მინდა გკითხოთ პრორუსულ ძალებზე... რამდენად აქტიურია დღეს ეს მიმართულება და რა შანსები აქვთ 2016 წელს ამ ძალებს?**

– პრორუსულ ძალებსა და საერთოდ კოლაბორაციონიზმის საფრთხეზე საუბარი პირველად სწორედ ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო. გასული წლის აპრილში ხალხმრავალი აქციაც კი მოვაწყვეთ სახელმწიფო კანცელარიის წინ. დღეს ეს ძალები თითქოს დაქსაქსულები არიან, მაგრამ ჩვენი მტრის ხელწერა აშკარად იკვეთება და მათი გაერთიანება და მართვა ძალიან სწრაფად შეიძლება მოახდინონ. მით უმეტეს, რომ პოლიტიკურ ველზეც არის ერთი საკმაოდ კარგად დაფინანსებული და გარკვეული მხარდაჭერის მქონე პრორუსული პარტია. რა შანსები აქვთ, რთული სათქმელია, მაგრამ ჩვენ ჩვენი საზოგადოების გონიერებისა და შორსმჭვრეტელობის გვჯერა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლელა წურწუმია და ია ფარულავა „რუსთავი 2“-ზე შოუს წაიყვანენ



EXCLUSIVE

## ია ფარულავა: „არის ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ დადასტურებულად ვერაფერს გეუბნებით“

my View
თამარ გონგაძე

**პატარა თბილისში არაფერი იმალება. ეს ინფორმაციაც ჩვენამდე ამ პატარა ქალაქის სინდრომით მოვიდა. ერთ-ერთ ბრენდ მაღაზიაში, ჩვენი წყარო ასეთი სურათის მნახველი აღმოჩნდა - მსახიობ ია ფარულავას სამოსს ურჩევდნენ რაღაც ახალი გადაცემისთვის. როგორც შემდეგ გაირკვა, ია და ლელა წურწუმია „რუსთავი 2“-ზე გადაცემას წაიყვანენ. ჩვენმა წყარომ გაარკვია, რომ ცნობილი ქალბატონები პოლიტიკოსებს აპოლიტიკური თემებით წარმოგვიდგენენ. ინფორმაციის გადასამოწმებლად ია ფარულავას დავუკავშირდით.**



**- ია, რამდენად მართალია, თქვენ და ლელა წურწუმია „რუსთავი 2“-ზე შოუს წაიყვანთ?**

**ია ფარულავა:**

- გეხვეწებით, ძალიან გთხოვთ, ამ ეტაპზე ვერაფერს გეუბნებით. არ გეწყინოთ, რაა. არის ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ დადასტურებულად ვერაფერს გეუბნებით. თუ რაღაც იქნება, გპირდებით, პირველად თქვენ გეტყვით.

**- გადაცემის წამყვანობაზე რას იტყვით?**

- ძალიან ბედნიერი ვიქნები რაიმე კარგ გადაცემაში თუ მივიღებ მონაწილეობას. ვნახოთ რა იქნება. მე მინდა ვიყო ეკრანზე. ვიცი, მაყურებელს



## „ჩვენ მეგობრები არ ვართ, მაგრამ ლელას სიძლიერეს და პიროვნებას დიდ პატივს ვცემ“

ვუყვარვარ. სადაც მივდივარ, მეფერებიან და მეხუტებიან. ეს მსიამოვნებს და რატომაც არა.

**- ლელასთან მეგობრობთ?**

- ლელა ნამდვილი დივაა. მას საოცარი იუმორის გრძნობა აქვს. ჩვენ მეგობრები არ ვართ, მაგრამ ლელას სიძლიერეს და პიროვნებას დიდ პატივს ვცემ. მაგარი გოგოა.

# სანდრო მიკუჩაძე-ღა





my View
თამარ გონგაძე

**მსახიობი სანდრო მიკუჩაძე-ღალანიძე „ჩემი ცოლის დაქალებში“ გრუშას როლში გამოჩნდა. თავის „პადელნიკთან“ ერთად ცოტნე ცოტაშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში ეხმარება. როგორც ამბობს, მისი გმირი სერიალის მეშვიდე სეზონში იქნება. მანამდე გამოჩნდა სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“. სანდრო რუსთაველის თეატრის მსახიობია და ვინც არ იცის, ის მსახიობ ჯემალ ღალანიძის შვილიშვილია. ბაბუაზე შეყვარებულმა კოლეგა შვილიშვილმა სახელოვანი ბაბუის გვარი არ დაკარგა და თავისი სურვილით ორ გვარს ატარებს. 27 წლის ხდება. პროფესიას კომერციული თვალსაზრისით არ ვუყურებ, უფრო ანდერგრაუნდ-მსახიობი ვარო, ამბობს. სამი საოცნებო როლი აქვს - მერკუციო, არატრადიციული ორიენტაციის მქონე მამაკაცი და საკუთარი თავი.**

„ხულიგანი, სამართლიანი და თავისუფალი მერკუციოს თამაში მინდა. კიდევ მინდა, მთლად გეი კი არა, ურთიერთობა რომ არ ჰქონია მამაკაცთან, მაგრამ მისი ინტერესი აქვს, ეგეთი კაცის თამაში. მსგავს ადამიანში საინტერესო პროცესები მიდის. ბევრი კატეგორიის ადამიანის ფსიქოლოგია მაინტერესებს. ფსიქიკურად აშლილი ადამიანებისაც. და ყველაზე დიდი და მთავარი როლი საკუთარი თავის შექმნის როლია, რომელსაც ცხოვრების მანძილზე ასრულებ. დავიწყე ამ როლზე ფიქრი და მუშაობა. საკუთარ თავს ვაკვიდები. ასევე, ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლასაც“.

ცოტა ხნის წინ სანდროზე და თამუნა მუსერიძეზე აჭორავდა თბილისი. რამდენიმეჯერ კლუბში ერთად



## „სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. ელენეც გვყავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ - ასე მოხდა. „ტეხავს“ ის, რომ შვილი იჭყლიტება. ერთხელ სიცხიანს მივაკითხე ბაღში. ლიზაც იქ იყო და თვალები გაუბრწყინდა, რა მაგარია, ერთად ვართო“



დაგვინახეს და მეტი რა უნდათო, ამბობს მსხიობი. ბუნებრივია, ამ თემას შევეხეთ. აი, თამუნამ კი ამაზე საუბარი არ ისურვა: „მადლობა კოლეგიალობისთვის, მაგრამ ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებ“.

**ელენე**

სანდროს პირველი ქორწინებიდან 4 წლის ქალიშვილი, ელენე ჰყავს. მისი ყოფილი მეუღლე ლიზი სტურუაა. ცოლი 21 წლისამ შეირთო. ნაადრევი ქორწინება იყოო, ამბობს. ქალიშვილზე გიჟდება. ჰგავს და უხარია. მამობამ ბევრად შემცვალაო, ამბობს.

„გვერდში მყოფი ადამიანებისგან გამიგია, დაკაცებული ხარო. დამთმობი გავხდი, მომემატა პასუხისმგებლობის გრძნობა. ელენემდე რაც შიგნით იყო, წინა პლანზე წამოვიდა. ეს სითბოს და გრძნობის გამოხატვაა. მისი მხრიდანაც სიყვარული მოდის. ოთხი წლის ხდება და ჭკვიანურ კითხვებთან ერთად ჭკიანურ პასუხებს მცემს. მგავს და მიხარია. ჩემს სპექტაკლებს სულ ესწრ-

## „ჯემალს თავიდან არ უნდოდა, რომ სამსახიობოზე ჩამებარებინა, მაგრამ თეატრიდან მთლად გამოსაგდები რომ არ ვარ, ხედავს“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ღანიძე ახალ რომანშია მხილებული






## თამუნა მუსერიძე: „მადლობა კოლეგიალობისთვის, მაგრამ ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებ“

## „მე და თამუნა მუსერიძე რამდენიმეჯერ დისკოთეკაზე ერთად დაგვინახეს. ეს საქართველოს მაფიაა. სერიოზული არაფერი, ახალგაზრდა ბიჭი ვარ :) განქორწინების მერე დიდი ხნის მანძილზე ვიყავი ეულად. ახალი ტიპი რომ შემოდის შენს ცხოვრებაში, მაგრად ასწორებს“

**EXCLUSIVE**

**„მაგ გრძნობას ადამიანი ვერ ივიწყებს. თუ ერთხელ შეგხვდა, იცი, რაც არის და რამხელა რაღაცასთან გაქვს ურთიერთობა. დიდი გაფრთხილება სჭირდება. რადგან ჩემი ოჯახი დანგრეულია, ეტყობა, ვერ გავქაჩე“**

ება. კარგად მღერის. იპრანჭება, ბალით არის გართული. ერთხელ სიცხიანს მივაკითხე. ლიზაც იქ იყო და თვალები გაუბრწყინდა, რა მაგარია, ერთად ვართო. მგულშემატკივრობს და მუხტს მაძლევს. ის რომ სპექტაკლს ესწრება, სხვა მუხტით ვთამაშობ“.

**თამუნა**

ცოლთან გაყრის შემდეგ მის ცხოვრებაში პაუზა ყოფილა. მეორედ ქორწინებას ჯერ გაურბის. თამუნას კი სამი-ოთხი თვეა იცნობს და ემეგობრება. ჩვენზე დიდი ამბები აგორდაო, ამბობს. მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ არის. თბილისი კი არის პატარა, მაგრამ ირგვლივ ბევრი თვალი და ყურია.

**სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე:**

- სერიოზული არაფერი, რაღაცები არსებობს, ახალგაზრდა ბიჭი ვარ :) განქორწინების მერე დიდი ხნის მანძილზე ვიყავი ეულად. ახლა მუშაობაზე ვარ გადართული.

**- და თამუნა მუსერიძეზე?**

- რამდენიმეჯერ დიოსკოთეკაზე ერთად დაგვინახეს. ეს საქართველოს მაფიაა.

**- თბილისიც პატარაა.**

- მართალია. თუმცა საფუძვლიანი ჭორები არ იციან.

**- საიდან იცნობ?**

- მეგობრის ქორწილში გავიცანი. მერე ერთ კლუბში სერიალის თრეილერი გადავიღეთ - „რა პატარაა თბილისი“, სადაც თამუნა პიარმენეჯერად მუშაობს. ამ თრეილერის ეპიზოდშიც მოხვდა. და ჩვენც დავმეგობრდით.

**- და კლუბური ცხოვრება დაიწყო.**

- დაიწყო. ახლა უფრო ხშირად შინაურულ წრეში ვტუსოვკობთ.

**- მაინც რა ურთიერთობაა ეს?**

- ვნახოთ, შევხედოთ. წინასწარ



ხომ არ ვიცით, არ იწერება. ეს თუ მოდის - მოდის, თუ არადა, კარგ მეგობრულ ურთიერთობად რჩება. თამუნა ძალიან კარგი, შრომისმოყვარე, ნაკითხი და კეთილი ადამიანია. ცუდი მხარე ჯერ არ დაუნახებია :) ვნახოთ. ჩვენ შორის თუ რაიმე იქნება, ჯანმრთელსა და კარგს ვისურვებდი.

**- ერთად თავს კარგად გრძნობთ?**

- მშვენივრად, რატომაც არა?! ადამიანის ცხოვრებაში ხომ მთავარია გვერდით ასეთი კარგი ადამიანები გედგეს. ახალი ტიპი რომ შემოდის შენს ცხოვრებაში, მაგრად ასწორებს.

**- შენს სპექტაკლებზე დადის?**

- აქტიურად დადის.

**ბაბუა**

მოკლედ, სანამ სანდრო და თამუნა ჩამოყალიბდებიან და ამ ურთიერთობას სახელს დაარქმევენ, მანამდე გავიგოთ, რას იღებს სანდრო მსახიობი ბაბუისგან.

„ბაბუა როლზე რომ მუშაობდა, არ შევდიოდი მის ოთახში, არ ვაწუხებდი. ტექსტს რომ გადადებდა, გამოვკითხავდი, რა პიესაა, ვინ და ვინ თამაშობთ, როგორ მიდის რეპეტიციები-მეთქი? ჩემი სპექტაკლის პრემიერის შემდეგ ყოველთვის ვეკითხები ჩემი ნათამაშევი როლის მინუსებზე. შენიშვნას რომ იღებ, მერე შენზეა დამოკიდებული, თუმცა ქვეცნობიერად გიჯდება და ცვლი. ჯემალი ძირითადად რბილი შემფასებელია, ბაბუაა და თან ჯემალია :) სერიალში მიყურებს. თურქული სერიალებიდან ბებია და ბაბუა ქართულ სერიალზე გადმოერთნენ. 11 საათი მოვიდა? იწყებაო და უყურებენ. არადა, თავიდან არ უნდოდა, რომ სამსახიობოზე ჩამებარებინა, მაგრამ თეატრიდან მთლად გამოსაგდები რომ არ ვარ, ხედავს“.

**სერიალი**

„ჩემი ცოლის დაქალებში“, კასტინგით, დათუნა გოცირიძესთან ერთად მივიდა. ერთი თეატრის მეგობარი მსახიობები ერთად თამაშით გახარებულები არიან. სანდრო



დოლიძელია, დათუნა ვერელი, მათი გმირები ხომ ძველი ბიჭები არიან და ამ თემაზე ხუმრობენ.

„დოლიძე ამოქმედდა. დათუნა ვერაა, მე დოლიძე და გავერთიანდით. ქუჩის ბიჭის თამაში არ მინდა. უსაქმურსა და მაფიოზურ ტიპს შორის არის განსხვავება. ჩემი გმირი კოალიციაშია, პრეზიდენტობაზე „აქაჩინებს“ ცოტაშვილს, დიდ საქმეებსაც აკეთებს. ჩემი და დათუნას გმირის მხარე დიდი ძალაა.

**- ჟარგონები შენთვის უცხო არ უნდა იყოს.**

- ახლოს არის. კარგი გადამღები ჯგუფია, ტექსტში სლენგი რომ მოირგო, ამაზე უარს არ გვეუბნებიან. რუსული ჟარგონებისგან შორს არ ვარ, რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული მეც და ჩემს მშობლებსაც. ჩემი წინა გმირი სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ ასაკითაც პატარა იყო და ხულიგანი უფრო იყო, ვიდრე რანგით ძველი ბიჭია. გრუშა მინდა ღირსეული ტიპი გამოვიდეს.

**„ვერ გავქაჩე“**

**- რა მოგცა პირველმა ქორწინებამ?**

- ძალიან დიდი გამოცდილება. დიდი ხნის მანძილზე მეორედ ქორწინებას არ ვაპირებ. შვიდი წელი მაინც. ევროპაშიც მინდა მოგზაურობა.

**- შეყვარებული როგორი ხარ?**

- ეგ დამავიწყდა უკვე. არა, მაგ გრძნობას ადამიანი ვერ ივიწყებს. თუ ერთხელ შეგხვდა, იცი, რა გრძნობაც არის და რამხელა რაღაცასთან გაქვს ურთიერთობა. დიდი გაფრთხილება სჭირდება. რადგან ჩემი ოჯახი დანგრეულია, ეტყობა, ვერ გავქაჩე. ორივეს ბრალი იყო. პატარები ვიყავით, ლიზა 16 წლის, მე 20-ის. სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი. ელენეც გვყავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ - ასე მოხდა. „ტეხავს“ ის, რომ შვილი იჭყლიტება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არაადეკვატურ აგრესიას ძირითადად ვუყურებ, რო… იუმორის საგანს, მასზე ვხალისობ და ვიცინი, თუ დრო…



„მას ვუყურებ, როგორც ადამიანს, რომელიც თავიდან აქტიურ ჟურნალისტიკაში იყო, შემდგომ ეს შეწყვიტა, გასაგები მიზეზების გამო, და ახლა მდარე შოუს წამყვანი გახდა“

## არჩილ გამზარდია: „სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში უფრო საშიში და ანტისახელმწიფოებრივი გახდა, ვიდრე ხელისუფლებაში იყო“

# EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

**გადაცემა „2030“-ის ეთერში გასვლას სოციალურ ქსელში ერთკვირიანი ხელჩართული ბრძოლა მოჰყვა. დაპირისპირებული მხარე საზოგადოების ინტერესის არსს გადაცემის დაბალი რეიტინგით ხსნიდა. „2030“-ის თანაწამყვანი არჩილ გამზარდია კი მიიჩნევს, რომ გადაცემის ფუნქცია გაცილებით ეფექტურად შესრულდა, ვიდრე გათვლილი იყო...**

**არჩილ გამზარდია, „2030“-ის თანაწამყვანი:**

– გადაცემას, რომელიც ერთი დღით ადრე დაანონსდა და გავიდა აქამდე არსებული გასართობი არხის ფორმატში, ისეთი რეზონანსი მოჰყვა, რომ ვთვლი, ეს არის მდგომარეობა, რომელიც ნებისმიერი გადაცემის მწარმოებელს სურს, ჰქონდეს. საზოგადოებამ დაიწყო მსჯელობა, როგორც გადაცემაზე ასევე იმ საკითხებზეც, რომელიც გადაცემის მსვლელობისას გაჟღერდა. ასეთი ტიპის გადაცემა ქართულ მედიასივრცეში უნიკალური მოვლენაა, იმ მხრივ, რომ ის არის ანალიტიკური შინაარსის, რომელსაც ჰყავს ანალიტიკოსი წამყვანი და მასში მონაწილეობს საზოგადოებაში გაერთიანებული მრავალი სპეციალისტი. ვფიქრობ, საზოგადოება გადაჩვეულია აკადემიურ, საქმეზე ორიენტირებულ გადაცემებს, სადაც არ არის ექსპრესია, ისტერია, დემაგოგია, გათვლა მხოლოდ სენსაციაზე... ამ მხრივ, ჩვენი გადაცემა საზოგადოებისთვის გარკვეულწილად უცხო ხილიც კი იყო. მინდა აღვნიშნო, რომ აქამდე წამყვანობის გამოცდილება არ მქონია. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ნომინალური პროგრამა შესრულებულია. ბუნებრივია, დახვეწა, განვითარება და შენიშვნების გაზიარება წინ გვაქვს.

**– თუმცა გადაცემას შენიშვნებზე მეტად აგრესია მოჰყვა შედეგად...**

– რეაქციები, ბუნებრივია, განსხვავებული იყო. ძალიან ბევრმა დადებითად შეაფასა, იყო უარყოფითი შეფასებებიც. მართალი გითხრათ, დადებითსაც და უარყოფითსაც ვიღებ მას შემდეგ, რაც საჯაროდ გამოვჩნდი. რომ გითხრათ, აგრესიული ტიპის შეფასებები ჩემთვის ძალიან საინტერესოა-მეთქი, მოგატყუებთ. არაადეკვატურ აგრესიას ძირითადად ვუყურებ, როგორც იუმორის საგანს, მასზე ვხალისობ და ვიცინი, თუ დრო მაქვს, რომ მსგავს გამოხატულებებს გავეცნო, ან საერთოდ არ ვეცნობი. ჩემთვის მსგავსი შეფასებები მნიშვნელოვანი და ფასეული არ არის. ასეთი რამ ყოველთვის ხდებოდა. რომ გითხრათ, დაინტერესებული ვარ, გავარკვიო მტრულად დამოკიდებული ადამიანების მოსაზრებები და ყურადღება მივაქციო მათ, ასე ნამდვილად არ არის, მოცალეობის ჟამს თუ გავერთობი ხოლმე.

**– ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, გაერთეთ...**

– კი, ასეა, გავერთე, მართალი გითხრათ და მინდა დავსძინო, რომ ნანუკა ჟორჟოლიანის შემთხვევაში, მის მიმართ ყოველთვის დადებითი განწყობა მქონდა და მაქვს კიდეც, მიუხედავად იმისა, რამდენად კორექტულად, ან არაკორექტულად იქცეოდა. მე მის პიროვნებას ვუყურებ, როგორც ცალკე აღებული ადამიანის მდგომარეობას, რომლის მეუღლეც ძებნაშია, ეს ცხოვრებაში საკმაოდ ტრაგიკული მომენტია, ამიტომ მე ამას საკმაოდ სენტიმენტალურად ვხვდები. ასევე, მას ვუყურებ, როგორც ადამიანს, რომელიც თავიდან აქტიურ ჟურნალისტიკაში იყო, შემდგომ ეს შეწყვიტა, გასაგები მიზეზები გამო, და ახლა მდარე შოუს წამყვანი გახდა. ამიტომაც მან თავისი სიტყვა, რომელიც აქტიურ ჟურნალისტიკაში შეიძლებოდა ეთქვა, ვერ თქვა. ამ შემთხვევაში, როდესაც მართავს ერთ-ერთ სააგენტოს, კომუნისტური პროპაგანდის მეთოდებზე მუშაობს, მინდა გითხრათ, რომ ესეც არ არის მისთვის საინტერესო, როგორც ჟურნალისტისთვის. ამიტომ მე მის მიმართ უფრო გულშემატკივრული პოზიცია მაქვს. მაგრამ არის საკითხები, რომლის ირგვლივაც ჩვენ შეიძლება გვქონდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები, ამაში მე პრობლემას ვერ ვხედავ. თუ დააკვირდებით, ჩვენი ყოველი მწვავე გასაუბრება დადებითად სრულდება, ესეც ადამიანური მომენტია. მიმაჩნია, რომ ნანუკასთან შეიძლება დიალოგი მწვავე ფორმით და სწორედ ამიტომაც ვუთმობ ხოლმე დროს. ამაში ვერ ვხედავ ტრაგედიას. მეტიც, ამ მიმართულებითაც დავიხვეწებით, მსგავსი მიმოწერა ხვალ-ზეგ უფრო დახვეწილი გახდება, უფრო მაღალი ინტელექტით გამოვთქვამთ ჩვენ-ჩვენს სათქმელს.

**– გოგა ხაჩიძის საპასუხო გადაცემას თუ გაეცანით?**

– გავიგე ამის შესახებ, ნახვით, არ მინახავს. ვეჭვობ, ჩემი დროის დახარჯვა ღირდეს ასეთი უნიჭო პროდუქტების საყურებლად. ვფიქრობ, ეს უნიჭო პროდუქტი იქნებოდა. მე ვიცნობ გოგა ხაჩიძის როგორც ძველ, ასევე ამ ეტაპზე მქონე შემოქმედებას, ბევრჯერ მომხვედრია თვალში მისი სასაცილო გამოხატულებები. შესაბამისად, რომ გითხრათ, მაინტერესებს მისი შექმნილი პროდუქტი-მეთქი, მოგატყუებთ. ადამიანს, რომელსაც აქვს თვითწარდგენის კომპლექსი და საზოგადოებას ვერც ერთ ეტაპზე ვერ აჩვენა საკუთარი თავი, ადამიანი, რომელიც ცნობილია ვიღაც მესამის სტატუსით, ჩემთვის საინტერესო არ არის.

**– გადაცემის ასეთ დაბალ რეიტინგს როგორ ახსნით?**

– რომელ რეიტინგს? მთელი კვირა ყველა ამ გადაცემაზე რომ საუბრობს თუ ოფიციალურად მოცემულ ციფრს?

**– არ ენდობით მონაცემებს?**

– პირველ რიგში, ვიტყვი იმას, რომ გადაცემა ამ წუთში ნამდვილად არ არის დაინტერესებული რეიტინგით. გადაცემის მთავარი მიზანი არის არა ტელეპროდუქტებს შორის რეიტინგი და კონკურენცია, არამედ პრეცედენტის შექმნა. გადაცემა შეიძლება არ მოდიოდეს სხვა გადაცემებთან კონკურენციაში, მაგრამ ის იყოს სიახლის, ინფორმირებულობის, რეალური სურათის ამსახველი და შემქმნელი. რაც შეეხება, ზოგადად, რეიტინგებს, ის სარეიტინგო მაჩვენებლები მეთოდური სისტემა, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს არსებობდა, მორგებული იყო „რუსთავი 2“-ზე. მე ამას ვამბობდი მაშინ, როდესაც აზრადაც არ მქონია გადაცემის წამყვანობა. ფიფლმეტრების მეთოდოლოგიით, გარკვეულ ოჯახებში, სადაც ფიფლმეტრი დგას, ორი ტელევიზორია. ერთი, რომელზეც უშუალოდ ფიფლმეტრი დგას და მუდმივად ერთ, კონკრეტულ არხზეა მომართული. არის ინფორმაცია, რომ მათ ამ ოჯახებში მეორე ტელევიზორი აქვთ მიტანილი, რომლის საშუალებითაც ოჯახი იმ არხებს უყურებს, რომლის ყურების ინტერესიც რეალურად აქვს. ფიფლმეტრებს უკვე აღარავინ უჯერებს, არც ერთი




საშუალო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, არათუ მაღალი კვალიფიკაციის მქონე. ამასაც რომ დავანებოთ თავი, გადაცემის ანონსი გავიდა ერთი დღით ადრე, ასევე, გავიდა იმ არხზე, რომელიც მანამდე იყო გასართობი შინაარსის. აღსანიშნავია ისიც, რომ GDS მოიცავს მხოლოდ თბილისს. ეს რიცხვი მთელი საქართველოს მასშტაბით რომ დაითვალონ, შესაძლოა, აბსოლუტურად სხვა მაჩვენებელი მიიღონ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით გადაცემა მთელი კვირის განხილვის საგანი გახდა და იგივე იქნება შემდეგ გადაცემაზეც, მერწმუნეთ. ფუნქცია, რომ გადაცემა საზოგადოებასთან ურთიერთობის საშუალება ყოფილიყო, მასთან მსჯელობაში შესვლა უფრო ეფექტურად შესრულდა, ვიდრე ჩვენ გათვლილი გვქონდა. ვხუმრობდი, თუ გადაცემა ასეთი დაბალრეიტინგული იყო, ნაციონალებმა რატომ აქციეს ის განხილვის საგნად? გამოდის, ისინი ჩვენი პრომოუტერები ყოფილან და ამიტომაც დიდი მადლობა მათ, ვისაც გადაცემა ურეიტინგო ეგონა.

**– გადაცემის ჩაწერამდე თუ შეხვდით ბიძინა ივანიშვილს?**

– რა თქმა უნდა, შევხვდი ადამიანს, რომელმაც წამყვანობა შემომთავაზა, ჩვენ გვქონდა საუბარი, ეს ჩვეულებრივი ამბავია.



## გოგა ხაჩიძეზე: „ვეჭვობ, ჩემი დროის დახარჯვა ღირდეს ასეთი უნიჭო პროდუქტების საყურებლად“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## გორც მაქვს“

**– გამოითქვა მოსაზრება, რომ თქვენ ილიას უნივერსიტეტში არ უნდა კითხულობდეთ ლექციებს, არ ფიქრობთ, რომ შეიძლება პრობლემები შეგექმნათ?**

– არანაირი პრობლემა არ შემქმნია ილიას უნივერსიტეტში. 8 წლის განმავლობაში ჩემთვის ეს არის უნიკალური სამუშაო ადგილი, სადაც არასოდეს, ყოველ შემთხვევაში დღემდე, არ მქონია პრობლემა. აბსოლუტურად თავისუფალ, აკადემიურ რეჟიმში ვიყავი მუდამ, მიუხედავად ჩემი მაშინდელი მმართველი გუნდისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა. გიგი თევზაძემ შექმნა მართლაც უნიკალური სამუშაო გარემო, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების მქონე პედაგოგები იყვნენ მოწვეულები და სრულიად ლიბერალური გარემო გახლდათ. მართალია, იყო შემთხვევები, როდესაც გარკვეული ჯგუფები ჩემს ან სხვა განსხვავებული აზრის მქონე პედაგოგების საწინააღმდეგოდ მიმართავდნენ ხოლმე ადმინისტრაციას, მაგრამ ასეთი აგრესიული და დესტრუქციული გამოხატულებები არასოდეს დაკმაყოფილებულა. არ ვიცი, ხვალ რა იქნება, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ასევე გაგრძელდება.

**– რამდენად იზიარებ „2030“-ის მოსაზრებას, რომ საქართველო 2030 წელს ევროპული ქვეყნების დონის ეკონომიკური სახელმწიფო გახდება?**

– ის შედეგი, რომელიც „2030“-მა საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ეტაპად წარმოადგინა, გულისხმობდა იმას, რომ, თუკი ქვეყანა წავა იმ დინამიკით, რომელიც დღეს არსებობს, საქართველო მიაღწევს რამდენიმე ევროპული ქვეყნის იმ მდგომარეობას, რომელიც მათ აქვთ დღეს. დასახელებული ქვეყნებიდან ერთ-ერთი იყო ესპანეთი, ანუ რა ეტაპზეც დღეს ესპანეთია, ჩვენ ვიქნებით 2030 წელს. ამ ხედვის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიღებული აქვს ბევრ გამოცდილ, პროფესიონალ სპეციალისტს. ბუნებრივია, ჩვენთვის ეს ხედვა, ეს მსჯელობა, ლოგიკა და არგუმენტი დამაჯერებელია. სხვა შემთხვევაში ჩვენ ამ იდეასა და ამ პოზიციას ვერ გავიზიარებდით. ზოგადად, ორგანიზაციაში ძალიან ბევრი საინტერესო, ზოგი ცნობილი, ზოგი ნაკლებად ცნობილი, ნიჭიერი სპეციალისტია გაერთიანებული. მიზანი არის ის, რომ საზოგადოებამ ნელ-ნელა ისწავლოს და შეძლოს ქვეყნის მართვა, რომელიც ქვეყნის წინ წაწევაზე იზრუნებს.

**– ნაციონალებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, მოახერხებენ მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსის შენარჩუნებას თუ ფიქრობთ, რომ გამოჩნდება ძალა, რომელიც მათ ჩაანაცვლებს?**

– დიდი იმედი მაქვს, რომ საზოგადოება და სხვა პოლიტიკური ძალები ნელ-ნელა შექმნიან ძალას, რომელიც რეალურად იქნება პოლიტიკური ოპოზიცია და არა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ძალა. მრავალი მოსაზრებისა და ნაბიჯების გამო „ნაციონალურ მოძრაობას“ საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს აფასებდა ძალიან კრიტიკულად. პირადად მე ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადავიდოდა, გაატარებდა რეალურ, შინაგან, სულიერ რებრენდინგს, რაც დააანონსეს კიდეც. მინდოდა, რომ მათი რეალური შეცვლა მომხდარიყო და სურვილიც მქონდა, რომ ამ პარტიასთან მეთანამშრომლა. სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში უფრო საშიში და ანტისახელმწიფოებრივი გახდა, ვიდრე ხელისუფლებაში იყო. იმდენად არაადეკვატური და იმდენად ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართული გახდა, რომ ოპოზიციადაც კი ვერ განვიხილავთ. ეს ტრაგედიაა. ვფიქრობ, რომ ოპოზიციაში მყოფმა ყველა პარტიამ მაქსიმალურად უნდა მოიწადინოს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური ბაზრიდან განდევნოს. განიდევნოს სუფთა პოლიტიკური თამაშით, მოთხოვნილება უნდა გაჩნდეს სხვა პოლიტიკურ ძალებზე და წინ ისეთმა ძალამ უნდა წამოიწიოს, რომელიც ხვალზეგ შეიძლება ჩვენი მომავალი ხელისუფლება გახდეს.

# საქართველოში „რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი“ დაარსდება








„დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი და უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმის“ შექმნას გეგმავს. მისი თქმით, მართალია, არსებობს ოკუპაციის მუზეუმი, მაგრამ ამ უკანასკნელში გარე მტრისგან მოყენებული ზიანის ამსახველი მასალაა შემონახული. სწორედ ამიტომ გამართლებულია, შეიქმნას ისეთი კერძო სტრუქტურა, სადაც ქვეყნის მთავრობის მიერ დაზარალებულ პირთა და სტრუქტურათა მასალები იქნება დაცული.

აღნიშნული ორგანოს ჩამოყალიბებას ეხმაურება, „დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებული აქცია – „გვახსოვდეს სისხლიანი რეჟიმი“. ერთგვარი პერფორმანსი ვიზუალიზაციის ეფექტურობაზეა დამყარებული.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის ნაკვალევი კარგად აღიბეჭდა რუსთაველის გამზირზე ორგანიზებულ აქციაში.

„ფოტოებზე აისახა ის მძიმე დანაშაულები, რაც კარგად დაამახსოვრდა ქართველ საზოგადოებას და ასევე, ის დანაშაულები, რის შესახებაც ბევრს არ სმენია“, – აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

მისივე თქმით, სამართლიანობის აღსადგენად არ უნდა დავივიწყოთ წარსული პოლიტიკური შეცდომები, რაც წინა მთავრობებმა ჩაიდინეს. და საიმისოდ, რომ არ იყოს დავიწყებული ეს ყველაფერი, „რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმის“ შექმნა, სწორედ რომ, დროულია.

„სამართლიანობის აღდგენა არის უმთავრესი ამოცანა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მძიმე დანაშაულები და საიმისოდ, რომ არ იყოს დავიწყებული ეს ყველაფერი, ჩვენ ვგეგმავთ უახლოესი თვეების განმავლობაში შევქმნათ რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი, სადაც იქნება გამოფენილი ამ ექსპოზიციაზე გაცილებით მასშტაბური და მეტი რაოდენობის ვიზუალური – ფოტო, ვიდეო და სხვა მასალები“, – დასძინა ლაშა ჩხარტიშვილმა.








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ეკა ხოფერიას გულახდილი

დეა თავბერიძე

**„ეს არის ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი პროცენტით შეცვალა ჩემი ცხოვრება და მე თვითონაც ძალიან შემცვალა“, - ამბობს ეკა ხოფერია და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით საინტერესო დეტალებს გვიყვება. თურმე ეკასთვის ეს წელი ყველაზე დაძაბულია. ეს სოციალურ ქსელში, საკმაოდ აქტიური ტელეწამყვანის მიერ განთავსებული პოსტებიდანაც იგრძნობა. პოსტებიც ზუსტად ისეთივეა, როგორიც მისი დღის განრიგი, აჩქარებული და ყოველივეს მოსწრების სურვილით გაჯერებული... რამდენიმე წამში ჩატეული კადრებით ეკა ხოფერია თავისი ცხოვრებიდან საინტერესო დეტალებს უზიარებს მკითხველს.**



**„როდესაც პოლიტიკური ჟურნალისტიკიდან წამოვედი, ხუმრობდნენ, კაცო, ადრე შეხვედროდა ამ მიშკას, ხომ არ იქნებოდა ამ პოლიტიკურ ჟურნალისტიკაშიო“**

**„არანაირი პროცენტით არ დამიშვია ეს, გამორიცხულია ამგვარი რამ“**

**ეკა ხოფერია:**

„შაბათ-კვირა ძიძების გარეშე, მიშკას ვამგზავრებ, პარალელურად ძიძების კასტინგი, „სითი“ ბარდება ონლაინ, ონლაინ იგეგმება ჩემი თოქ-შოუ, ხვალ იმედის კვირა, პარალელურად ბავშვების გადანაწილება ბებია - ბაბუებთან, ორშაბათს ერთი ძიძა, თოქშოუს ჩაწერა, ღამე ბავშვების მომზადება, იქამდე პასპორტის აღება, გასამგზავრებლად მომზადება, დილით ბავშვების კვლავ ბებია - ბაბუებთან გამგზავრება და მერე აეროპორტი და გაფრენა(ჩამოფრენის გიჟურ რიტმს აღარ მოვაყოლებ), ეგრევე იმედის კვირა და ასე შემდეგ Cezar otdixaet))“...

ეს ეკა ხოფერიას დაძაბული დღის რიტმია. დღეს ბევრად უფრო მშვიდად არის, დღეც „ლაითია“, თავადაც ბედნიერია, ქმარიც თბილისშია და ძიძაც ნაპოვნია.

**ეკა ხოფერია:** ჩვენი ძიძა წავიდა იმის გამო, რომ შვილიშვილებს მიხედოს, ამიტომ მომიწია მოძებნა. მეგობრები დამცინიან, რადგან არ არის ეგ უკვე ჩვეულებრივი ამბავი, მრცხვენია კიდეც. რახან ორი ძიძა მყავს და ხან ერთი იცვლება და ხან მეორე, გამოდის, რომ ხშირად ვეძებ. როდესაც სასოწარკვეთილი სოციალურ ქსელში ვწერ, ჩემი ახლობლები და მეგობრები მიგზავნიან თავიანთი რეკომენდაციებით. ამჯერადაც მათი რეკომენდაცია დამეხმარა.

**- რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს იმ ძიძამ, რომელიც ეკასთან მიდის გასაუბრებაზე?**

- ძალიან მნიშვნელოვანია ეს თემა, მაშინ როცა მთელი დღე გასული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ ბაღში დადიან ბიჭები, მაინც მინდა, რომ წყნარად ვიყო. უპირველესი არის, რომ მიიღონ ბავშვებმა, ისეთ ასაკში არიან სამი და ხუთი წლის, რომ მათ უკვე სხვა ტიპის ურთიერთობა უნდათ, მერე მაინც ბიჭები არიან, ბუნებრივია ცელქები და ამის გამო გადამეტებული ყურადღება სჭირდებათ. მთავარია იყოს მეგობარი და ისეთი, რომლის პატივისცემა აქვს ბავშვს და რომელიც უყვარს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ეს არ არის, რაც არ უნდა კარგი ადამიანი იყოს, არაფერი გამოდის. ჩემი გამოცდილებით ასეა. აი, ეგ არის მთავარი მოთხოვნა.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მოვიდე საღამოს რვაზე და დავაძინო ბავშვები. ამიტომ მთელი დღე ძალიან სწრაფ რეჟიმში მიწევს რაღაც-რაღაცების მოგვარება, ხან ვახერხებ, ხან არა.

ბებია-ბაბუებიც ძალიან მეხმარებიან. ყველაზე მნიშვნელოვანი პერსონა ჩემი მამამთილია, ძალიან მეხმარება. ბიჭებს აიყვანს ხოლმე პარასკევს ბებია-ბაბუასთან ქალაქგარეთ, აგარაკზე. არდადეგებზეც ასეა. ჩემი მეუღლე როცა წასული იყო და მე აქ გადარბენაზე ვიყავი, დამირეკა - ერთი კვირა ჩვენთან წავიყვან ბავშვებსო, ეს ძალიან დიდი შეღავათია...

**-„თოქ შოუ“, „იმედის კვირა“, ჟურნალი „სითი“, რეპორტაჟები უცხოეთიდან, ფაქტობრივად, სულ გადარბენებზე ხარ. არ გიჭირს ამგვარი ტემპით ცხოვრება?**

- ეს წელი ჩემთვის, მართლა ყველაზე რთულია და სულ ვფიქრობ, რომ რაღაც ცოტათი შევამციროო, მაგრამ არ გამოდის, პირიქით, კიდევ ახალი პროექტის დაწყება მინდა. ინგლისურენოვან „სითის“ ვფიქრობ, რომელიც სამ თვეში ერთხელ გამოვა.

გადაცემა ერთ დღეში არ იწერება, ხან რაღაც არის დასამატებელი, ხშირად გასვლაც მიხდება, ასევე „იმედის კვირა“, სადაც არაჩვეულებრივი გუნდი მუშაობს, რომელიც გვიმზადებს ყველაფერს, მაგრამ უნდა მიხვიდე, წაიყვანო, გაეცნო, თავისთავად კვირა დღე, ამოვარდნილი და დაკავებულია. ჟურნალსაც თავისი მიაქვს და ამ ყველაფერთან ერთად ბავშვებთან ურთიერთობა.

**- ქმრისთვის რამდენად გრჩება დრო ამ საქმიან ქალს?**

- ჩვენ ორივენი ძალიან დაკავებულები ვართ, მაგრამ არის რაღაც დღეები, როცა ერთად ვართ. ახლა უკვე კვირა გამოგვაკლდა, „იმედის კვირიდან“ გამომდინარე, მაგრამ პარასკევი და შაბათი საღამო უეჭველი ერთად უნდა ვიყოთ. და სხვა დღეებშიც ვცდილობ, რომ მალე მოვიდე, მაგრამ ეს უკვე მაინც სამუშაო დღეა, მოხვედი, ბავშვებთან, უცებ შეაჯამე დღე, ილაპარაკე, მერე დილით ისევ სამსახურში. მე ოთხშაბათსაც სამსახურში უნდა ვიყო და კვირასაც. ადრე ვახერხებდით, უცებ წავიდოდით სადღაც ორი კვირით, მაგრამ აი, მოვა ზაფხული და წავალთ ისევ.



**„როცა შევხვდით ერთმანეთს და შეგვიყვარდა, ვთქვით, რომ პირველი ერთმანეთს ვეტყოდით ამას. რადგან ყველაფერი ხდება, სიყვარულიც ქრება“**

**„ტოლობის ნიშანს დავსვამდი, სიყვარული და საყვარელი საქმე“**

**- ეს ერთად ყოფნის ორი დღე სახლში ჯდომითა და ერთმანეთის ტკბობით შემოიფარგლება თუ მეგობრებთან მიდიხართ ხოლმე?**

- ჩვენ ძალიან შეკრული სამეგობრო წრე გვყავს და, როგორც წესი, სულ ვცდილობთ, რომ ერთად ვიყოთ. ძალიან იშვიათად, მაგრამ აუცილებლად დავდივართ საინტერესო საღამოებზე. ძალიან გვიყვარს, როდესაც ვართ ჩვენს უახლოეს მეგობრებთან. ვერთობით, რაღაცებს ვამზადებთ, სისულელეებს ვაკეთებთ, იმას რასაც აკეთებენ ახლო მეგობრები, ყველაზე კარგად გატარებული დრო არის შენს უახლოეს მეგობრებთან გატარებული დრო. ზაფხულში გავდივართ ჩვენს


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „გიხარია მეორე დღე როცა თენდება და ეს ადამიანი შენთან არის... ეს ძალიან მაგარია“





## „ეს არის ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი პროცენტით შეცვალა ჩემი ცხოვრება და მე თვითონ შემცვალა“

EXCLUSIVE

აგარაკზე ქალაქგარეთ, იქ არის ყოველ საღამოს ვიღაცების ამოსვლები, ჩასვლები. ჩვენი ოჯახი ამ მხრივ ტრადიციულია და მე ეს ძალიან მომწონს.

**- იცი რა გამახსენდა, გია ჯაჯანიძის შოუდან, როცა გია გიმტკიცებდა შენი ქმარი გღალატობდა და ფაქტები მაქვს, გაჩვენებო. ერთი წამითაც არ შეგპარვია ეჭვი ქმარში, რატომ იყავი ასე დარწმუნებული? კაცია და ხომ შეიძლება თვალი სხვა ქალისკენაც გაეპაროს?**

- ეს ის თემაა, რაც ძალიან სასაცილოა, დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად იგივე იქნებოდა მიშკას შემთხვევაში, რადგან არის რაღაცები, რაზეც კითხვის ნიშნები არ ჩნდება. არანაირი პროცენტით არ დამიშვია ეს, გამორიცხულია ამგვარი რამ. თუ ეს ერთი პროცენტი დადგება, პირველი ვინც ამას იგრძნობს, მე ვიქნები. ისეთი ნდობის მომენტი გვაქვს და იმდენად ახლობელი ადამიანები ვართ ერთმანეთისთვის, რომ გამორიცხულია, რამე ამდაგვარი. როცა შევხვდით ერთმანეთს და შეგვიყვარდა, ვთქვით, რომ პირველი ერთმანეთს ვეტყოდით ამას. რადგან ყველაფერი ხდება, სიყვარულიც ქრება. შევთანხმდით, რომ თუ ეს სიყვარული არ იქნა, უბრალოდ, ერთად ყოფნას აზრი არა აქვს.

**-კონტრაქტივით გამოგსვლიათ.**

- ჰო, რადგან არის ნდობა. გარდა იმისა, რომ გრძნობა მაქვს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია რაღაც ისე არ გავაკეთო. ადამიანს როცა უყვარხარ და გიყვარს, რატომ უნდა აწყენინო, რატომ უნდა მოატყუო? ჯობია სიმართლე უთხრა, საბედნიეროდ ამ განსაცდელის წინაშე არ ვართ.

**- ერთ-ერთ თქვენს ფოტოზე ამგვარი წარწერაც ამოვიკითხე, რაც წლები გადის მით უფრო უყვარდებათ ერთმანეთიო.**

- ჩვენ ისეთ ასაკში შევხვდით ერთმანეთს, რომ... თან ეს არ იყო ორივესთვის პირველი გრძნობა. ეს იყო უკვე რაღაცების შემდეგ მოსული, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდები, შენ ხვდები ეს ასე უნდა იყოს თურმე. ბუნებრივია, ყველაფერი ხდება და რეჟიმიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება მეტი დრო გაატარო ქმართან, მეტი ყურადღება გამოიჩინო, ამაზე ძალიან გწყდება გული, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ იმ მთავარ გრძნობაში ხარ გულწრფელი. ის კი ჩვენი პროფესიული არჩევანია და საწუწუნო არაფერია, უნდა გავქაჩოთ.

**- ქალს რა სჭირდება ბედნიერებისთვის?**

- ტოლობის ნიშანს დავსვამდი, სიყვარული და საყვარელი საქმე. სიყვარულში იგულისხმება ქმარი, შვილები, ოჯახი, ბევრი რამ, მაგრამ პირველ რიგში კაცი, რომელიც გაძლევს სტიმულს და ძალიან ბევრ რაღაცას, ყველაფერს აკეთებ იმისთვის, მეორე კი საყვარელი საქმე, რომელშიც შენი შრომის შედეგს ხედავ, რაც დამატებით ძალას გაძლევს, რომ კიდევ უფრო მეტი გააკეთო.

**- შენს შემთხვევაში მიშკა არის ის ადამიანი, რომელმაც მოგცა სტიმული და ამდენ საქმეს მისი დამსახურებით ეჭიდები და თავს ართმევ?**

- ჩემს შემთხვევაში, სიყვარული და საყვარელი საქმე ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც პოლიტიკური ჟურნალისტიკიდან წამოვედი, ხუმრობდნენ, კაცო, ადრე შეხვედროდა ამ მიშკას, ხომ არ იქნებოდა ამ პოლიტიკურ ჟურნალისტიკაშიო. ეს არის ადამიანი, რომელმაც ძალიან დიდი პროცენტით შეცვალა ჩემი ცხოვრება და მე თვითონ შემცვალა, ამას ძალიან ბევრი მეუბნება. სტიმულია, რომ რაღაც აკეთო, გიხარია მეორე დღე როცა თენდება და ეს ადამიანი შენთან არის. ეს ძალიან მაგარია, უნდა დააფასო ეს და არ იყო უმადური და არ იოცნებო კიდევ რაღაც სისულელეებზე, შეიძლება ეს ცოტა გვიან მოხდა, მაგრამ მაგარია, რომ მოხდა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კიდევ მე ვარ აგრესორი? – რუსეთის შეკითხვა



**პრემიერის წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძემ რამდენიმე ხნის წინათ დახურული შეხვედრა გამართა. შეხვედრას ქართველი ექსპერტებიც ესწრებოდნენ. დიპლომატმა ამ შეხვედრაზე საინტერესო ისტორია გაიხსენა:**

შევარდნაძის დროს ის რუსეთის გენშტაბის უფროსს შეხვდა, მაშინდელ მინისტრებთან მენაღარიშვილთან და თევზაძესთან ერთად. შეხვედრაზე ქართულ მხარეს უთქვამს, ნატო რეფორმებს ატარებს, ის არ არის აგრესორი და ვითარება იცვლებაო. გენშტაბის უფროსს რუკა მოუტანია, ქართველების წინ გაუშლია და უთქვამს, – ნახეთ, სად გადიოდა ნატოს საზღვარი 10 წლის წინათ, და ახლა ხედავთ, როგორ მოიწევს ის რუსეთის საზღვრებისკენ და კიდევ ნატოა რეფორმატორი და მე აგრესორიო?

ეს მაგალითი ზურაბ აბაშიძემ იმის დემონსტრირებისთვის მოიყვანა, რომ ქართველი ექსპერტებისთვის ეთქვა, რამდენად სახიფათო და რთულია რუსეთთან ურთიერთობა და მოლაპარაკება.

გიორგი მარგველაშვილს გამოცდილება არ ეყოფა, რომ რუსეთში წავიდეს და პუტინს ელაპარაკოს. ეს მისთვის რთული გამოწვევა და შეუსრულებელი მისია იქნება, – ასე ფიქრობენ ქართველი ექსპერტები. სალაპარაკოც არაფერია, თუნდაც იმიტომ რომ რუსეთი პოლიტიკაში კომპრომისებს არ ცნობს. მისი სტილი დიპლომატიაშიც უხეში და ძალადობრივია.

კრემლისგან 9 მაისის ზეიმზე მიწვევა გიორგი მარგველაშვილმა მიიღო. დიდი ხანია, ხელისუფლებას მოსკოვიდან ასეთი მოსაწვევი არ მოსვლია. და ხმაურიც მაშინვე ატყდა. რას ნიშნავს ეს მოწვევა. ექსპერტების აზრით, მოსკოვმა ჩათვალა, რომ ცუდი მიშა წავიდა და საქართველოში კარგი ხელისუფლება მოვიდა.

თუმცა, ეს „კარგი“ ხელისუფლებაც არ აპირებს წასვლას.




# მედიის მონიტორინგი დაიხურა

მიხეილ სააკაშვილის დროს მედიამონიტორინგზე დიდი თანხები გამოიყო. კვლევები აქტიურად ტარდებოდა და ფინანსებიც სოლიდური იხარჯებოდა. თუმცა, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, კვლევებიც შეწყდა. ია ანთაძე, რომელიც ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული, განმარტავს, რომ დონორების მხრიდან ასეთი პროგრამები აღარ ფინანსდება. მისივე განმარტებით, ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება საინტერესო იქნებოდა.



# ზურაბ მხეიძე: „ფსიქო
# და თან პოლიტიკოსი?

ქეთი ხატიაშვილი

**პოლიტიკა და ფსიქოლოგია, როგორ ზემოქმედებენ პოლიტიკოსები ხალხზე და მედიაზე, რა საშუალებებით ცდილობენ ისინი გავლენების მოპოვებას, ხალხია პოლიტიკოსებზე დამოკიდებული თუ პირიქით, ელექტორატი კარნახობს მოთხოვნებს. ამ თემებზე „პრაიმტაიმს“ ფსიქოლოგი ზურაბ მხეიძე ესაუბრა.**



„ახლანდელი ხელისუფლება ყველაზე ახლოსაა, თუ უკვე არ არის, ქვეყნის დემოკრატიზაციის მაღალ ხარისხთან. ახლა საზოგადოება უნდა მიეჩვიოს ასეთ გარემოში ცხოვრებას“

**– თქვენი დაკვირვებით, ქართველი პოლიტიკოსები რა ფსიქოლოგიურ მეთოდებს იყენებენ ხალხზე ზემოქმედებისთვის?**

– ფსიქოლოგიური მეთოდები ცოტა გაზვიადებულია... აქ საუბარია უფრო დარწმუნების ტექნიკასა და კომუნიკაციის უნარებზე, რომელიც აუცილებელია გავლენის მოსახდენად. იყენებენ, თუმცა ყველა არა, ძალიან ჭარბია დემაგოგიისა და ე.წ. შავი რიტორიკის ელემენტები, ზოგიერთს საერთოდ პრობლემები აქვს ლოგიკასთან.

**– ტარდება თუ არა საქართველოში კვლევები იმის დასადგენად, რა გაიყიდება პოლიტიკურ ბაზარზე, რაზე აქვს ხალხს მოთხოვნილება, რა კვლევებია ეს და აისახება თუ არა შემდეგ შედეგები მედიაზე. თუ მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსები მედიას იყენებენ ხალხზე ზემოქმედებისთვის?**

– კითხვა კარგად ვერ გავიგე. ანუ ეს ორი კითხვაა. ტარდება თუ არა? კი, კვლევები ტარდება. და პოლიტიკოსები რომ მედიას გავლენებისთვის იყენებენ, ეს ვარაუდი კი არა, ფაქტია და ბუნებრივია. წარმოიდგინეთ, ყველა მედიასაშუალებამ რომ მოილაპარაკოს და ერთი თვე არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოჩნდეს, რა სიწყნარე იქნება... მედია პოლიტიკოსის საარსებო გარემოა. რაც სოციალური ქსელი გაჩნდა, ისიც გარყვნეს დაქირავებულმა და პოლიტიკური ინტერესების გამტარებელმა ჯგუფებმა. ასე რომ, თუ სადმე ხვრელია მოსახლეობასთან შესაღწევად, ყველგან შეძვრებიან.





„ძალიან ჭარბია დემაგოგიისა და ე.წ. შავი რიტორიკის ელემენტები, ზოგიერთს საერთოდ პრობლემები აქვს ლოგიკასთან“

**– რა ფსიქოლოგიური მახასიათებლებით შეიძლება დახასიათდეს ჩვენი პოლიტიკური ლიდერშიფი? შეიძლება კონკრეტულად ვისაუბროთ, რა და როგორ შეიცვალა, მაგალითად, გამსახურდია-ჭანტურიადან მოყოლებული და სააკაშვილი-ივანიშვილით დასრულებული?**

– კონკრეტულად რა მოთხოვნაც არის, ლიდერიც შესაბამისი ჩნდება. ეროვნული მოძრაობისთვის გულწრფელობა და თავისუფლებისკენ სწრაფვა იყო დამახასიათებელი. გულწრფელი ემოცია და ქვეყნის მართვის ნაკლები კომპეტენცია – გამსახურდია. შემდეგ დადგა მოთხოვნა ქვეყნის მართვის უნარისა და კომპეტენციისა. იმ დროისთვის არსებული კანდიდატებიდან ასეთი იყო ედუარდ შევარდნაძე – კომპეტენტური და პროგრესული, თუმცა მაინც საბჭოთა მენტალობის ლიდერი. შემდეგი მოთხოვნა საბჭოთა მენტალობით დაჭაობებული გარემოს შეცვლა გახლდათ და აქ ჩნდება სააკაშვილი – თავისი დაუოკებელი ენერგიით, რომელმაც მართლაც გარკვეული გარდატეხა მოახდინა მენტალობაში, მაგრამ იმდენად დაუოკებელი იყო, რომ ქვეყანა კინაღამ გადააყოლა თავის ამბიციებსა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

შემდეგი მოთხოვნა სააკაშვილის ავტოკრატიულმა რეჟიმმა განაპირობა. მოთხოვნა დემოკრატიულ ფასეულობებზე და ახლა ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელმაც მთლიანად მოახერხა დემოკრატიული ქვეყნისთვის დამახასიათებელი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა. ცნობილია, რომ, როგორც კი ერთი მოთხოვნა კმაყოფილდება, აუცილებლად ჩნდება სხვა... და ახლა ხელისუფლებასთან სხვა მოთხოვნა გაჩნდა – საქმის კეთება, პროფესიონალიზმი და კომპეტენცია. მგონია, რომ სწორედ ეს არის საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მიღწევა. თუ ეს მოთხოვნა შემდეგ არჩევნებშიც შენარჩუნდება, მაშინ საზოგადოების განვითარების პროგრესი აშკარაა. ასე რომ, რისი დეფიციტიცაა, მასზე მოთხოვნა იზრდება და გაცილებით ფასეული ხდება. ისტორიულ ჭრილში ყველა ლიდერმა წვლილი შეიტანა


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლოგიურად ჯანსაღი ამაზე არ მიფიქრია“



**„მე რომ ჯანსაღი პოლიტიკოსები ჩამოვთვალო, ყველა დანარჩენი არაჯანსაღი და ავადმყოფი გამოდის“**

## EXCLUSIVE

საზოგადოების მოთხოვნების ფორმირებაზე და თუ დავაკვირდებით, აქ აშკარა პროგრესია.

**– ხალხის პოლიტიკური განწყობებითა და მათი ფსიქოლოგიური პორტრეტით შესაძლებელია იმის დადგენა, მმართველობის რა ფორმაა ქვეყანაში? ანუ დემოკრატიაა, ავტორიტარიზმია თუ დიქტატურა...**

– ხალხის განწყობა ფაქტებთან მიმართებაში ყალიბდება და რა საჭიროა ფსიქოლოგიური პორტრეტებითა და განწყობებით ამის კვლევა. რა ფორმაა – ჩანს მართვის პოლიტიკური სტრუქტურიდან, რამდენად დამოუკიდებელია და ერთმანეთს აკონტროლებს საკანონმდებლო ორგანო, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო, რამდენად თავისუფალია მედია ხელისუფლების ზეწოლისგან, რამდენად გამჭვირვალეა ხელისუფლების საქმიანობა და ექვემდებარება თუ არა საზოგადოების მხრიდან კონტროლს. თუ ეს ყველაფერი სახეზეა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანა დემოკრატიულია. ახლანდელი ხელისუფლება ყველაზე ახლოსაა, თუ უკვე არ არის, ქვეყნის დემოკრატიზაციის მაღალ ხარისხთან. ახლა საზოგადოება უნდა მიეჩვიოს ასეთ გარემოში ცხოვრებას. დემოკრატიული სისტემა პასუხისმგებლობის გადანაწილებას გულისხმობს როგორც ხელისუფლებისთვის, ისე თითოეული მოქალაქისთვის. ჩვენ, ჩვენი მენტალობით, ძირითად პასუხისმგებლობას, საკუთარი თავის გარდა, ყველას ვაკისრებთ. ანუ ის, ვინც ერთ ტომარა ფქვილზე ხმას მისცემს და 20 და 50 ლარის გამო პოლიტიკურ პარტიას მხარს დაუჭერს, ისევეა პასუხისმგებელი თავის ქვეყანაზე, როგორც ხელისუფლება. ასე რომ, ვინც გვყავდა და ვინც გვეყოლება ხელისუფლებაში, თუ ცუდია, ჩვენი ბრალიცაა და თუ კარგია, ჩვენი დამსახურებაც.

**– თქვენი აზრით, ვინ არიან ფსიქოლოგიურად ჯანსაღი პოლიტიკოსები და რა ადგილი უკავიათ მათ რეიტინგებში? რა ადგილი უკავია მედიას ამ ბრძოლაში და პოლიტიკოსის მხრიდან ბაზარზე დამკვიდრების პროცესში?**

– ფსიქოლოგიურად ჯანსაღი და თან პოლიტიკოსი? ამაზე არ მიფიქრია... ეს ისე, ხუმრობით, რა თქმა უნდა. ახლა ამ კითხვაზე პასუხი რას ნიშნავს – მე რომ ჯანსაღი პოლიტიკოსები ჩამოვთვალო, ყველა დანარჩენი არაჯანსაღი და ავადმყოფი გამოდის. მათ თავიანთი ამომრჩეველი ჰყავთ.





## რატომ ჩამოდის ლუკაშენკო - რეალური მიზეზი



ბელორუსის პრეზიდენტი საქართველოში ერთ თვეში ჩამოვა. მუშა ჯგუფებმა მუშაობა უკვე დაიწყო. გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ლუკაშენკო მარგველაშვილს შეხვდება და საქართველოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას მოსთხოვს, არ დასტურდება. კარგად ინფორმირებული წყაროების ცნობით, საუბარი მხოლოდ ორმხრივ ეკონომიკურ თანამშრომლობას შეეხება.

ყველა საუბარი იმის თაობაზე, თითქოს ლუკაშენკო პუტინის დესანტია და საქართველოს ხელისუფლება ზურგს უკან ევრაზიაში გაწევრიანებას გეგმავს, უბრალოდ, შავი პიარია.

„ეროვნულ ფასეულობათა ინსტიტუტის" დამფუძნებელი, ევროპის საბჭოში საქართველოს ყოფილი ელჩი **მამუკა ჟღენტი** კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ბელორუსი საქართველოს ევრაზიაში კი არ შეიყვანს, იქით სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას ევროკავშირთან დაახლოებაში დახმარებას.

„ალექსანდრე ლუკაშენკო თბილისში ჩამოდის. თქვეს, თითქოს ის რუსეთის მესიჯებს ჩამოიტანს. ეს სპეკულაციებია. ლუკაშენკო რამდენიმე თვის წინ მოლდოვაში იყო და იქ მხოლოდ ორმხრივ თანამშრომლობაზე ისაუბრეს ეკონომიკური კუთხით. საქართველოშიც ძირითადი ყურადღება ეკონომიკურ თანამშრომლობას დაეთმობა და ასევე, ბელორუსის პრეზიდენტმა შეიძლება გვთხოვოს ევროკავშირთან დაახლოებაში დახმარება“, – განაცხადა მამუკა ჟღენტმა.

## დიდი ბრიტანეთი საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას, ბოსნიასა და სერბეთს დაახლოებით 28 მლნ ევროს გამოუყოფს



დიდი ბრიტანეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას, ბოსნიასა და სერბეთს დაახლოებით 28 მილიონ ევროს გამოუყოფს. ამის შესახებ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ქემერონმა გუშინ ბრიუსელში გამართული სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, გამოყოფილი თანხა იმ ქვეყნებს უნდა მოხმარდეს, რომლებსაც რუსეთის მხრიდან ძალადობასთან უწევთ გამკლავება. ფინანსური დახმარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა დემოკრატიული ინსტიტუტების გასაძლიერებლად, კორუფციასთან საბრძოლველად, პოლიციისა და ჯანდაცვის, ასევე საბანკო და საგადასახადო სისტემების რეფორმირებისთვის უნდა გამოიყენონ.

„დიდი ბრიტანეთის გრძელვადიან ინტერესს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებთან ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოების არსებობა. ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ კიდევ ერთი უკრაინა“, – **განაცხადა დევიდ ქემერონმა.**

ფინანსური დახმარება 2015-2016 წლებზეა გათვლილი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი პროექტი სოფლის მე

გიორგი ურუშაძე

**სანამ პოლიტიკური ოპონენტები კრიტიკისთვის მიზეზებს ეძებენ და ხშირად უმიზეზოდაც ცდილობენ, ჭიქაში ქარიშხალი დაატრიალონ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ პროექტებზე მუშაობას განაგრძობს. გასული წლების მსგავსად, წელსაც სამინისტრო წარმატებულ სტარტს იღებს ახალ პროექტში - „დანერგე მომავალი“. განაცხადების მიღება 6 მარტიდან დაიწყო.**

პროექტი მრავალწლიანი ბაღების გაშენებასა და სანერგე მეურნეობების მოწყობას ისახავს მიზნად. სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას განცხადებით, ამ პროექტის ფარგლებში, ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება და გლეხს საშუალება მიეცემა, საკუთარი ბიზნესი სამინისტროს დახმარებით განავითაროს.

ახალი პროექტის განხორციელების შედეგად, მეწარმეები და ფერმერები შეძლებენ, აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც, პირველ რიგში, იმპორტირებულ პროდუქციას გაუწევს კონკურენციას. შემდგომი ეტაპი კი ქართული პროდუქტის ექსპორტი იქნება.

პროექტის თანახმად, 1000-1200 ჰექტარზე თანამედროვე ტიპის ბაღები გაშენდება. პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი გადაბერებული ჯიშების განახლება და „დაკარგული“ ჯიშების ხელახალი აღმოჩენაა. როგორც ირკვევა, ასეთი ჯიში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ბევრია. ოთარ დანელიას განცხადებით, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი უკვე მუშაობს დეტალების შესწავლაზე და მიმდინარე წელს შუალედური შედეგებიც გახდება ცნობილი.

**ოთარ დანელია, სოფლის მეურნეობის მინისტრი:**

– გასული წლის მიწურულს რამდენიმე პროექტის ინიცირებაზე ვმუშაობდით, მათ შორის ერთ-ერთია „დანერგე მომავალი“. დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოებაა ის, რომ ჯიშები არ არის სტანდარტიზებული, ხშირ შემთხვევაში ბევრ რეგიონში შესწავლილიც კი არ არის, რა კულტურებია, რომელი ჯიშებია, რა ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს, რა დანიშნულებისაა და არის თუ არა გადაბერებული. სწორედ ამიტომ პროექტის მიზანი, პირველ რიგში, გახლავთ არსებული ბაღების განახლება. ნებისმიერი ბაღი, მეურნეობა, რომელიც რეალიზაციასთან ასოცირდება, მომგებიანი უნდა იყოს. სხვადასხვა მეთოდები არსებობს იმისთვის, როგორ შეიძლება გაშენდეს ბაღები, იქნება ის ინტენსიური, ნახევრად ინტენსიური თუ კიდევ სხვა ტიპის. გვინდა, ხელი შევუწყოთ სწორედ ამ პროცესს. უნდა გაშენდეს ახალი, თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ბაღები, მოხდეს ძველი, საკმაოდ ხანდაზმული ბაღების განახლება. პროექტი ითვალისწინებს ორ მნიშვნელოვან კომპონენტს – ეს არის წვეთოვანი სისტემა, ანუ სარწყავი სისტემა და ბენეფიციარების ტრენინგი. ეს პროგრამა შემთხვევით არ შეგვიდგენია, ის მომზადდა სერიოზული ანალიზის შედეგად. არასწორი აგროტექნიკის, მოვლის არასწორი მეთოდების გამოყენება სერიოზულ ზიანს აყენებს ბაღებს. ამიტომ გლეხები, მებაღეები, ბენეფიციარები, ის ადამიანები, ვინც პროექტში ჩაერთვებიან, გადამზადდებიან. ამისთვის აუცილებელია ნედლეული, ნერგი. ამ მხრივ პრობლემაა, რადგან ძირითადად ხდება ნერგების შემოტანა. ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანი ყიდულობს ნერგს, ჰგონია ერთი სახეობა და წლების შემდეგ აბსოლუტურად სხვა რამეს იღებს შედეგად. შესაბამისად, ესეც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა და გამოსასწორებელი მიმართულებაა ჩვენთვის. ბენეფიციარებს ასევე შეეძლებათ, ისარგებლონ ყველა იმ არსებული პროდუქტით, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სთავაზობს, ეს გახლავთ თანადაფინანსება და აგროდაზღვევა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გახლავთ სისტემური და ის მიმართულია იმისკენ, რომ დაახლოებით ორსამ წელიწადში ჩვენ გვქონდეს პრაქტიკულად რადიკალურად განსხვავებული სურათი და საქართველოს ჰქონდეს ძალიან კარგი პოზიცია ბაზარზე. მით უმეტეს ჩვენ უკვე ვითვალისწინებთ ევროპასთან ინტეგრაციას და თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობას. ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტის ნაწილში.




**„ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა იმპორტირებული პროდუქტის ადგილობრივით ჩანაცვლება. ექსპორტი უკვე შემდგომი პოზიციაა“**

**„ნებისმიერი ბაღი, მეურნეობა, რომელიც რეალიზაციასთან ასოცირდება, მომგებიანი უნდა იყოს“**

**– როდესაც ექსპორტზეა საუბარი, კონკრეტულ ქვეყნებზე ხდება გათვლა?**

– პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ რომ საქართველოში საკმაოდ დიდი პროდუქტის იმპორტი ხდება. შესაბამისად, ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა იმპორტირებული პროდუქტის ადგილობრივით ჩანაცვლება. ექსპორტი უკვე შემდგომი პოზიციაა. ექსპორტის ნაწილში ვიტყვი, რომ ქართული პროდუქცია გამოირჩევა თავისი თვისებებით, როგორც მეზობელი ქვეყნებისთვის, ასევე რეგიონშიც, ქართული პროდუქცია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველია. იგივეს გავაკეთებთ ევროპასთან მიმართებაშიც, პრინციპში, ევროპასთან ბევრ პოზიციაში უკვე გვაქვს ექსპორტი და როდესაც ქართული პროდუქტი დააკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, როდესაც ის იქნება მოთხოვნისამებრ დამუშავებული, დაფასოებული, ის თავისთავად გახდება ყველასთვის მისაღები, მათ შორის ევროპისთვისაც. წელს ჩვენ საკმაოდ კარგი წელი გვქონდა როგორც რთველის, ასევე ციტრუსის მოსავლითაც. როდესაც რამდენიმე ქვეყანაში ციტრუსის ექსპორტი მოხდა, პირდაპირ გეტყვით, რომ ეჭვი შეეპარათ, რომ ის ნამდვილად ქართული წარმოების იყო, იმდენად მაღალ დონეზე გახლდათ დაფასოებული, დამუშავებული და შეფუთული. ჩვენ უკვე ნელ-ნელა გადავედით ევროპულ სტანდარტებზე და ეს არის რეალობა. ჩვენი მიზანია, რომ ამ რეალობამ უფრო მასშტაბური სახე მიიღოს.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ პირველი მიზანი იმპორტირებული პროდუქტის ადგილობრივით ჩანაცვლებაა, გეგმა არსებობს პირველ ეტაპზე, ვთქვათ, რა პროცენტულობის ჩანაცვლება მოხდება?**

– საქართველოში, ადგილობრივი რესურსის გათვალისწინებით, მინიმუმ, 80%-ის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, თუმცა იმპორტი იზრდება არასეზონის დროს. ამას კი ახლავს ლოჯისტიკასთან, შენახვასთან დაკავშირებული პრობლემები და პროცესი არ არის სისტემატიზებული. ჩვენ არ გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი გეგმა და ვერ ხერხდება რაციონალური დაგეგმვა. ჩვენ ამ მიმართულებითაც ძალიან ფართომასშტაბიანი პროექტის განხორიცელებას ვაპირებთ. სწორედ ეს გახლავთ მეორე ეტაპი, რომელიც პროექტის სახით უკვე მომზადებულია. პროექტი ხელს შეუწყობს მოსავლის შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში დაბინავებას. მას შეინახავენ სპეციალურ ადგილას, სპეციალურ რეჟიმში, სადაც 15-20%-ით ნაკლები დანაკარგი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ სეზონზე ჭარბი რაოდენობის მოსავალი მოვა, შევძლებთ ამ რაოდენობის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას, ის გადანაწილდება და არასეზონზე, იმპორტირების პიკზე პროდუქციას ადგილობრივით ჩავანაცვლებთ. ეფექტი იქნება ძალიან სწრაფი და ძალიან მალე. დაახლოებით 3 წლის თავზე კი უკვე ჩვენი პროექტის შედეგსაც მივიღებთ.

**- რაც შეეხება ტრენინგებს, რომელიც ბენეფიციარებს უნდა ჩაუტარდეთ, ვინ განახორციელებს მათ დატრენინგებას?**

– ჩვენ გვაქვს რამდენიმე მიდგომა, ამ მხრივ. ეს არის ტრენერის ტრენინგი პირველ ეტაპზე, ჩვენ გვეყოლება ჯგუფი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებით დაკავდება, ტრენინგები ჩატარდება მონაცვლეობით. მოგეხსენებათ, ყველა მუნიციპალიტეტში გყავს წარმომადგენლები. ამ ბაზის გათვალისწინებით უკვე შეიქმნა ტრენერების მობილური ჯგუფი.

**– აღნიშნეთ, რომ ხშირ შემთხვევაში რეგიონებში ჯიშებზე დეტალურ ინფორმაციებს არც კი ფლობენ, არის ე.წ. დაკარგული ჯიშები...**

**„წელს ჩვენ საკმაოდ კარგი წელი გვქონდა როგორც რთველის, ასევე ციტრუსის მოსავლითაც. როდესაც რამდენიმე ქვეყანაში ციტრუსის ექსპორტი მოხდა, პირდაპირ გეტყვით, რომ ეჭვი შეეპარათ, რომ ის ნამდვილად ქართული წარმოების იყო, იმდენად მაღალ დონეზე გახლდათ დაფასოებული, დამუშავებული და შეფუთული“**

**„ჩვენ გვეყოლება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უშუალოდ გააკონტროლებს თანხის ხარჯვას, მიზნობრიობას და აწარმოებს დოკუმენტურ მონიტორინგს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ურნეობის სამინისტროსგან



**ოთარ დანელია:**
**„ეფექტი იქნება ძალიან სწრაფი და ძალიან მალე. დაახლოებით 3 წლის თავზე კი უკვე პროექტის შედეგსაც მივიღებთ“**

# „დანერგე მომავალი“

**„საკითხისადმი ასეთი მიდგომა გახლავთ სისტემური და ის მიმართულია იმისკენ, რომ დაახლოებით ორ-სამ წელიწადში ჩვენ გვქონდეს პრაქტიკულად რადიკალურად განსხვავებული სურათი და საქართველოს ჰქონდეს ძალიან კარგი პოზიცია ბაზარზე“**

## EXCLUSIVE

PLANT THE FUTURE
დანერგე მომავალი

– სამეცნიერო კვლევითი ცენტრი სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს, უკვე მიმდინარეობს სერიოზული კვლევების წარმოება, შესწავლა. მოხდება როგორც ჯიშების აღდგენა, ასევე ახალი ჯიშების გამოყვანა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, წელსაც სამინისტრო ახალ პროექტში ჩართვის მსურველ პირებს თანადაფინანსებას სთავაზობს. თანამშრომლობისთვის ბენეფიციარებმა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში უნდა წარმოადგინოს სანერგე მეურნეობის შექმნის დეტალური პროექტი, დოკუმენტაციასთან ერთად. განაცხადების განხილვისა და მოწონების შემთხვევაში სააგენტო მას დასამტკიცებლად „თანადაფინანსების კომიტეტს“ წარუდგენს.

**მარიანა მორგოშია, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი:**

– ბუნებრივია, პროექტი განხორციელდება სახელმწიფოს თანადაფინანსებით: ინტენსიური ბაღების პროექტში სახელმწიფოს თანამონაწილეობა 70% იქნება, სარწყავი სისტემის მიმართულებით კი თანამონაწილეობა სახელწმიფოს მხრიდან 50%-ს წარმოადგენს. რაც შეეხება სანერგე მეურნეობას, სახელმწიფო თანამონაწილეობა 50%-ია.

**– რაც შეეხება პირობებს, რა კრიტერიუმებია სავალდებულო?**

– ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომ მიწა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი სისტემით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარს სანერგე მეურნეობაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდეს. თუმცა ვინც პირველი მოვა, სწორედ ის მიიღებს პირველი თანადაფინანსებას. ბუნებრივია, საბუთები სრულიად მოწესრიგებული უნდა იყოს. წინაპირობები მარტივია: მიწა უნდა იყოს მომზადებული, მოხნული, დასანერგად გამზადებული, უნდა წარმოადგენდეს საკუთრებას, ან იჯარით უნდა ჰქონდეს აღებული. ბენეფიციარი საქართველოში დარეგისტრირებული იურიდიული პირი, მეწარმე ან ინტენსიური ბაღების შემთხვევაში, ფიზიკური პირიც შესაძლებელია იყოს. უნდა ფლობდეს მინიმუმ 5 ჰექტარ მიწას, თუმცა გავითვალისწინეთ გამონაკლისები იმ ადგილებში, სადაც მცირემიწიანი ტერიტორიაა და ასეთ შემთხვევაში ერთი ჰექტარიც დამაკმაყოფილებელი იქნება. მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია არსებობს სამინისტროს ვებგვერდზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, გაეცნონ, რა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ და რა საბუთების იქნება მოთხოვნილი ყველასთვის სტანდარტულად. მუშაობს ცხელი ხაზიც, სადაც დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ კითხვაზე გასცემენ პასუხს, ასევე, შესაძლებელია ბენეფიციარები მობრძანდნენ პროექტის ჯგუფთან და უშუალოდ გაესაუბრონ, თუ ამის საჭიროება იქნება.

**– მიწის ნაკვეთის შემოწმება წინასწარ მოხდება?**

**„ვფიქრობთ, 1200 ჰექტარამდე მიწა იქნება ათვისებული, რომელზეც თანამედროვე ბაღები გაშენდება“**

– აუცილებლად. გამოყოფილი იქნება კონკრეტული ცენტრები, სადაც ბენეფიციარებს შეეძლებათ მისვლა და მიწის დეტალური ანალიზის გაკეთება. იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსებას მოიპოვებენ, მიწის ანალიზის დანახარჯი მთლიანად აუნაზღაურდებათ.

**– თანხმობის შემთხვევაში შემდგომი ეტაპები თქვენ მიერ გაკონტროლდება?**

– აუცილებლად. გაკონტროლება მოხდება იმ წესების მიხედვით, რაც თავიდანვე განისაზღვრება. ჩვენ გვეყოლება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უშუალოდ გააკონტროლებს თანხის გახარჯვას, მიზნობრიობას და აწარმოებს დოკუმენტურ მონიტორინგს.

მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პროექტი დღემდე არასოდეს განხორციელებულა. ვფიქრობთ, ეს იქნება დიდი, მასშტაბური პროექტი, რომელსაც ექნება ასეთივე მასშტაბური ეფექტი. იმისთვის, რომ გადაბერებული ჯიშებისგან დავიცვათ თავი, შევარჩიეთ კვალიფიციური სანერგე მეურნეობები და სარწყავი სისტემის მწარმოებელი კომპანიები. მათი შერჩევა მოხდა სამეცნიერო კვლევით ცენტრთან ერთად, კომპანიების სია უკვე მზად გვაქვს, ისინი ჩასმულები არიან პროექტში და ბენეფიციარებს საშუალება ექნებათ, სწორედ ამ სიიდან გააკეთონ არჩევანი.

**– სავარაუდოდ, ბევრი განაცხადი შემოვა, რამდენის დაკმაყოფილებას შეძლებთ?**

– ვფიქრობთ, დაახლოებით 30-40 სანერგე მეურნეობა გაშენდება თანამედროვე სტანდარტებით. ასევე, ვფიქრობთ, 1200 ჰექტარამდე მიწა იქნება ათვისებული, რომელზეც თანამედროვე ბაღები გაშენდება. ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ნუსხა, რომელ რეგიონებში რა კულტურები ფინანსდება, აქტუალურობიდან გამომდინარე. სწორედ ჯიშების მიხედვით იქნება დივერსიფიცირებული მთელი საქართველო.

**„მსგავსი პროექტი აქამდე არასოდეს განხორციელებულა“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბოკერია vs სააკაშვილი

ნაციონალებში რომ დიდი დაპირისპირებაა, ეს უკვე დიდი ხანია ცნობილია. და ამ თემაზეც დიდი ხანია, საუბრობენ. სერიოზულ ექსპერტებს საერთოდაც მიაჩნიათ, რომ, თუ პარტია არ გაიყო და ძველი სახეებისგან არ განთავისუფლდა, მთლიანად ჩაიძირება. თუმცა, ღიად არავინ ასახელებს, ვინ უნდა წავიდეს და ვინ დარჩეს. სავარაუდოდ, წითელი ხაზი მაინც ძველ და ახლა თაობას შორის ივლება. ძველ სახეებში თითქმის ყველა თანამდებობის პირი მოხვდა, გიგა ბოკერიას გარდა. ამბობენ, რომ ის ერთადერთია, ვინც სააკაშვილის ხაზს არ იზიარებს და რევოლუციასა და არეულობას მხარს არ უჭერს. სააკაშვილსა და უკრაინაში წასულ ან ციხეში მყოფ ნაციონალებს კი დაბრუნება ძალიან ეჩქარებათ. როგორც ამბობენ, კიევიდან ბოკერიას უთვლიან, შენ მანდ კომფორტულად ხარ და რა გიჭირსო.

ერთი პერიოდი ბოკერიას ხელისუფლებასთან გარიგებაშიც კი დასდეს ბრალი და საქმეებიც გაურჩიეს. ასეა თუ ისე, თავის დროზე გიგა აქტიურად იყო ჩართული რევოლუციაში, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, ის შანსს ვერ ხედავს.

უკრაინაში კი ნაციონალები ხელფასებს აპროტესტებენ. რამდენიმე კვირის წინ ერთ-ერთ უკრაინულ გამოცემაში დავით საყვარელიძის ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ის ჯამაგირის გამო საყვედურებს გამოთქვამდა. როგორც წერენ, საყვედური ქართველმა დეპუტატმა „უკრაინის სიახლეებ“-თან ინტერვიუში გააჟღერა. „მადლობა ღმერთს, რაღაც დანაზოგები დამრჩა. საქართველოში ჩემი ხელფასი მაღალი იყო – თვეში 5 ათას დოლარს აღწევდა, ხოლო პარლამენტში – სადღაც 2500 დოლარს. ამ ხელფასით კი უკმაყოფილო ვარ... – უთქვამს საყვარელიძეს.

როგორც ამბობენ, იქ მყოფი ნაციონალებით უკმაყოფილებას კიევში უკვე ღიად გამოხატავენ. რადას ერთ-ერთმა დეპუტატმა ქალბატონმა სააკაშვილის წინააღმდეგაც კი გაილაშქრა. პოლიტიკური ლაშქრობა მწვავეა იმიტომ, რომ მოლოდინები დიდია, ომის დროს კი რეფორმის ჩატარება და კორუფციული სისტემის დანგრევა, ფაქტობრივად, შეუძლებელიც კია.



**როგორც ამბობენ, კიევიდან ბოკერიას უთვლიან, შენ მანდ კომფორტულად ხარ და რა გიჭირსო...**

# მაჟორიტარები
# ოპოზიცია ე



**ქეთი ხატიაშვილი**

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია პოლიტიკურ ველზე ყველას არსებობას გულისხმობს და მხოლოდ ხალხი წყვეტს, ვინ იქნება ხელისუფლება და ვინ – ოპოზიცია, ნაციონალების დროს პრორუსულ ძალებს ხელისუფლებისკენ ყველა გზა გადაკეტილი ჰქონდათ. მათი ადგილი მხოლოდ ოპოზიციაში დარჩა, ისიც საკმაოდ შეზღუდულ სივრცეში. პირადად მე ხელისუფლების ამ პოლიტიკას მხარს ვუჭერდი.

ბალტიის ქვეყნებმაც ასე დაიცვეს თავი რუსი აგრესორისგან. თუმცა, მათი აკრძალვები გაცილებით რადიკალური და უსამართლო იყო იმ ქვეყნისთვის, რომელიც ევროკავშირისა და ნატოს წევრია.

ლატვიაში რუსულენოვან მოსახლეობას არჩევანის უფლება შეუჩერეს. მაშინ სეიმში პრორუსული ორიენტაციის ვერც ერთი პარტია ვერ მოხვდა. ბევრ მათგანს, უბრალოდ, მოქალაქეობა არ ჰქონდა, შესაბამისად, ვერც არჩევნებში მონაწილეობდა. ბალტიაში დამოუკიდებლობის გზაზე სამოქალაქო ომებითა და აგენტურასა თუ კუდიანებზე ნადირობით კი არ იყვნენ დაკავებულნი, ცდილობდნენ, საკუთარი ქვეყნისთვის რეალური დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ და ისეთი მექანიზმები შეექმნათ, რომელიც მათ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამიტომაც, მაშინ დასავლეთმა თვალი დახუჭა ისეთ დისკრიმინაციულ კანონზე, რომელიც ლატვიაში იყო მიღებული. ამისთვის მათ 90-იან წლებში მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც ლატვიის მოქალაქე იმ შემთხვევაში გახდებოდი, თუკი ადგილობრივ ენებს ფლობდი, ან ვისი წინაპრებიც 1940 წლამდე ცხოვრობდნენ ლატვიაში. ეს ნიშნავდა, რომ შენი წინაპრები გასაბჭოებამდე ცხოვრობდნენ იქ, ეს კი უპირატესობას განიჭებდა.

ამ კანონის ამოქმედებამ ათასობით რუსულენოვანი ადგილობრივი მოქალაქეობის გარეშე დატოვა. მათ ან საერთოდ არ ჰქონდათ მოქალაქეობა, ან რუსეთის პასპორტებს ფლობდნენ.

სხვათა შორის, კვლევების შედეგად მხოლოდ რუსულენოვანმა მოსახლეობამ გაამართლა ყირიმში რუსეთის მოქმედება, ისევე როგორც საქართველოში ნინო ბურჯანაძემ და მისმა რუსეთზე ორიენტირებულმა ელექტორატმა.

**უცნაურია, რომ ის, რაც ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, ოპოზიციაში თითქოს იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის...**

რუსულენოვან მოსახლეობას, ისიც მხოლოდ ნაწილს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დართეს და ამით სეიმის პოლიტიკური ლანდშაფტი თითქმის რადიკალურად შეიცვალა. სეიმში რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებების დამცველმა პარტია „თანხმობამ“ გამარჯვება მოიპოვა. ეს პარტია უკვე მეორე წელია, არჩევნებში ლიდერობს.

ასე რომ, პრორუსული ძალების მიჩირხვნას, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოშიც ჰქონდა გამართლება. არ იყო დემოკრატიული? თუმცა, როცა იგივე ნინო ბურჯანაძეს უსმენ, რომელსაც 2008 წლის ომის შემდეგ არ ესმოდა, რატომ უნდა ყოფილიყო პუტინზე გაბრაზებული, ახლა კი არ ესმის, რატომ საყვედურობს მთელი მსოფლიო პუტინს აღმოსავლეთ უკრაინის გამო და ასე შემდეგ, როცა ასეთ განცხადებებს უსმენ, ფიქრობ – დემოკრატია იმათთვისაა, ვინც მას აღიარებს, დანარჩენები ამ ღირებულებებით მოპყრობას არ იმსახურებენ.

თუმცა, ცოტა უცნაურია, რომ ის, რაც ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, ოპოზიციაში თითქოს იმდენად მნიშვნელოვანი აღარ არის.

მაშინ ხელისუფლება ყველას, ვინც ზურაბ ნოღაიდელს ან ნინო ბურჯანაძეს გაეკარებოდა, პრორუსულად ნათლავდა. ისინი არც ერთ პოლიტიკურ პროცესში არ უნდა ჩართულიყვნენ. ამიტომაც ნოღაიდელიც გამინუსებული იყო და ბურჯანაძეც.

თუმცა, ახლა უკვე ოპოზიციაში, „ნაციონალური მოძრაობა“ უარს ამბობს ორ პრინციპზე, რომელსაც ხელისუფლებაში თავგამოდებით იცავდა. ის ბურჯანაძესთან ერთად შევიდა პოლიტიკურ პროცესში და ახლა მთავარი საპარლამენტო ოპოზიცია, მზად არის მაჟორიტარული სისტემის გასაუქმებლად.

მაჟორიტარების გაუქმების მოთხოვნას კვლავ აქტიურად აყენებს არასაპარლამენტო ოპოზიციაც. ეს პარლამენტსგარეთ დარჩენილებისთვის უკვე ტრადიციაა.




**კვლევების შედეგად მხოლოდ რუსულენოვანმა მოსახლეობამ გაამართლა ყირიმში რუსეთის მოქმედება**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ს წინააღმდეგ რთიანდება



**ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პროცესი არსაითაც არ წავა. ეს თემა ხმაურს უფრო გამოიწვევს, ვიდრე კონსენსუსამდე მივა...**

ისევე როგორც ტრადიციაა მმართველი პარტიისთვის, მხარი დაუჭიროს მაჟორიტარებს.

ცნობილია, რომ მაჟორიტარები განსაკუთრებული ხალხია. ისინი, როგორც წესი, ხელისუფლებას უჭერენ მხარს. ასე რომ, ტრადიციები მათაც აქვთ – უმრავლესობა შეუვსონ და შეუქმნან მმართველ კოალიციებს. ყველას ახსოვს, მაგალითად, როგორ გადავიდნენ შევარდნაძის მაჟორიტარები სააკაშვილის უმრავლესობაში, სააკაშვილის მაჟორიტარები კი – ივანიშვილის მმართველ კოალიციაში. შესაბამისად, იცვლებოდა მათი პოზიციებიც.

გათვლა მარტივია – თუკი მაჟორიტარები შეატყობენ, რომ უმრავლესობას მათი გაუქმება სურს, მაშინ ისინი გაიბუტებიან, გაბრაზდებიან და უმრავლესობას დაშლიან.

არასაპარლამენტოებმა საგანგებო მემორანდუმი უკვე შექმნეს და გამომწვევად გადახედეს მმართველ კოალიციაში შემავალ პარტიებს. მათ კარგად ახსოვთ რესპუბლიკელების, ფორუმისა თუ კონსერვატორების პოზიციები იგივე რვიანის ფარგლებში, როცა ისინი მაჟორიტარობის გაუქმებას ითხოვდნენ.

დავით უსუფაშვილთან არასაპარლამენტოებს შეხვედრა უკვე ჰქონდათ. მან მემორანდუმს ხელი უკვე მოაწერა. თუმცა, ხელმოწერის გვერდით არაფერი მიუწერია. არასაპარლამენტო პარტიები ახლა კითხულობენ: კი მაგრამ, როგორ მოაწერა მან ხელი – როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თუ როგორც რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა?

კონსულტაციები მმართველი კოალიციის პარტიებთან მიმდინარეობს. თუმცა, როგორც არ უნდა დასრულდეს კონსულტაციები, მემორანდუმი უფრო შანსია, ვიდრე წარმატებისთვის განწირული აქტი. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, საკითხი, კენჭისყრაზე ჩავარდეს, რადგანაც მას კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება. მაჟორიტარები საკუთარი თავის ლიკვიდაციას მხარს არ დაუჭერენ, ისევე როგორც უმრავლესობაშიც შეიძლება აღმოჩნდეს მცირე ჯგუფი, რომლისთვისაც მაჟორიტარების გაუქმება მისაღები არ იქნება.

თუმცა, საინტერესოა ის, რაც მაჟორიტარობის შემდეგ იწყება. პირადად მე სწორედ ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ბოლომდე მოფიქრებული არ არის და შესაძლოა, ნაადრევიც იყოს ამ თემის წამოწევა. არასაპარლამენტოების უმრავლესობას ეს, უბრალოდ, თავის გასაცოცხლებლად სჭირდება, იმისთვის, რომ პოლიტიკური ველიდან არ გაქრეს. ამიტომაც რაღაც პოლიტიკურ პროცესში უნდა ჩაერთოს. და რომ ჩაერთოს, ჯერ ეს პროცესი უნდა შექმნას. ხელმომწერებს შორის ისეთი „მკვდარი სულებიც“ არიან, რომლებიც პროცესში კი შევიდნენ, მაგრამ კომენტარებსაც ვერ აკეთებენ. მაგალითად, „ედპ“.

საინტერესო ის არის, რომ ჩამოყალიბებული არ არის, როგორი არასაპარლამენტო პარტიები აცხადებენ, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, პროპორციულ სისტემაზე შეჯერდებიან თუ რეგიონალურ-პროპორციულზე. მემორანდუმზე ხელმომწერებს შორის ამ მიმართულებით სერიოზული განხეთქილებაა.

თუმცა, როგორც მამუკა კაციტაძემ აგვიხსნა, საუბარია შერეულ ვარიანტზე, რომელიც პროპორციულისა და რეგიონალურ-პროპორციულ სისტემას გულისხმობს და რომელიც ერთმანეთს გაუთანაბრებს ამომრჩევლის რაოდენობასა და აღებულ მანდატებს. ანუ, კაციტაძის განმარტებით, არ შეიძლება, მაგალითად, 5-ათასიანმა რეგიონმაც და 50-ათასიანმაც ერთი ადამიანი აირჩიოს. კახეთში შეიძლება 6 მანდატი



იყოს, იმერეთში – 10, გურიაში – 3 ან 4 და ასე შემდეგ. ეს პროპორცია შესაბამისობაშია მოსაყვანი. რაც შეეხება ბარიერს, ის ბუნებრივი ბარიერი იქნება და არ დაიწევს... ასე რომ, აქ საუბარი, რომ პრორუსები უფრო იოლად შევლენ პარლამენტში, არასწორია. საერთოდაც, კანონი ყველას ეხება და იქ ვერ ჩაიწერება პრორუსებისთვის ცალკე აკრძალვები, განმარტავს კაციტაძე.

ასე რომ, არასაპარლამენტოების სისტემა იქნება მაჟორიტარების შემდეგ. პატარა პარტიებს პროპორციულ-რეგიონალური სისტემა აწყობთ. ამ სქემის მთელი „მულამი“ ერთკაციანი პარტიებისთვის პარლამენტში შესვლის შანსია. რეგიონალურ-პროპორციული სისტემის შემთხვევაში, პარლამენტში ისეთი პარტიებიც შეიძლება მოხვდნენ, რომლებიც, მაგალითად, ევრაზიულ იდეებს ქადაგებენ და რეიტინგი ძალიან დაბალი აქვთ.

ამ შემთხვევაში არჩევნები ჩატარდება ორი სიით, ერთი იქნება პარტიული სიებით საქართველოს მასშტაბით, სადაც ბარიერი 5%-ია და მეორე – რეგიონალური სიით. ეს სია ცალკე იქნება კახეთში, ცალკე – სამეგრელოში, ცალკე – იმერეთში და ასე შემდეგ. ამ სიებში შეიძლება 2%-იანი ბარიერიც კი გეყოს იმისთვის, რომ ბარიერი გადალახო და პარლამენტში მოხვდე.

ეს პარლამენტს ძალიან ააჭრელებს და გადაწყვეტილების მიღების პროცესსაც გაართულებს. რადიკალ პრორუსებსაც კი მიეცემათ შანსი, პარლამენტში მოხვდნენ და ათასგვარი მიუღებელი იდეით ივაჭრონ.

ახალი ოდისეა დაიწყო. ამ ოდისეაში ყველას თავისი ინტერესი აქვს, არასაპარლამენტო პარტიებს (მათ შორის ძალიან სუსტი პარტიებიც არიან) სურთ, მომავალ პარლამენტში მოხვდნენ, საპარლამენტო ოპოზიციის მიზანია, ისეთი პროცესი შექმნას, სადაც მმართველი პარტია გამინუსდება და პოლიტიკურ პროცესში მარტო დარჩება. მმართველ კოალიციას კი სურს, პარლამენტში ბუნტი აიცილოს თავიდან და მაჟორიტარები შეინარჩუნოს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პროცესი არსაითაც არ წავა. ეს თემა ხმაურს უფრო გამოიწვევს, ვიდრე კონსენსუსამდე მივა.



## ლიტვაში პრორუსებს იჭერენ?



ბალტიის ქვეყნები ბრძოლის ახალ ტაქტიკაზე გადადის. ლიტვაში იმ პირების დაპატიმრება დაიწყო, ვინც ღიად და დაუფარავად აკრიტიკებდა ლიტვის ხელისუფლებას რუსეთის პოზიციის გამო.

ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციისთვის ე.წ. პრორუსულ პირებს ვილნიუსში, კაუნასში, კლაიპედსა და სხვა დიდ ქალაქებში აპატიმრებენ. ინფორმაციას ამის შესახებ პორტალი Delfi ავრცელებს.

გამოძიება ანტიკონსტიტუციური საქმიანობის მუხლით 2015 წელს აღიძრა. ქვეყანაში რუსეთის პროვოკაციებს ელოდებიან.

## „ბარტერი“ პარლამენტში



უკვე ოთხჯერ გადაიდო პარლამენტში პრეზიდენტ მარგველაშვილის გამოსვლა. ექსპერტების მოსაზრებით, პრეზიდენტმა ბოლოს თავადვე ითხოვა გამოსვლის გადადება. ბევრი ამას უკავშირებს პარლამენტში ნინო გვენეტაძის დამტკიცების პროცედურას. როგორც მიანიშნებენ, პრეზიდენტი დაელოდა, დაამტკიცებდა თუ არა უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მის მიერ შერჩეულ კანდიდატურას. მათი მინიშნებით, სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული თავად მარგველაშვილის მოხსენების სიმწვავეც და პათოსიც. ვარაუდობენ, რომ დამტკიცების შემდეგ, პრეზიდენტის გამოსვლა მწვავე აღარ იქნება.

## არმაზ ახვლედიანმა პოლიტიკა დატოვა



ამბობენ, რომ ამ სკანდალის შემდეგ არმაზ ახვლედიანი პირად საუბრებში ტიროდა კიდეც. გასაგებიც არის. არავის სურს პოლიტიკიდან წასვლა. არმაზს კი უკვე მეორედ მოუწევს პოლიტიკის დატოვება. ერთხელ აბაშიძის დროს დატოვა და მაშინაც ისე გაქრა, ნახვამდისო, არავისთვის უთქვამს. ახლაც არავის დამშვიდობებია. წავიდა. ოფიციალურად უფლებამოსილება შეიჩერა. თუმცა, რადგან გულაჩუყებული იყო და იტირა, ესე იგი წავიდა.

არმაზი არ დაიკარგება, თუმცა ბევრი მის წასვლას აჭარაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს. ამბობენ, რომ ის აჭარის კვოტიდან იჯდა საბჭოში. ბოლო დროს კი იქ „ქართული ოცნება“ ერთმანეთს დაუპირისპირდა. როგორც ჩანს, ამ დაპირისპირებაში ცუდი ან საეჭვო პოზიცია დაიჭირა ახვლედიანმა. „ქართულ ოცნებაში“ ახლა კულუარებზე საუბარი არ სურთ. მეტიც, ამბობენ, რომ კულუარები არც არსებობს. არმაზ ახვლედიანი ნამდვილი პოლიტიკოსივით მოიქცა, ანუ იმ ადამიანის მსგავსად, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს. ერთ-ერთი ინფორმაციით, ახვლედიანი თავის დროზე რესპუბლიკელებმა დაალობირეს.

სხვათა შორის, ახვლედიანს სერიოზული დაპირისპირება ჰქონდა ირაკლი კობახიძესთანაც. ღია განცხადებებშიც არ დამალა საკუთარი პოზიცია ამ ახალგაზრდა ბიჭის მიმართ, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, პარტიაში კახი კალაძემ მოიყვანა და დააწინაურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კახა ცხადაძის პირველი სკანდალი - გიორგი

მაგდა კლდიაშვილი



**დავით სირაძე: „ბოლო თამაში გვქონდა საბერძნეთთან შესარჩევის. ჩალაგებული მქონდა ჩემოდანი წამოსასვლელად და ქეცბაიამ აღარ გამომიძახა. ჩემთვის ყველაზე დიდი დარტყმა იყო. როგორია, მართლა არ მოველოდი და უცბათ, აღარ გიძახებს, მაშინ ვითვლებოდი ნაკრების ფეხბურთელად. არავის დაურეკავს ჩემთვის და არაფერი აუხსნია"**

**„უკვე რომ იცი, საქართველოს ნაკრებში ხარ გამოძახებული, თან უცხო ქვეყანაში თამაშობ, ბევრს ნიშნავს გუნდისთვის, სახელია, ამხელა ნაკრებში დაძახება და 3 თუ 4 დღეში რომ გეუბნებიან, აღარ ხარ გამოძახებული, ფეხბურთელისთვის რას ნიშნავს, ხომ წარმოგიდგენია"**

**საქართველოს ნაკრებს არც თუ დიდი ხანია, რაც ახალი თავკაცი ჰყავს და პირველი ოფიციალური შეხვედრა, რომელსაც „ბორჯღალოსნები" კახა ცხადაძის თავკაცობით ჩაატარებენ, 29 მარტს, „დინამო არენაზე" გაიმართება.**

ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ნაკრების გაფართოებული სია უკვე დაასახელა, თუმცა, როგორც რამდენიმე დღის წინ გაირკვა, გაფართოებული სიიდან ცხადაძემ ბევრი ფეხბურთელი, რომელთა გუნდებში ნაკრებში მიწვევის ფურცლები გაიგზავნა, ახსნა-განმარტების გარეშე, განაცხადს მიღმა დატოვა.

რამდენიმე დღის წინ შევიტყვეთ, რომ რამდენიმე ლეგიონერი, რომელთა კლუბში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ნაკრებში გამოძახების მიწვევა გაიგზავნა, დასაბუთების გარეშე, შეუთვალეს, რომ მათ ეროვნულ გუნდში „ველარ" იძახებდნენ.

რა საჭირო იყო მაშინ გაფართოებული სია და არის თუ არა ეს მთავარი მწვრთნელის მხრიდან არასერიოზული საქციელი.

გიორგი მერებაშვილი ერთ-ერთი მათგანია, რომელიც კახა ცხადაძემ გაფართოებულ სიაში დაასახელა, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ შეატყობინეს, რომ მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ:

**გიორგი მერებაშვილი:**

- ძალიან ნაწყენი ვარ. რომ არ გამოვეძახებინე, უფრო მისაღები იქნებოდა და უფრო გავიგებდი, ვიდრე იმას, რაც ახლა გააკეთეს. რომ არ გამოვეძახებინე, ვიფიქრებდი, რომ ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. ვიფიქრებდი, რომ ტაქტიკურ მონახაზში ვერ ჩავჯექი და ამიტომ არ გამომიძახა, მაგრამ, როდესაც კლუბში აგზავნი ცნობას, მოთხოვნას ფეხბურთელზე, რომ 22 რიცხვიდან 30 რიცხვამდე ეს ფეხბურთელი ნაკრებშია გამოძახებული და შემდეგ სხვისგან იგებ იმას, რომ სიაში აღარ ხარ და აგილეს, რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია. თამამად შემიძლია ვთქვა, თავს არ შევიქებ, მაგრამ ვიმსახურებდი იმას, რომ თუნდაც მალტის ნაკრების წინააღმდეგ რამდენიმე წუთი მეთამაშა და ენახათ, თუ რა მდგომარეობაში, ფორმაში ვიყავი და როგორ იყო ჩემი კონდიციები. სიტყვებითაც მიჭირის ლაპარაკი. ჩემთვის წარმოუდგენელი რაღაც მოხდა. მართლა არ ველოდებოდი. კონკრეტულად კახასგან არ ველოდებოდი, რადგან მასთან ცუდი ურთიერთობა არ მქონია. სწორედ ის იყო პირველი მწვრთნელი, როდესაც „დინამოს" პირველ გუნდში ვითამაშე და დიდი იმედი მქონდა, რომ თუნდაც რამდენიმე წუთი მომიწევდა ნაკრებში თამაში და ჩემი თავით წარმატებას მოვუტანდი მას. თუმცა, სამწუხაროდ, რომელ თამაშზეა ლაპარაკი, როდესაც ასეთი რაღაც მოხდა.

**- კლუბში გამოგზავნეს ოფიციალური წერილი, რომ აღარ გიწვევდნენ?**

- არა, კლუბს მე თვითონ ვუთხარი. მილოცავდნენ, საერთოდ, „ოფი" დაიშალა, სავარაუდოდ, დიდი შანსია, რომ თამაშებიც არ ჩატარდეს. თამაში გვქონდა და ვაცნობე გუნდს, რომ ნაკრებში არ მივდივარ-მეთქი, გაოგნებულები იყვნენ, თუმცა მათზე მეტად, მე ვარ გაოგნებული.



**გიორგი მერებაშვილი: „გიორგი ლორიამ მითხრა, რომ დაკავშირება უნდათ... დავურეკე, სამწუხაროდ, ველარ გამოგიძახებთო. მიზეზი როდესაც ვიკითხე, ვერანაირი მიზეზი ვერ მითხრეს. ისეთი პასუხი მივიღე, ასე გადმომცესო. ამ ორ თამაშში ვერ გამოგიძახებთ და მერე რამე პრობლემა ხომ არ იქნებაო?"**

**- ვინ გაგაგებინა ეს ამბავი?**

- ერთ-ერთი წარმომადგენელი. სახელს არ დავასახელებ. გიორგი ლორიამ მითხრა, რომ დაკავშირება უნდათ და ვერ გიკავშირდებიანო. მე თავად გადავურეკე, ვფიქრობდი, სავარაუდოდ, ბილეთებზე უნდოდათ დარეკვა, რომელ რიცხვში შეიძლებოდა ამეღო ბილეთი. როდესაც დავურეკე, სამწუხაროდ, ველარ გამოგიძახებთო. მიზეზი როდესაც ვიკითხე, ვერანაირი მიზეზი ვერ მითხრეს. ისეთი პასუხი მივიღე, ასე გადმომცესო. ამ ორ თამაშში ვერ გამოგიძახებთ და მერე რამე პრობლემა ხომ არ იქნებაო? ამაზეც, რა თქმა უნდა, ხაზია გასასმელი, რადგან, შემდეგ, ივნისში უწევს ნაკრებს თამაში, ორი თვის შემდეგ და პრობლემა როგორ არ იქნება, მით უმეტეს, საბერძნეთის ჩემპიონატი ერთ თვეში მთავრდება და ფაქტობრივად, ერთი თვე უთამაშებელი ვიქნები. პრობლემა ნამდვილად იქნება, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება და ეჭვები მიჩნდება, რომ არიან პიროვნებები, ან პიროვნება, ვისაც ჩემი ნაკრებში თამაში არ სურს.



**- სხვა თამაშებზე რომ გამოგიძახოს, წამოხვალ ნაკრებში?**

- არ მინდა ვინმეს ეგონოს, რომ ცხელ გულზე ვლაპარაკობ, რადგან უკვე რამდენიმე დღე გავიდა, რაც ეს ინფორმაცია გავიგე. ჩემთვის და ყველა ქართველი ადამიანისთვის ნაკრები პირველ პლანზე უნდა იდგეს, მაგრამ მიმაჩნია, როდესაც ასე დამამცირებლად გექცევიან, ცუდ რაღაცას გიკეთებენ, წარმოუდგენლად მეჩვენება ჩემთვის ისეთი პიროვნების ხელმძღვანელობით თამაში, როგორიც კახა ცხადაძეა.

**- კახა ცხადაძეს რომ დაერეკა შენთვის და აეხსნა, ასეთი რეაქცია გექნებოდა?**

- ზუსტად ამის თქმა მინდოდა. თავად კახას რომ დაერეკა და ეთქვა, რაღაც ელემენტარული მიზეზი მაინც, რაღაც ასე შევცვალე, გავიგებდი, ყველანაირად გვერდში დავუდგებოდი, რადგან ეს საქართველოს ნაკრებს ეხება. არ გამოვიდეს ისე და ხაზს ვუსვამ, რომ არ ვამბობ, ჩემი თამაშით ან გერმანიას მოვუგებთ და ან მსოფლიო ჩემპიონები გავხდებით, ოღონდ ნაკრებში მათამაშონ. ელემენტარულად, იმას ვიმსახურებ, რომ თუნდაც ერთი შანსი მომცენ, ან ორი, იმიტომ, რომ, მე პირადად, თამამად ვაცხადებ, რომ ნაკრებში შანსი არ მომცემია, თუ ერთ შეხვედრას არ ჩავთვლით ალბანეთთან ამხანაგურ თამაშს, სადაც საგოლე გადაცემა გავაკეთე და ის შეხვედრა 1:1 დასრულდა, სხვა დროს შანსი არ მომცემია. სულ 17-18 მატჩი ვითამაშე რამდენიმე წუთით და როდესაც შეცვლაზე შევსულვარ, ყოველთვის იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად გამომდის კარგად თამაში. მარჯვენა ნახევარმცველად, ხან მარცხენად და ა.შ.

**- გამოდის, რომ გიორგი მერებაშვილი კახა ცხადაძის ნაკრებში არ ითამაშებს?**

- ახსნა არ გააკეთეს, თუ რატომ, ალბათ, სავარაუდოდ, არ ვითამაშებ. კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ მე საქართველოს ნაკრებში მინდა თამაში და არა კონკრეტულად კახა ცხადაძის ნაკრებში.

საინტერესოა, რას ფიქრობენ გამოცდილი ფეხბურთელები ასეთ შემთხვევაზე და არის თუ არა ეს ფეხბურთელისთვის დამამცირებელი და ღირსების შემლახავი. „პრაიმტაიმი" ეროვნული ნაკრების თავდამსხმელს, დავით სირაძეს მოლდოვაში (არ ვიტყვით, რომ ყოფილს, რადგან ქეცბაიამ გადაწყვიტა დავით სირაძის ნაკრებიდან მოშორება, კახა ცხადაძის თაოსნობით კი ფორვარდი, შესაძლოა ისევ ვიხილოთ ეროვნულ გუნდში. მ.კ.) დაუკავშირდა. მოქმედი ფეხბურთელებიდან, სწორედ სირაძე გახლავთ ყველაზე მეტი გატანილი გოლის ავტორი ეროვნულ ნაკრებში, როგორ მოიშორა ნაკრებიდან ის ქეცბაიამ, ყველას კარგად ახსოვს, ამიტომ მის პრაქტიკაში თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა და რას ნიშნავს ასეთი მოქცევა სპორტსმენისთვის, სწორედ გამოცდილი ფეხბურთელი გვპასუხობს.

**დავით სირაძე:**

- ჩემს პრაქტიკაში მსგავსი არაფერი ყოფილა, რომ მოწვევა მოსულიყო გუნდში და შემდეგ მეორე მოწვევა, რომ აღარ მიძახებდნენ. ერთი შემთხვევა ის იყო, ბოლო თამაში გვქონდა საბერძნეთთან შესარჩევის. ჩალაგებული მქონდა ჩემოდანი წამოსასვლელად და ქეცბაიამ აღარ გამომიძახა. ჩემთვის ყველაზე დიდი დარტყმა იყო. როგორია, მართლა არ მოველოდი და უცბათ, აღარ გიძახებს, მაშინ ვითვლებოდი ნაკრების ფეხბურთელად. არავის დაურეკავს ჩემთვის და არაფერი აუხსნია, ნამდვილად საწყენია ეს ფეხბურთელისთვის, უკვე რომ იცი, საქართველოს ნაკრებში ხარ გამოძახებული, თან უცხო ქვეყანაში თამაშობ, ბევრს ნიშნავს გუნდისთვის, სახელია, ამხელა ნაკრებში დაძახება და 3 თუ 4 დღეში რომ გეუბნებიან, აღარ ხარ გამოძახებული, ფეხბურთელისთვის რას ნიშნავს, ხომ წარმოგიდგენია, მაშინ რა საჭირო იყო გაფართოებული სია, ვერ ვხვდები.

**- ასეთი სიტუაციის შემდეგ ნაკრებში ჩამოხვიდოდი?**

- ამას ყველა თავისით წყვეტს. შეიძლება ვიღაც ჩამოვიდეს,



ვიღაც აღარ ჩამოვიდეს, არ ვიცი, ეს მწვრთნელმა უნდა ახსნას, ალბათ. ჯერ არ დაუწყია ახალ მწვრთნელს და ცოტა რთულია ამაზე საუბარი. მე რომ ოფიციალურად გამოვეძახებინე, მოწვევა მოსულიყო და მერე შემოეთვალა ვინმეს, აღარ ხარ, არ ჩამოხვიდეო, ეს უკვე არასერიოზულობა იქნებოდა.

სპორტული კომენტატორი სანდრო ცნობილაძე, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურს ხელმძღვანელობდა, მიიჩნევს, რომ თუკი ფეხბურთელს ოფიციალური წერილით ეცნობა გამოძახება, შემდეგ კი ასევე ოფიციალური წერილით არ შეატყობინეს, რომ აღარ იძახებდნენ, ტექნიკური მხარეა დარღვეული, მწვრთნელის გადაწყვეტილების არასერიოზულობაზე საუბარს კი ნაადრევს უწოდებს, რადგან ამის მიზეზები გასაგები უნდა გახდეს.

**სანდრო ცნობილაძე:**

- პირველ რიგში, თუ ოფიციალური კუთხით მივუდგებით საქმეს, ფედერაციას კონტაქტი აქვს კლუბთან და არა კონკრეტულ ფეხბურთელთან, გამოძახების შეტყობინება იგზავნება კლუბში და არა ფეხბურთელთან. შესაბამისად, თუ ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოძახება სხვადასხვა მიზეზით აღარ ხორციელდება, ეს უნდა ეცნობოს კლუბს. ესაა ამ საქმის ტექნიკური მხარე. თან უნდა ეცნობოს იგივე ფორმით, როგორც გამოძახება ემცნო. რაც შეეხება იმას, რომ მთავარმა მწვრთნელმა გადაიფიქრა ამა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მერებაშვილი მის ნაკრებში არ ითამაშებს




**„რომ არ გამოვეძახებინე, ვიფიქრებდი, რომ ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. ვიფიქრებდი, რომ ტაქტიკურ მონახაზში ვერ ჩავჯექი და ამიტომ არ გამომიძახა, მაგრამ, როდესაც კლუბში აგზავნი ცნობას, მოთხოვნას ფეხბურთელზე, რომ 22 რიცხვიდან 30 რიცხვამდე ეს ფეხბურთელი ნაკრებშია გამოძახებული და შემდეგ სხვისგან იგებ იმას, რომ სიაში აღარ ხარ და აგიღეს, რა თქმა უნდა, ძალიან საწყენია“**

თუ იმ მოთამაშის გამოძახება, ეს მისი პრეროგატივაა და სანამ არ იქნება დასახელებული მიზეზი ამ გადაწყვეტილების მართებულობა-გაუმართლებლობაზე საუბარი ნაადრევია. ამ შემთხვევაში, დარღვეულია ტექნიკური მხარე. ეს არის, უბრალოდ, ურთიერთობის ფორმა, რომელიც, ჩემი აზრით, ცივილურია, თუ შეტყობინება ხდება ელექტრონული ვერსიით და ნაკლებად ცივილურია, როდესაც ურთიერთობა მყარდება ტელეფონზე დარეკვით. ამა თუ იმ კლუბის ინტრიგანმა მწვრთნელმა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, შეიძლება თქვას, რომ ჩემთვის არავის არაფერი უცნობებიაო და თუ იარსებებს წერილი, მაშინ ამას, ბუნებრივია, ვერ იტყვის. სანამ არ ვიცით მიზეზი, როგორ ვთქვა არის თუ არა სერიოზული. იქნებ ეს ფეხბურთელი ამ მწვრთნელმა ნახა დისციპლინის დარღვევის მომენტში სადმე? ანუ მწვრთნელი ხომ ცოცხალი ადამიანია, რომელსაც გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება აზრი შეეცვალოს.



როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ნაკრების მენეჯერი, ვინც გიორგი მერებაშვილს ეს ამბავი შეატყობინა, კოკა ხურციაა. ეროვნული გუნდის მენეჯერი ამბობს, რომ მან ტელეფონით გააგებინა მერებაშვილს ეს ამბავი და გუნდშიც გადაგზავნა დამატებითი ცნობა, თუმცა „პრაიმტაიმმა“ ბერძნულ „ოფში“ გაარკვია ეს საკითხი და გაიგო, რომ მერებაშვილის გამოუძახებლობაზე იქ მეორე დოკუმენტი არ მისულა.

**კოკა ხურცია:**

- თავიდან იყო გამოძახებული. მერე გადაწყვიტა მწვრთნელმა, რომ ამ ეტაპზე სხვა ფეხბურთელი გამოეძახებინა მერებაშვილის ნაცვლად. მე თვითონ შევატყობინე, ჩვეულებრივად. მერე ჩვეულებრივად წერილი გავაგზავნეთ, რომ არ არის გამოძახებული ის და არის მარტო ლორია, ეს იყო და ეს.



გარდა მერებაშვილისა, ნაკრებს მიღმა კიდევ რამდენიმე ლეგიონერი დატოვეს. გაცხრილული სია 19 მარტს გამოქვეყნდა, ნაკრებს მიღმა დარჩენილ ფეხბურთელებს შორის ბუბა დაუშვილიც იყო, რომელიც 20 მარტს ისევ ნაკრებში დააბრუნეს.

როგორც კოკა ხურციამ განმარტა, მისი ნაკრებში გამოძახების საკითხი, რამდენიმე საათის წინ გადაწყდა.

**„მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება და ეჭვები მიჩნდება, რომ არიან პიროვნებები, ან პიროვნება, ვისაც ჩემი ნაკრებში თამაში არ სურს“**



ქართველი სპეციალისტი, გია გეგუჩაძე კი ამბობს, რომ მომხდარზე აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს და მწვრთნელი წყვეტს, როგორ და რა ფორმით იმუშაოს ფეხბურთელებთან.

**გია გეგუჩაძე:**

- ეს სამუშაო პროცესია. ვერც გავაკრიტიკებ და ვერც დადებითად შევაფასებ. შეიძლება მეტი გზა არ ჰქონდათ ფეხბურთელებთან დაკავშირების. ერთი რამეა. მწვრთნელია პასუხისმგებელი შედეგზე. მთავარი მწვრთნელის გადასწყვეტია სამუშაო ფორმები, დამოკიდებულება ფეხბურთელებთან, ვის, რა რაოდენობით გამოიძახებს და როგორ დაიყვანს სიას 23 კაცამდე. ვის შეიყვანს განაცხადში და ა.შ. აჟიოტაჟის ატეხვა არ მგონია, სწორი იყოს. შედეგი გვინდა, მისგან სანახაობას ვითხოვთ და ყველანაირად ის არის პასუხისმგებელი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გია ხუხაშვილი: „არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული დიპლომატიური არხებითაც ხდებოდეს ფინანსების საკითხის მოგვარება“



ხათუნა მგალობლიშვილი

**ნაციონალები ფინანსურ სკანდალში მხოლოდ ერთხელ გაეხვივნენ. მაშინ ირმა ნადირაშვილსა და ზურა ჯაფარიძეს აზერბაიჯანის საზღვარზე დიდი ოდენობით თანხის გადმოტანის მცდელობას აბრალებდნენ. ექსპერტების განცხადებით, ეს ერთადერთი ფაქტი გასკანდალდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა ყველა „ოპერაცია“ წარმატებით და უპრობლემოდ დასრულდა.**

**გია ხუხაშვილის განცხადებით, ნაციონალების ფულად გზავნილებს, ქეშად შემოტანას თუ კიდევ სხვა მეთოდებს მოქმედი ხელისუფლება ვერ აკონტროლებს. შესაბამისად, ჯერ კიდევ მთავარ ოპოზიციად წოდებულ პოლიტიკურ ძალას ფინანსური პრობლემის მოგვარება მარტივად გამოსდის. ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით „ნაციონალური მოძრაობა“ დიპლომატიურ კორპუსს და მათ პრივილეგიებსაც კი იყენებდეს...**

**გია ხუხაშვილი, ექსპერტი:**

– „ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსების შესახებ შეიძლება ცოტა უკეთ ვიცოდე, როგორ ყალიბდებოდა მათი სალარო – რა ფინანსებით, რა მეთოდებით, რა ტენდერებიდან. პარტიული სალარო დღეს, ბუნებრივია, სადღაც არის. ეს არის პოლიტიკური ჯგუფი. ის არ ყოფილა ჯგუფი, რომელიც მაინცდამაინც და მხოლოდ და მხოლოდ პირად ინტერესებს მოახმარდა ამ თანხებს და მათ გაფლანგავდა. დღესაც აქვთ მათ ეს ფინანსები, თუ ფული არსებობს, მისი ქვეყანაში შემოდინების პრობლემა ნამდვილად არ არის და არც არასოდეს ყოფილა. ფული ნებისმიერ საზღვარს კვეთს. ასე რომ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნაციონალების ფინანსური სალარო სადღაც არსებობს და საჭიროების მიხედვით ხდება პოლიტიკური მიზნების გატარება. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული დიპლომატიური არხებითაც ხდებოდეს ფინანსების საკითხის მოგვარება. ამას არ გამოვრიცხავ, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან ბევრი საერთაშორისო მხარდამჭერი ჰყავს, რომლებსაც თავისუფლად შეუძლიათ ფულის ნაკადები ამოძრაონ.

**– ანუ შესაძლოა დიპლომატების საბანკო ანგარიშებს იყენებდნენ?**

– ანგარიშების მეშვეობითაც და ქეშადაც, არც ერთ გზას არ გამოვრიცხავ.

**– როდესაც აქტიურად განიხილება ნაციონალების მიერ აჭარაში ძალაუფლების დაბრუნების ვერსია, რამდენად შეიძლება ეს თუნდაც ფულის შემოდინების მარტივ გზას დავუკავშიროთ?..**

– არა მგონია, ნაციონალებს ფულის გადმოტანის პრობლემა ჰქონდეთ. მიმაჩნია, რომ აჭარის მოვლენები უფრო მიკრომოდელია, რაც შეიძლება მოხდეს პარლამენტში, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების უგუნურება, არაკვალიფიციურობა, უყურადღებობა გაგრძელდება. ყველაფერი თვლით არის, შეიძლება პარლამენტში მოვლენები ისე განვითარდეს, მით უფრო თუ ამაში საერთაშორისო ძალები ჩაერთვებიან სხვადასხვა მეთოდებით, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გარკვეული ტემპერატურის აწევა მოახერხოს. მსურველი ბევრია, რომ თუნდაც დროებითი ალიანსის შეიქმნას. შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთობა, პრინციპით – „ყველა ერთის წინააღმდეგ“, ანუ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, იმისთვის რომ აღმასრულებელი ხელისუფლება შეიცვალოს. სიტუაციის ასეთი განვითარება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საგარეო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით რიტორიკა კიდევ გაგრძელდება, თუ მოსახლეობაში უკმაყოფილება გაიზრდება. ვფიქრობ, პარლამენტში მოიძებნებიან ადამიანები, იგივე მაჟორიტარების სახით, სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულებისა თუ ინდივიდუალური პირების სახით. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს ახალი უმრავლესობა მივიღოთ, რომელსაც იმის რესურსი ექნება, რომ ხელისუფლება შეცვალოს. დღეს ასეთი მოსაზრება შეიძლება არარეალურად გვეჩვენებოდეს, თუმცა გარკვეული ისტერიული სიტუაციის განვითარების შემთხვევაში ნამდვილად არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ვილაცებმა საკუთარ თავში ნამდვილად ნახონ „მორალური“ მოტივაცია იმისთვის, რომ ეს ნაბიჯი გადადგან. ამას არ დაარქმევენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ალიანსში შესვლას, იტყვიან, რომ ისინი ნაციონალებთან თანამშრომლობდნენ იმისთვის, რომ ქვეყნის ორიენტაციის ცვლილების საშუალება არ მიეცათ ხელისუფლებისთვის. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება ასეთ მასშტაბურ საკითხებზე არ ფიქრობს და ყოველდღიური რუტინით არის დაკავებული.

**– თუმცა ამ ყველაფრისთვის სწორედ რომ ფინანსური რესურსია საჭირო. როგორ ფიქრობთ, მას ერთი კონკრეტული ადამიანი აკონტროლებს?**

– არა, იცით, „ნაციონალური მოძრაობა“ კარგად შეკრული ჯგუფია, მით უფრო, რომ უკრაინის პლაცდარმი მათთვის ფინანსურად ამ ეტაპზე ძალიან კომფორტული აღმოჩნდებოდა, უკრაინა ფინანსური რესურსის ერთ ცენტრად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მეორე ცენტრი – მათი ცნობილი მოლარე დავით კეზერაშვილია. ეს ორი ცენტრი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ფინანსური ნაკადები არეგულირონ. ძალიან დიდი ფულიც არ არის საჭირო, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. ფულის პრობლემა ნაციონალებს ნამდვილად არ აწუხებთ და არც ფულის მოძრაობის პრობლემა აქვთ.

**– გამოდის, მოქმედი ხელისუფლება ფულის ნაკადებს ვერ აკონტროლებს...**

– ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება ბევრს ვერაფერს აკონტროლებს, ფულს რომ ვერ აკონტროლებს ამაში პირადად მე ყველაზე ნაკლებ დანაშაულს ვხედავ, რადგან ეს შეუძლებელია. ამას სააკაშვილიც კი ვერ ახერხებდა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილს ყველაფერი გადაკეტილი ჰქონდა, მაშინაც ხერხდებოდა თანხის მოძრაობა. ფულს ახასიათებს ეს თვისება, ის წყალივით არის, მას ვერაფრით შეაკავებ.

**„ფულის პრობლემა ნაციონალებს ნამდვილად არ აწუხებთ და არც ფულის მოძრაობის პრობლემა აქვთ“**

# „XXI საუ

ხათუნა მგალობლიშვილი

**მინიმუმ 20-ათასკაციანი აქცია ხელისუფლებას უკვე გარანტირებული აქვს. ამ ოცი ათასს მათივე ოჯახის წევრებიც თუ შეუერთდნენ, მაშინ პროტესტი საკმაოდ ქაოსურ სახეს მიიღებს. მიტინგების დაწყების იდეა კი „ატსტუპნიკებს“ ქუჩის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, კახა კუკავამ შესთავაზა და ამ გზით წარმატების მიღწევის მაგალითებიც თავად მოუყვანა.**

**მხოლოდ თბილისში 20 ათასამდე ადამიანს საკუთარ ქონებაში მეორე მხარე, ასევე კანონიერი მესაკუთრეები ეცილებიან. ისტორიები საკმაოდ მძიმე და ჩახლართულია. „ატსტუპნიკების“ პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო, სწორედ ამიტომ დაზარალებულები დღეს პასუხს უმრავლესობის წევრებს სთხოვენ და მოქმედი კანონის ახლით ჩანაცვლებას ითხოვენ. კანონპროექტი უკვე პარლამენტშია. დეპუტატ ვიქტორ დოლიძის განცხადებით, კანონპროექტზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა როდის მოხდება მისი ინიცირება, არავინ იცის.**

**ვიქტორ დოლიძე, პარლამენტის წევრი:**

– ჩვენ ვმუშაობთ კანონპროექტზე, მივიღებთ კანონს, რომელიც სამართლიანი იქნება, არ დაარღვევს მესაკუთრის უფლებებს, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამს ამ პრობლემას ქვეყანაში. რამდენად გამოგვივა, ვნახოთ. იმედი მაქვს, რომ ამ მოწვევის პარლამენტი რაღაცას მოახერხებს. მე ნამდვილად ვმუშაობ აღნიშნულ კანონპროექტზე და სხვა არ ვიცი. ის, რომ კანონპროექტი ინიცირებული არ არის, არ ნიშნავს, რომ მასზე არავინ მუშაობს.

ამასობაში უამრავი ადამიანი საკუთრებას კარგავს. მაგალითად, ცირა ფოლადაური ოჯახის მეხუთე თაობის წარმომადგენელია, რომელიც ავლაბარში მდებარე ბინაში ცხოვრობს. წინაპრებმა ბინა 1923 წელს იყიდეს და მას შემდეგ ფართი კიდევ მიუმატეს, თუმცა დღეს ვერც საკუთრების დამტკიცებას ახერხებენ და დიდი შანსია, რომ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი საერთოდ დაკარგონ.

**ცირა ფოლადაური, დაზარალებული:**

– ბინა ჩემმა ბებიამ და ბაბუამ იყიდეს 1923 წელს. მას შემდეგ ჩვენი ოჯახის ხუთმა თაობამ იცხოვრა და დღესაც ცხოვრობს იმავე სახლში, თან ყველა თაობამ ფართი მიუმატა. ჩემი ბინა იტალიურ ეზოში მდებარეობს, ავლაბარში. 1936 წელს მოვიდა ვიღაც ვარსქენ ოსიპოვი და მთელი ეზო თავის „ატსტუპნიკებიანად“ იყიდა და თავიდანვე იცოდა, რომ მოსახლეები გასასტუმრებელი ჰყავდა, მაგრამ არ გაუსტუმრებია. მესაკუთრის შვილიშვილმა, მანანა წერეთელმა პირდაპირ განმიცხადა, შანსი მაქვს, რომ დავისაკუთრო და რატომ უნდა გავუშვა ხელიდანო. ადვოკატი მპირდება, რომ საქმეს მოვიგებ, რადგან კანონი ჩემს სასარგებლოდ მოქმედებსო.

**– ანუ მთავარი პრობლემა კანონია?**

– არსებული კანონი თავიდან ბოლომდე შესაცვლელია. ადრე კანონში ეწერა, თუ მესაკუთრე ბინის ღირებულებას არ გადაუხდიდა ან ალტერნატიული ფართით არ დააკმაყოფილებდა, მაცხოვრებელს უფლება ჰქონდა, ბინა გაეყიდა. ამჟამად ეს ჩანაწერი აღარ არსებობს. მე ბინის გაყიდვის უფლება არ მაქვს.

**– კომპენსაცია კანონითაც არ გეკუთვნით?**

– კომპენსაციას გვაძლევენ საბაზრო ფასის 75%-ს. კანონით, ან მესაკუთრემ უნდა გადაგვიხადოს ბინის ღირებულების 75% ან მაცხოვრებელმა უნდა მისცეს 25%. მე შევთავაზე მესაკუთრეს, ვთხოვე, მზად ვარ, გადავუხადო ის 25%, მაგრამ უარს აცხადებს, რადგან ძალიან ცოტა გამოდის, დაახლოებით 5-10 ათასი ლარი. ასე კი, ბუნებრივია, თავად ჩაიგდებს ხელში ბინას.

**– საბაზრო ფასს ვინ ადგენს?**

– სამხარაულის ბიურო, მაგრამ ფასის დადგენისას არც უბანს აქცევენ ყურადღებას, არც კვადრატულობას, მხოლოდ საცხოვრებელ პირობებს ითვალისწინებენ, რადგან საპირფარეშო ეზოშია, კედლებს აქვს ნახეთქები, ბინის ფასი წარმოუდგენლად დაბლა იწევს. ბუნებრივია, ესეც მათ ინტერესში შედის, რომ რაც შეიძლება ცოტა გადაგვიხადონ. მე, წესით, 15 ათასი ლარი უნდა მომცემ. ამ თანხით ვერაფერს ვიყიდი და ქუჩაში დავრჩები.

**– სასამართლოს შემთხვევაში რით უნდა დაამტკიცოთ, რომ ეს ბინა თქვენია და თითქმის საუკუნეა თქვენი ოჯახი ცხოვრობს?**

– კომუნალური გადასახადებით, საბინაო წიგნში მუდმივი ჩანაწერით, ჩემი ბებია-ბაბუა, ჩემი მშობლები, მე ჩემი ოჯახით ჩაწერილები ვართ.

**კახა კუკავა: „გამოვიდნენ ქუჩაში, მოახდინონ თვითორგანიზება, გაშალონ კარვები, დაანახონ ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი შეიძლება პოლიტიკურ პროტესტში გადაიზარდოს“**



მობინადრეთა მოძრაობის ბარათი

სახლმმართველობა № ... ქუჩა, სახლი № 24

...ის ძირითადი დამქირავებელი ... (გვარი, სახელი და მამის სახელი) ... 41 კვ. მეტ.

ჩაწერილნი არიან სახლის დავთარში

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | ვის კმაყოფაზეა | დაბადების წელი | ნათესაური კავშირი ძირითად დამქირავებელთან. | ჩაწერილია ფართობზე უფლებით თუ უფლების გარეშე | ჩაწერის წელი, თვე და რიცხვი | ამოწერილნი არიან სახლის დავთრიდან: ამოწერის წელი, თვე და რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



მობინადრეთა მოძრაობის ბარათი

სახლმმართველობა № ... ქუჩა, სახლი № 24

...ის ძირითადი დამქირავებელი ... (გვარი, სახელი და მამის სახელი) საცხ. ფართობი 17 კვ. მეტ.

ჩაწერილნი არიან სახლის დავთარში

| №№ რიგზე | გვარი, სახელი და მამის სახელი | ვის კმაყოფაზეა | დაბადების წელი | ნათესაური კავშირი ძირითად დამქირავებელთან. | ჩაწერილია ფართობზე უფლებით თუ უფლების გარეშე | ჩაწერის წელი, თვე და რიცხვი | ამოწერილნი არიან სახლის დავთრიდან: ამოწერის წელი, თვე და რიცხვი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

ТИП. Ш. П. З. ЗАК. 2563. Т. 100.000



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კუნის მონები“




## ცირა ფოლადაური: „მესაკუთრემ პირდაპირ განმიცხადა, შანსი მაქვს, რომ დავისაკუთრო და რატომ უნდა გავუშვა ხელიდანო“

როდესაც მე კომუნალური გადასახადებით ვამტკიცებ, რომ უკვე ასი წელია, კონკრეტული ბინა ჩემი ოჯახის ხელშია, ხომ უნდა მქონდეს მასზე უფლება?

**– ხანდაზმულობაც არ გააჩნია ამ საქმეს?**

– არა, არც ხანდაზმულობა ეხება და არც სხვა რამე. პოსტსაბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სახელმწიფომ აამოქმედა ხანდაზმულობა. მოლდოვამ, სომხეთმა, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, პოლონეთმა ყველა იმ ადამიანს დაუკანონა ბინა, ვინც 15 წლის განმავლობაში პატიოსნად იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. გამონაკლისი მარტო საქართველოა.

თავად „ატსტუპნიკები“ კანონის სრულად შეცვლას, მანამდე კი გამოსახლების შეჩერებას ითხოვენ. მით უფრო, რომ თითოეული პარლამენტარი წინასაარჩევნოდ სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ჰპირდებოდა.

**მაია, დაზარალებული:**

– როდესაც იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსახლეობას ხვდებოდა, როგორც ნაძალადევის რაიონის კანდიდატი, სულ გვიმეორებდა, როგორც კი სავარძელში დავჯდები, ნომერ პირველ საკითხად სწორედ „ატსტუპნიკების“ პრობლემებს მივხედავო, იგივეს გვეუბნებოდა ნუკრი ქანთარია, ვიქტორ დოლიძე, ზაზა პაპუაშვილი. როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდნენ, შეხვედრაზეც უარს გვეუბნებოდნენ. უამრავჯერ მივედით ვიქტორ დოლიძესთან, სადაც გვხვდებოდა მისი მდივანი იზოლდა მახარაძე და სულ ერთსა და იმავეს გვეუბნებოდა, ბატონი ვიქტორი საზღვარგარეთ არისო, მაგრამ იმავე დღეს პირდაპირ ეთერში ვხედავდით დოლიძეს რომელიმე პოლიტიკურ ტოქშოუში. ბოლოს გვითხრეს, ვიქტორმა თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა, კანონპროექტი შეიმუშავა და იურიდიულმა კომიტეტმა უნდა განიხილოს, ახლა მათ მოსთხოვეთ პასუხიო. დავით უსუფაშვილთანაც არაერთხელ მივედით, ბოლო შეხვედრაზე გვითხრა, თქვენ XXI საუკუნის მონები ხართ, მე კი თქვენ მხარეს ვარ, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი რას გავხდებიო. ვახტანგ ხმალაძე გვეუბნება, გამოსავალს ვერ ვხედავო... ერთმანეთს აბრალებენ და ერთმანეთთან გვამისამართებენ. ამიტომ მოვითხოვთ პრეზიდენტისგან, პრემიერისგან, პარლამენტის თავმჯდომარისგან, შეგვხვდნენ და მოაგვარონ ჩვენი პრობლემა, როგორც ამას გვპირდებოდნენ.



**ნანა ქობულაშვილი: „დოკუმენტაცია რომ გამოვითხოვე, ნოტარიუსს ხელი აქვს მოწერილი და მითითებულია, რომ ბინა არ არის სადავო, ამ დროს სასამართლოები მიმდინარეობდა ბინაზე“**

დაზარალებულების განცხადებით, ხშირ შემთხვევაში ოფიციალური მესაკუთრეები ბინებს ბანკებში დებენ ან იპოთეკით ტვირთავენ, თანაც ისე, რომ ამის შესახებ მაცხოვრებლებს არც კი ატყობინებენ.

**ნანა ქობულაშვილი, დაზარალებული:**

– როდესაც ბინაზე დავა დავიწყეთ და სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ მე უნდა გადამეხადა მესაკუთრისთვის ბინის ღირებულების 25%, ბედნიერი ვიყავი, მაგრამ შემთხვევით გავიგე, რომ ჩემი ბინა იპოთეკით არის დატვირთული.

**– როდიდან არის დატვირთული იპოთეკით?**

– 2008 წელს დატვირთა იპოთეკით ბინის 100%. თანაც როდესაც იპოთეკით ხდება ბინის დატვირთვა, მოთხოვნაა, რომ ის სადავო არ უნდა იყოს, დოკუმენტაცია რომ გამოვითხოვე, ნოტარიუსს ხელი აქვს მოწერილი და მითითებულია, რომ ბინა არ არის სადავო. ამ დროს სასამართლოები მიმდინარეობდა ბინაზე. მერი ბუბაშვილი – ეს არის ნოტარიუსი, რომელიც მსგავს საქმეებშია შემჩნეული. ვფიქრობ, გარიგება შედგა ჩემი ბინის საკითხზე ნოტარიუსსა და მესაკუთრეს შორის. იპოთეკარი მე მთხოვდა ფულს, შენ ცხოვრობ და უნდა გადამიხადოო. ათი ათას დოლარად ჰქონდა იპოთეკაში ჩადებული. რაც ხელისუფლება შეიცვალა, ეს კერძო იპოთეკარი აღარ გამოჩენილა, სამაგიეროდ ახლა ბანკი მთხოვს, მედავება.

**– ანუ თქვენი ბინა, გარდა იმისა, რომ ოპოთეკით იყო დატვირთული, ბანკშიც აღმოჩნდა ჩადებული?**

– განვადება ჰქონდა გაკეთებული უამრავი და გარანტიად ჩემი ბინა ჰქონია ჩადებული, შემდეგ არც პროცენტებს იხდიდა და ჯარიმებით ძალიან გაზრდილია გადასახადი. ბანკშიც თანხა 10 ათასამდეა ასული. ჩემი ქმარი სახლზე დავას შეეწირა, გულმა ვეღარ გაუძლო და გარდაიცვალა. მაგრამ ამით არ დასრულებულა დავა. მე ბინას მივაშენე ლოჯია, რომელიც მესაკუთრემ გაიფორმა და ცალკე ლოჯია გამიყიდა 6 ათას დოლარად. ახლა ჩემი ლოჯიის ახალი მესაკუთრეც მე უნდა გავისტუმრო, ასე გამოდის.

**– თქვენი ადვოკატი ვინ იყო?**

– მანანა კობახიძე იყო ჩემი ადვოკატი, მაგრამ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, შეხვედრაზეც კი უარს აცხადებს. დღეს ბრძოლას აზრი აღარ აქვს, მესაკუთრეს რომც გადავუხადო 6 ათასი დოლარი, კი გავხდები ჩემივე ბინის მესაკუთრე, მაგრამ ბინის ვალი გადმომყვება იპოთეკის სახით 10 ათასი, ბანკის სახით – ასევე, 10 ათასი დოლარი, ლოჯიის მესაკუთრის – 6 ათასი დოლარი.

მოქმედი კანონის მიხედვით, „ატსტუპნიკებს“ საკუთრების გაყიდვის უფლებაც არ აქვთ. ისინი საკუთარ თავს დაზარალებულებს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ბინების სანაცვლოდ მესაკუთრეები მაქსიმუმ 10 ათას ლარს სთავაზობენ. აღნიშნული თანხით კი ისინი არათუ ქალაქში, სოფელშიც კი ვერ შეიძენენ საცხოვრებელს. სწორედ ამიტომ ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, კახა კუკავა მათ ერთადერთ გამოსავალს სთავაზობთ.

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოსთვის“ ლიდერი:**

– ჩვენ პარლამენტში სწორედ ამ ადამიანების სახელით შევიტანეთ კანონპროექტი, რომელიც გადააგდეს ნაგავში. აუცილებელია გამოცხადდეს მორატორიუმი და აუცილებლად უნდა შეიცვალოს გამოსყიდვის პირობები. 20 ათასი ადამიანი სერიოზული ძალაა და მათ უნდა იაქტიურონ. გამოვიდნენ ქუჩაში, მოახდინონ თვითორგანიზება, გაშალონ კარვები, დაანახონ ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი შეიძლება პოლიტიკურ პროტესტში გადაიზარდოს. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის წევრები საკუთარი ხელით გადაწერენ ნაგავში გადაგდებულ კანონპროექტს და პრობლემის მოგვარებას დაიწყებენ. მე დაზარალებულებს არაერთხელ შევახსენე კარგი მაგალითები და შემიძლია, ახლაც გავიხსენო: თავის დროზე პენსიონერებმა შევარდნაძისთვის სახეში სილის გაწვნითა და სააკაშვილის არჩევით მიაღწიეს იმას, რომ პენსიები ცოტათი, მაგრამ მაინც იმატებდა. იგივე შემიძლია ვთქვა დევნილებზე, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს აქტიურად გამოხატავდნენ პროტესტს აქციებით, კარვების ჩადგმით, ბენზინების გადასხმით. შედეგად ნახევარი მილიონიდან 40 მილიონამდე გაიზარდა დევნილების საცხოვრებლების რეაბილიტაციის პროცესი. „ატსტუპნიკებსაც“ და იპოთეკარებსაც იგივეს ვურჩევდი.

**ლია: „გვეუბნებოდა, ბატონი ვიქტორი საზღვარგარეთ არისო, იმავე დღეს, პირდაპირ ეთერში ვხედავდით დოლიძეს რომელიმე პოლიტიკურ ტოქშოუში“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თემურ უგულავას პირველი ცოლი - თეო ფ

**my View**
თამარ გონგაძე

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ბიზნესმენი თემურ უგულავა თავის მეორე ცოლს ბაია დავითაიას ოფიციალურად შორდება. მიუხედავად იმისა, რომ ერთად სამი წელია აღარ ცხოვრობენ, აქამდე კანონიერ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ბაიასა და თემურს ქონებრივი დავა აქვთ და ახლა გახმაურებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ამის შესახებ ბიზნესმენის პირველი ცოლიც საუბრობს, რომელიც აქამდე ასე საჯაროდ არ გამოჩენილა. თეო ფერაძესა და თემურ უგულავს ოჯახი 14 წლის წინ დაენგრათ. მათ ორი შვილი ჰყავთ, 17 წლის ნუცა და 13 წლის გეგა. დღეს წყვილს მეგობრული ურთიერთობა აქვს, მეტიც, თეო ყოფილ ქმარს მეორე ცოლთან ქონებრივ დავაში გვერდით დაუდგა (ეს თემურის არც მოთხოვნა და არც სურვილი ყოფილა). ბაიამ და თემურმა კი 10 წელი იცხოვრეს ერთად. მათ ერთი ვაჟი ჰყავთ, 11 წლის ლუკა. ბაიას ერთ-ერთ ყვითელ პრესაში ეკითხებიან: „ჰოლიდეი ინი“ თემურმა გაჩუქათ, ასეა? – „ნამდვილად გახლავართ ამ სასტუმროს ერთ-ერთი დამფუძნებელი“, - პასუხობს ბაია.**

თეოსა და ბაიას გარდა ცნობილი ბიზნესმენის ცხოვრებაში ბევრი ქალი იყო, მათ შორის ცნობილებიც – მსახიობი ეკა ნიჟარაძე, დიზაინერი იკა ბობოხიძე, ნატა ყანჩელი (გია ყანჩელის ქალიშვილი). ეკა ნიჟარაძის უმცროსი ვაჟი, ნოდარ უგულავა თემურის შვილია.

ამბობენ, რომ უგულავა ყოფილ ქალბატონებს ეკონომიკურად უზრუნველყოფილს ტოვებს და ზოგისთვის ბინას ყიდულობს, ზოგსაც ძვირადღირებული მანქანებით ანებივრებს. უგულავას ეკუთვნის კომპანია „აჭარაბეთი“, კაზინო „აჭარა“, სასტუმროები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში... მისი სახელი და გვარი ყოველთვის ხვდება ქართველი მილიონერების სიაში.

**სამეგობროს ტვინი და ლიდერი**

რატომ არსად ჩანდა თემურ უგულავას პირველი ცოლი, როგორ ააწყო წარმატებული ბიზნესი თემურმა, როგორ გადაიტანა სხვასთან წასული ქმრის ამბავი თეო ფერაძემ და სად იყო 14 წელი – ამ ინტერვიუდან ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველი გაიგებს. თეო არ გვთანხმდებოდა ამ ინტერვიუზე, მაგრამ მაინც...

ხუთი წელი იყო იყვნენ შეუღლებულები, მანამდე 3 წელი შეყვარებულები... ოჯახებით და საერთო მეგობრებით იზრდებოდნენ. უმცროსი ვაჟი, გეგა, 6 თვის იყო, როდესაც წყვილი გაიყარა. თემური სახლიდან წავიდაო, ამბობს ჩემი რესპონდენტი. წყვილს ხელი მოწერილი არ ჰქონია (თეას ოჯახის იმდროინდელი პრობლემების გამო).

ლამაზი მოცეკვავე გოგონა პირველად თემურს შეყვარებია. თეო ნინო რამიშვილის სახელობის ქალთა ანსამბლში ცეკვავდა, თავისი პროფესიაც ჰქონდა, რა თქმა უნდა. ეს მისი ჰობი იყო, ანსამბლის სოლისტი იყო. „მანანა აბაზაძისა და იამზე დოლაბერიძის გაზრდილი ვარ. 18 წელი ვცეკვავდი. ამ ანსამბლში 40 ულამაზესი გოგო ცეკვავდა და თაყვანისმცემლების რიგი ყოველთვის იყო კონცერტებსა და რეპეტიციებს ჩასაფრებული... ანსამბლით უცხოეთი მაქვს მოვლილი. ჩემი შვილი, ნუცა, ორი წლის იყო ფილარმონიაში ანსამბლის ბოლო სოლო კონცერტზე რომ გამოვედი და როგორც მოცეკვავემ ამით დავამთავრე მოღვაწეობა. ბავშვი დარბაზში რომ იჯდა, 40 ერთნაირ გოგოში ვერ მარჩევდა და ამდენი დედიკოები რატომ არიანო კითხულობდა“.

თემური და თეო 14 წელია ერთად აღარ ცხოვრობენ, გულიც ატკინა და მას შემდეგ სიყვარულიც არ სწვევია, თუმცა ყოფილ ქმარზე დღემდე დიდი სითბოთი საუბრობს.

„თემური სამეგობროში გამორჩეული ბიჭი იყო, სიმპათიური და ძალიან ნიჭიერი. განსაკუთრებით ბიზნესის კეთების ნიჭით იყო დაჯილდოებული. მთელი სამეგობროს ტვინი და ლიდერი თემური იყო. მაშინვე გამოირჩეოდა კრეატიული აზროვნებით. 22 წლის ვიყავი, როდესაც ცოლად გავყევი. 1996 წელი იყო. ორ წელში ქალიშვილი შეგვეძინა. ძალიან ტრადიციული ოჯახიდან ვარ და ძმამ ჩემი გათხოვება ძნელად გადაიტანა. მეგობრებს ასეთი რამ არ უნდა მოგვსვლოდა, მაგრამ გულს ვერ უბრძანებ, ასე მოხდა და ეს ორივემ ვაღიარეთ. თუმცა ძმამაც და სამეგობრომაც ჩვენი ეს ნაბიჯი მიიღეს, ეს ძლიერი სიყვარული იყო და ქორწინებით უნდა დასრულებულიყო. ვერ წარმომედგინა ჩვენ შორის სხვა ტიპის ურთიერთობა. ჩემი ოჯახი ნახევრად მოსკოვში ცხოვრობდა, მამა იქ მუშაობდა, 90-იანი წლები იყო. ველოდით მამის ჩამოსვლას და ქორწინებაც გაიწელა. ამიტომ, იმ პერიოდის არეული სიტუაციის გამო უცერემონიოდ გადავედით ცალკე საცხოვრებლად, ჩვენ ქორწინებას სახე არ ჰქონია. თემურს წამოწყებულ ბიზნესში რომ წარმატება ჰქონოდა, ყველანაირად გვერდით ვედექი. რაღაც ახლის შექმნის იდეა აწუხებდა ყოველთვის. საერთოდ, არც ერთი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, მაშინვე მეორეზე ფიქრს იწყებდა. მე ამას ვხედავდი და ხელს ვუწყობდი, მიუხედავად იმისა, რომ ორი შვილი გავაჩინე. მის იდეებს მივყვებოდი ფიზიკურად, სულიერად, მორალურად. ყველაფერში ერთად ვიყავით. ბიზნესის კეთება კაზინო „აჭარათი“ დაიწყო. ჩვენი გოგო, ნუცა და კაზინო ტოლები არიან. თემური თვითონ იყო ძალიან აზარტული. ამ აზარტს კაზინოში თამაშში გამოხატავდა. მემუდარებოდა, სათამაშოდ არ გამიშვაო (თვითონ რომ ვეღარ უმკლავდებოდა აზარტს). როგორც კი მიხვდა, რომ ამ მავნე ჩვევას ვერ დასძლია, შექმნა კაზინო. მერე ტოტალიზატორიც გააკეთა და აზარტი მაშინ მოეხსნა კიდეც. მერე კლუბი „აჭარა მიუზიკ ჰოლი“ გააკეთა. კლუბს იტალიური რესტორანი ჰქონდა დართული, იმ დროისთვის საუკეთესო. მთელი თბილისი იქ დადიოდა. პარალელურად მოძრავი კლუბი გააკეთა, ბათუმის „მიუზიკ ჰოლი“. თბილისიდან ბათუმში ორი დღით სპეციალურად ჩადიოდნენ გასართობად. მერე სასტუმრო შეისყიდა, სადაც, როდესაც გავიყარეთ „Holliday Inn“ შექმნა.

**- ექვსი თვის შვილით დაგტოვათ და წავიდა, რა მოხდა?**

- შვილები ჩემთვის უმთავრესია (ჩვენ რომ ერთად კიდევ ვყოფილიყავით, ალბათ, მინიმუმ 5 შვილის დედა ვიქნებოდი). ვაჩენდი და ვზრდიდი. შვილებზე თვითონაც გიჟდება, თუმცა ბიზნესი მნიშვნელოვანია მისთვის. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ მოხდა ასე, თემური სხვა ქალთან წავიდა. მე არავინ განმისჯია, არც პასუხი მომითხოვია იმისთვის, ვისთანაც წავიდა. ყველას ვაჩუმებდი, ვინც კი ამას ამბობდა ჩემთან. მესამე ადამიანს არასდროს არ ვადანაშაულებ. ხმა არ ამომიღია, არ შევხებივარ. საქმე ჩემს სიყვარულთან, ჩემს ქმართან მქონდა, რომელსაც აღმოჩნდა, რომ წასვლა უნდოდა. ადგა და წავიდა.

**დეპრესია**

**- გქონდათ დეპრესია?**

- ორი წელი დეპრესიამ ლოგინად ჩამაგდო. ავდგებოდი და ვწვებოდი. სახლიდან არ გავდიოდი. არაფერი მაინტერესებდა. უბრალოდ, შვილებს მოვაკლდი ის ორი წელი, რასაც დღემდე ძალიან ვნანობ. ძიძაც მყავდა და ბებიებიც თავს ევლებოდნენ, მაგრამ, ის ორი წელი უჩემოდ ისე გაიზარდნენ, არ მახსოვს. ანტიდეპრესანტებისა და ფსიქიატრების ხელში ვიყავი. დღეს ვამბობ პირველად ასეთ რამეს: დღემდე ვერ ვხსნი, რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი ის ორი წელი და რის გამო (ეჭვი მერე გამიჩნდა, რომ გარეთა ხელოვნური ძალები ხომ არ იყო ამ ყველაფერში ჩარეული...). ახლა მივხვდი, რომ ვერც სპეციალისტები და წამლები მშველოდა და ერთ დღესაც მხოლოდ შავმა ზერმა მიშველა. ჩემზე არც შვილი მოქმედებდა და არც არაფერი. ოჯახის დანგრევა რა ისეთი ტრაგედიაა, თან საღად მოაზროვნე ადამიანი ვარ. მაგრამ ვერ ვხსნი ლოგინიდან ამდგარი ისევ ლოგინში რატომ ვბრუნდებოდი. დღეს უკვე, ამდენი წლის შემდეგ, ეს სასაცილოდ მეჩვენება. რატომ ჩავვარდი ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში – ვერ გეტყვით. ექვსი თვის ბავშვით ძუძუზე მიჯაჭვული დამტოვა ქმარმა და სხვასთან წავიდა. მაგრამ ნელ-ნელა გამოვედი მდგომარეობიდან.

**- იმ დროს თემური გვერდში დაგიდგათ?**

- ისეთ მდგომარეობაში ვიყავი არაფერი შეეძლო. მაგრამ ფინანსურად მეხმარებოდა, მორალურად გვერდით მედგა და ძალიან ნერვიულობდა. სხვასთან ცხოვრობდა და მთელი დღე ჩემს სახლში ატარებდა, იმაზე ფიქრში, ჩემთვის რა ეშველა.

**- თქვენთან დაბრუნებაზე არ უფიქრია?**

- ამითიც მოსულა, მცდელობა მეც მქონდა, მაგრამ თვითონ ამას გამოსავლად რატომღაც არ თვლიდა. ვერ ფიქრობდა, რომ მისი დაბრუნება მე მიშველიდა (მით უმეტეს ჭკუა და ემოცია არც მაშინ აკლდა). გაორებული იყო.

**- დეპრესიიდან გამოსვლის თქვენი მეთოდი სხვას რომ გაანდოთ?**

- ეს იმხელა, სხვა ღრმა თემაა, რომ არ ვიცი ახლა როგორ შევძლებ. საკუთარი თავი საუკეთესო დამხმარეა. მამამ რომ თვალი ამიხილა, მერე შევძელი თავის გადარჩენაზე ფიქრი. ლიტერატურის კითხვა დავიწყე, თავისთვის როგორ მეშველა. შვილები საზაფხულო სკოლებში საზღვარგარეთ რომ დადიოდნენ, დავყვებოდი, რა თქმა უნდა, და მახსოვს, მხატვრული ლიტერატურის ნაცვლად, ფსიქოლოგიაზე ლიტერატურას ვიძენდი. პრაქტიკით გამოვიჭირე მექანიზმები, რომელმაც მიშველა. ფსიქოლოგსაც უთქვამს: თვითონაც გცოდნია რაც უნდა მერჩიაო. ბევრი მექანიზმი ვიცი უკვე, რომელიც მე თვითონ გამომივიდა და ფსიქოლოგიის ლიტერატურაში პირდაპირ წერია თურმე. ერთ-ერთი ხერხი ცეკვაა, რომელიც უარყოფითი აურის და ენერგიის გამოდევნის საუკეთესო თერაპიაა. დაღლილობის შემდეგ ენერგიას დღემდე ცეკვისგან ვიღებ. წიგნშიც წერია, რომ თვეში ერთხელ მაინც ცეკვაში უნდა დაიხარჯო, რომ სტრესისგან და უარყოფითი ემოციე-




„ბაიამ მთელ თბილისს გააგებინა ჩემი საყვარელი თემურ უგულავააო. იმ ქალმა იმდენი გააკეთა... მოკლედ, რაც გააკეთა. მე არ ვარ იმ ტიპის ქალი, კაცი, რომელსაც ჩემგან წასვლა უნდა, ძალით დავაკავო“








„ექვსი თვის ბავშვით ძუძუზე მიჯაჭვული დამტოვა ქმარმა და სხვასთან წავიდა. ორი წელი დეპრესიამ ლოგინად ჩამაგდო. ავდგებოდი და ვწვებოდი. სახლიდან არ გავდიოდი. არაფერი მაინტერესებდა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ერაძე თოთხმეტწლიანი დუმილის შემდეგ



## ბაია დავითაიასთან ქონებრივ დავაში მყოფ ყოფილ ქმარს თეო გვერდით დაუდგა

EXCLUSIVE

„მე, ორსულს, სახლში დამტოვებდა, მუცელს დამიკოცნიდა და კლუბში მიდიოდა. ეგ და ეკა ნიჟარაძე იქ დაეჯახნენ ერთმანეთს და დაიწყეს ურთიერთობა. კაზინოს შენება რომ დაიწყო, რამდენიმე თვე ეკასთან და მის შვილებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად. მე, ეკა ნიჟარაძეზე არაფერი ვიცოდი"



ბისგან გამოხვიდე. ყველას შეუძლია სახლში მარტო დადგეს და იცეკვოს. ეს ბევრმა ისედაც იცის და მიმართავენ. თავის გადარჩენისთვის რომ ვიბრძოდი, აი, ასეთი უამრავი ხერხი ვიპოვე ჩემით. ვფიქრობდი, ფსიქოლოგიის შესწავლასაც და წიგნის დაწერასაც, მაგრამ ვერ მოვიცალე.

**კარგი მამა**

**– თქვენს შვილებზე მოგვიყევით, როგორ შეხვდნენ მამის ცალკე ცხოვრებას?**

– მაშინ პატარები იყვნენ და ასე ვერ გამოხატავდნენ, თან ჩემი მდგომარეობა უფრო წინა პლანზე იდგა მაშინ ყველასთვის. გაიზარდნენ და თემურმა მიიღო გადაწყვეტილება, ორივე ამერიკაში გაუშვა სასწავლებლად. უნდოდა დამოუკიდებლად გაზრდილიყვნენ და თან განათლება მიეღოთ. 13 წლის იყო ნუცა, თემურმა მის საზღვარგარეთ გაშვებაზე რომ დაიწყო ლაპარაკი. უნდოდა ბავშვებს მენტალიტეტიც ცოტა იქაური აეღოთ, დამოუკიდებელ ადამიანებადაც ჩამოყალიბებულიყვნენ... ბებია-ბაბუასთან გაუშვებ შაბათ-კვირას და ისინი თავზე ჰყვებიან, მერე ხუთი დღე გჭირდება ის „გათამამებული" ბავშვი გამოასწორო და რეჟიმში ჩასვა. ეს ბებია-ბაბუის „შენ შემოგევლე-შენი ჭირიმე" ისედაც აქვთ შენარჩუნებული, რომელიც მაინც ქართველის სისხლშია. ჩვენც ჩავდივართ ამერიკაში მათთან და სიყვარული და ურთიერთობა არ აკლიათ. ლონგ აილენდზე ერთ სკოლაში სწავლობენ. ახლა ათი დღით მათთან ვიყავი, არდადეგები ჰქონდათ. თვითონ წელიწადში ოთხჯერ საქართველოში ჩამოდიან. მამას სურს შვილებმა უმაღლესი განათლება ჰარვარდში მიიღონ. როცა ამის საშუალება გაქვს, ამაზე კარგს რას გააკეთებ? უამრავი უნიჭიერესი ბავშვია საქართველოში, მაგრამ სახსრები არ აქვთ და ამის ჩვენგან გამოუყენებლობა, საცოდაობა იქნებოდა. ძალიან კარგი მამაა. თვალები უბრწყინდება შვილების წარმატებებს რომ იგებს.





**- დღეს მეგობრობთ ყოფილ მეუღლესთან?**

- ვმეგობრობთ. ჩვენ ხომ ბავშვობიდან მოვდივართ.

**ცოლები**

მსახიობი ეკა ნიჟარაძე თემურ უგულავამ ჯაზკლუბში გაიცნო. მაშინ თეა პირველ შვილზე იყო ორსულად. მეორე შვილი კი ექვსი თვის იყო მეორე ქალი რომ გამოჩნდა თემურის ცხოვრებაში. სწორედ მასთან აქვს დღეს ბიზნესმენს ქონებრივი დავა.

„მე სახლში დამტოვებდა, ჩამკოცნიდა, მუცელს დამიკოცნიდა და კლუბში მიდიოდა. ეგ და ეკა იქ დაეჯახნენ ერთმანეთს და დაიწყეს ურთიერთობა. ბავშვი რომ გავაჩინე, დედაჩემთან ვცხოვრობდი, პირველი შვილი იყო და გამოუცდელიც ვიყავი. ქმრის მისამართით კი ყურადღება მოვადუნე. მე შვილზე, თემური საქმეზე იყო გადართული. კაზინოს შენება რომ დაიწყო, რამდენიმე თვე ეკასთან და მის შვილებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად. მე, ეკა ნიჟარაძეზე არაფერი ვიცოდი. ფეხმძიმედ ვიყავი და რომ არ მენერვიულა, ყველამ დამიმალა ეს ამბავი. რომ მივხვდი, რომ თემურს საყვარელი ჰყავდა, დავშორდი. ნუცა უკვე ერთი თვის გვყავდა. რა არ გააკეთა, მაინც შემირიგა და ეკას დაშორდა. შევრიგდით, ერთი შანსი მივეცი. თავსაც ვაბრალებდი, უყურადღებოდ რომ დავტოვე, ყურადღება ვერ გადავანაწილე. სახლი ვიყიდეთ და გადავედით. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ეკა უკვე ორსულად ყოფილა... თემურს ძალიან შეეშინდა. ამას რომ არ ვაპატიებდი, იცოდა. მთელი თბილისი გააფრთხილა, ეს თეამ არ გაიგოს, თორემ აღარაფერი მიშველისო. ეკას და თემურის შვილი, ნოდო უკვე ორი წლის ხდებოდა, როდესაც მე მისი არსებობის შესახებ გავიგე. (უკვე როცა ჩვენ დავშორდით, ეს ამბავიც მაშინ გამაგებინეს.) ისინი ერთად აღარ იყვნენ უკვე. მე და თემურიც გაყრილები ვიყავით, ის ბაია დავითაიასთან იყო წასული. დეპრესიაშიც იმიტომ ჩავვარდი, რომ ორმაგი დარტყმა მივიღე, თურმე ტყუილში ვიცხოვრე, ერთად ვცხოვრობდით და ჩემგან მალულად სადღაც ბავშვი იზრდებოდა კიდევ. იქნებ, რომ მცოდნოდა, უკეთესი ყოფილიყო. ახლა, ნოდოც ნიუ-იორკშია, ერთად არიან და-ძმები. ეკასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბაიამ კი მთელ თბილისს გააგებინა ჩემი საყვარელი თემურ უგულავააო. თემურს თავიდან გაორება სჭირდა, ხან იქ იყო, მასთან, ხან - ჩემთან. მაგრამ იმ ქალმა იმდენი გააკეთა... მოკლედ, რაც გააკეთა. მე არ ვარ იმ ტიპის ქალი, კაცი, რომელსაც ჩემგან წასვლა უნდა, ძალით დავაკავო (ან ბავშვები გავრიო, ან არც ვიცი, რითი შეიძლება კიდევ). მერე იყო ჩემი დეპრესია. მაგრამ გავძლიერდი. გაშორება და ტკივილი ჩემთვის უცხო რამ იყო, რადგან ოჯახში ვარდისფერი სათვალით გამზარდეს. ეს სათვალე ჩემით ჩამოვიხსენი, რა ვქნა, რომ ჩემი მშობლები ასე ფიქრობდნენ და ასე აღმზარდეს. მე ვიცი - ჩემები როგორ აღვზარდო...

**- ყოფილ მეუღლეს გვერდით უდგახართ?**

- გვერდით ვუდგავარ. თემურის მტერი ჩემი მტერია. მტკივა და გვერდით ვუდგავარ. ყველა მის ყოფილ ქალთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბაიასთან მას შემდეგ ვურთიერთობ, რაც გაშორდნენ, პატარაა თბილისი და ბევრი საერთო ახლობელი გვყავს და ამიტომ. მათი ქონებრივი დავის შესახებ ყველაზე ბოლოს მე გავიგე. ბაიამაც დამიმალა. არადა, თითქმის ერთი წელია ეს პროცესი მიდის და ძალიან მეწყინა. სხვამ თუ არ გამაგებინა, ეგეც ჩემს სასიკეთოდ გააკეთეს.

**- თქვენ ყოფილი ქმრისგან არაფერი მოგითხოვიათ?**

- უთანხმოებები გვქონია, მაგრამ ის გვპატრონობს. რა მაქვს მოსათხოვი? პირადად მე, ყოფილ ცოლს, არაფერს მაკლებს. იქ არის, მე თუ რაიმე მჭირდება. მით უმეტეს, შვილები გზაზე დაყენებული ჰყავს და სხვასაც არაფერს აკლებს. ამდენი საქმე, ამდენი ცოლი და შვილი (ნუ, ეს მისი არჩევანია)... მაგრამ მაინც გვერდში ვუდგავარ და ვუგებ.

**ბიზნესვუმენი**

**- როგორ შეუძლია ამდენი სიყვარული, ამდენი ცვლილება პირად ცხოვრებაში?**

- რატომ არ შეუძლია?! ოჯახი ბევრთან არ შეუქმნია. ვისთანაც უნდა, ყველასთან არის. მის სახლში ხან ერთი ქალი ცხოვრობს, ხან - მეორე. ქალები იქით აქტიურობენ. თემურს საშუალება აქვს და იღებს მათ. ვიღაცას რომ ქალისთვის ყვავილის ჩუქება შეუძლია, თემურს შეუძლია მის მაგივრად მანქანა ან სახლი აჩუქოს და ამით ასიამოვნოს. სად დახარჯავს და ვის დაახარჯავს, ჩემი საქმე არ არის.

**- ქალაქში სასურველ მამაკაცად ითვლება. არაერთი ქალი ცდილობს მის გვერდით ყოფნას. ამას როგორ უყურებთ?**

- არ ვაქცევ ყურადღებას. ჩემი ქმარი აღარ არის და კაცია და სანამ აქვს საშუალება, იყოს ისე, როგორც უნდა. თუმცა ერთი გაფრთხილება მივეცი, ჩემს შვილებს მეტი და-ძმა არ სჭირდება ოჯახის გარეშე და ამდენი სხვადასხვა დედისგან-მეთქი. ნატალია ყანჩელთან რომ გაუჩნდა შვილი, ვთხოვე, არ გაბედო მეტი შვილის ყოლა-მეთქი. პირობა მომცა. ბავშვები არა, მაგრამ ქალები იქნებიანო. ეს კიდევ არ მაინტერესებს.

**- დღეს რა გრძნობა გაქვთ მის მიმართ?**

- ჩემი შვილების მამაა და მიყვარს. წარსული, ჩემი ბავშვობა და თინეიჯერობაა და მე თემურს ვუფრთხილდები. მინდა ჯანმრთელად იყოს. ზოგჯერ ვბრაზდები, ზოგი ქალი ნამცხვრებს და უამრავ სხვადასხვა რამეს რომ უმზადებს და ეს კიდევ ჯანმრთელობის კუთხით არ არის კარგი. ეს კაცი სიკეთის განსახიერებაა და მან დიდხანს უნდა იცოცხლოს. (ბევრ დახმარებას უწევს სხვებსაც და იმათაც, ვისაც არ ეკუთვნის).

**- წყენა აღარ დაგრჩათ?**

- გამიარა, არანაირი წყენა აღარ არის.

**- დაბრუნება რომ მოინდომოს?**

- დღეს მსგავს რამეზე მე ვერ ვფიქრობ. მე ვხვდები ჩემს გვერდზე როგორი მამაკაცი უნდა იყოს, რომ ბედნიერი ვიყო და იმ კაცს რა ერქმევა, მე არც მაინტერესებს...

ყოფილმა ქმარმა თეას შემდგომ განათლებაზეც იზრუნა. მან ლონდონში ისწავლა. შემდეგ კი საყვარელი საქმიანობა - ცეკვა ბიზნესად აქცია. მეგობრებთან ერთად გახსნა კლუბი-ლაუნჯი. ამაშიც თემური დაეხმარა. მოცეკვავე თეო ქლაბინგში გადაეშვა. ბათუმში „Soho ლაუნჯი" გააკეთა. ერთ დროს ჯანსაღი კვებითაც დაინტერესდა, წამოიწყო პროექტი - აუტიზმი ქართველი ბავშვებისთვის და სხვა...

„დეველოპერი ვარ. ვიწყებ საქმეს და რაღაც ეტაპამდე რომ მივა, სხვა რამეზე გადავდივარ".

**- ყოფილმა ქმარმა გასწავლათ ბიზნესის კეთება?**

„თემურის მტერი ჩემი მტერია. მტკივა და გვერდით ვუდგავარ. ყველა მის ყოფილ ქალთან ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ბაია დავითაიასთან მას შემდეგ ვურთიერთობ, რაც გაშორდნენ, პატარაა თბილისი, ბევრი საერთო ახლობელი გვყავს და ამიტომ. მათი ქონებრივი დავის შესახებ ყველაზე ბოლოს მე გავიგე. ბაიამაც დამიმალა"

- ალბათ, არ ვიცი, ან ორივე ასეთები ვართ... კიდევ ვაპირებ ბევრ ინოვაციას და, რა თქმა უნდა, საქველმოქმედო საქმიანობას, მით უმეტეს, უკვე ბევრი მიკეთებია და გავაგრძელებ კიდეც.

**- ია ფარულავას მართლა გამსგავსებდნენ?**

- ამით სულ ვიყავი დატანჯული. სხვათა შორის, მე და იას ფოტოსესიის გაკეთება გვაქვს დაგეგმილი. ერთხელ ექიმ ვოვა შენგელიძესთან მივედი, იას მეგობარია და გაუკვირდა, ასე ცივად რატომ შევხვდი. ანკეტას რომ ავსებდა და სხვა სახელი და გვარი ვუთხარი, მაშინ ამოისუნთქა, ვფიქრობდი, რამე ხომ არ ვაწყენინე იას, ასე ცივად რატომ შემხვდაო ))).

**- თემურის შემდეგ არ გყვარებიათ?**

- არა. რატომღაც ასე მოხდა. ტრადიციულმა ოჯახმა იმოქმედა, ალბათ. შვილებზეც ვფიქრობ და ფრთხილად ვუდგები ამ საკითხს. მაგრამ პირადი ბედნიერება ყველა ქალისთვის აუცილებელია და თუ მეწვევა, ამ უმთავრეს ბედნიერებას აუცილებლად მივიღებ და დავტკბები ცხოვრებით, ოდესღაც მაინც...



# გახდა თუ არა ბაბეტა გიორგი ვარდოსანიძისა

**my View**

**ნინო მჟედლიშვილი**

**სელებრითების პირადი ცხოვრება ყველა ქვეყანაში საინტერესოა მათი გულშემატკივრებისთვის და არამხოლოდ მათთვის. ასეა საქართველოშიც, ოღონდ ერთი განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში წყვილის დაშორება მითქმა-მოთქმას იწვევს. ამის მიზეზი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, წყვილი დაშორების კონკრეტულ მიზეზს არ ამხელს. ასე მოხდა გიორგი ვარდოსანიძისა და სალომე ჭაჭუას შემთხვევაშიც. საზოგადოების ინტერესი დიდია, წყვილი კი უწინდებურად დუმს.**

ამასობაში გამოჩნდა ქალი, რომლისთვისაც სხვისი ოჯახის დანგრევა უცხო ხილი არ არის. სწორედ ცოლიანი იყო რეპერი აკაკი ბაბუნაშვილი, რომელსაც მარი ბაბეტამ ოჯახი დაუნგრია. მიუხედავად იმისა, რომ მარი ბაბეტა, იგივე ბაბე, იმ ოჯახს ოჯახს არ უწოდებდა, ფაქტი ერთია, მან შავი პრინცი ცოლს წაართვა. სწორედ ამ გრძელფეხება, სექსუალურ მოცეკვავეს ბრალდება სალომე ჭაჭუასა და გიორგი ვარდოსანიძის ოჯახის დანგრევაც. როგორც ამბობენ, სალომემ გიორგისა და მარის ჩათი წაიკითხა სოციალურ ქსელში და პრობლემებიც აქედან დაიწყო.

რა მოხდა რეალურად და ვინ ემუქრება მარი ბაბეტას, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.



**„ჩვენი ურთიერთობა უცნაურად დაიწყო. ერთმანეთს არ ვზღუდავდით. მასაც შეეძლო ჰყოლოდა ვინმე და მეც შემეძლო პარალელურად სხვა პარტნიორი გამეჩინა“**

**- მარი, შენი ნამდვილი სახელი და გვარი მინდა ვიცოდე...**

- მარიამი მქვია, ბაბეტა ფსევდონიმია, ქართული შოუბიზნესისთვის შეიქმნა. ნამდვილ გვარს არ ვამხელ, არ იქნება საინტერესო არავისთვის. ქართველი არ ვარ, ეს ისედაც ყველამ იცის. დედა უკრაინელი მყავს, მამა - პოლონელი. საქართველოში დავიბადე, ვიზრდებოდი უკრაინასა და მოსკოვში. უკვე 6 წელია საქართველოში ვცხოვრობ. ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი „მწვანე კონცხზე“ გაიცნეს. დედისერთა ვარ. მამა დედაზე 12 წლით უფროსია. რაგბისტია და დიდად არ ეტყობა ასაკი. მიუხედავად იმისა, რომ დედა ქართველი არ არის, ქართულ ტრადიციებს იცავს დღემდე. მამა უფრო ევროპელია, თანამედროვე, თავისუფალი. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ამიკრძალავდა კლუბებში ცეკვას, ასეთ გულახდილ ფოტოსესიებს, შოუებში მონაწილეობას.



**„ერთად არ ვცხოვრობდით, მაგრამ ის ჩემი „ბოიფრენდი“ იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პირველი კაცი იყო“**

**- ახლა რამდენი წლის არის მამა?**

- 75 წლის, ბევრი ვარჯიშიდან გამომდინარე, მუხლში წყალი ჩაუდგა და ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, მხედველობაც დაუქვეითდა, ბუნდოვნად ხედავს. ექიმები ამბობენ, რომ ეს ასაკის ბრალია. ვეხმარებით ოჯახის წევრები როგორც შეგვიძლია.

**- თავად რამდენი წლის ხარ?**

- 27-ის.

**- რა არის შენი ძირითადი პროფესია?**

- ორი პროფესია მაქვს, ფილოლოგი და ქორეოგრაფი ვარ. ფილოლოგი ვარ რუსული და ინგლისური ენის განხრით. დიპლომიც მაქვს. შემიძლია თარჯიმნადაც ვიმუშავო, მაგრამ ეს არის ჩემი მოწოდება. ამ პროფესიით არასდროს მიმუშავია. ქორეოგრაფიული ბოლომდე არ დამიმთავრებია. ქორეოგრაფის დიპლომი არ მაქვს. თვითნასწავლი მოცეკვავე ვარ, მაგრამ შემიძლია ცეკვა ვასწავლო ბავშვებს. შემიძლია ვასწავლო „სტრიპ დენს“, „არემბი დენს“. „გოუ-გოუ დენს“, მუცლის ცეკვები.

**- არაერთი რეპერის კლიპში ხარ გადაღებული, შენი ყოფილი ქმარიც, შავი პრინცი, რეპერი იყო. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

- აკაკი „სუხიშვილების“ სტუდიაში ქასთინგს ატარებდა. იქ მივედი, გავიარე ქასთინგი, მოვეწონე და ამიყვანა. შემდეგ უკვე თავის ჯგუფში ჩამსვა. მალევე გადმომაბარა ჯგუფი, გოგოებს ვასწავლიდი ცეკვას.

**- აკაკი იყო შენი პირველი სიყვარული?**

- პირველი სიყვარული არა, მაგრამ დიდი სიყვარული იყო. პირველი სიყვარული, ბავშვური გატაცება, მალე დამთავრდა. რაც შეეხება აკაკის, ამბობდნენ, მას იმიტომ გავყევი, რომ პოპულარული იყო. იმასაც ამბობდნენ, აკაკი ჩემთან იმიტომ იყო, მასზე 11 წლით პატარა რომ ვარ. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორებია. ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ვაფანატებდი აკაკიზე.

**- მშობლებმა იცოდნენ თქვენი სიყვარულის ამბავი?**

- თავიდან არა, ვატყუებდი, რომ მეგობრები ვიყავით, რომ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ბოლოს აზრი აღარ ჰქონდა დამალვას, ჩვენ უკვე ერთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. დედა დავისვი გვერდით და ვუთხარი ყველაფერი.

**- რა ტიპის ურთიერთობა გქონდათ, „ბოიფრენდი“ იყო აკაკი შენთვის?**

- ერთად არ ვცხოვრობდით, მაგრამ ის ჩემი „ბოიფრენდი“ იყო. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი პირველი კაცი იყო აკაკი ბაბუნაშვილი.

**- რამ მოგხიბლა მასში?**

- ბევრმა არ იცის, როგორი ადამიანია აკაკი. გულის სიღრმეში ძალიან კეთილია, გვერდით მდგომი, კარგი მეგობარი, ქმარი და მამა. 18 წლის ვიყავი ერთად ცხოვრება რომ დავიწყეთ. ერთ წელიწადში დავფეხმძიმდი. გოგონა გაგვიჩნდა.

**- სად გაქრა ამხელა სიყვარული?**

- არ ვიცი, დრომ მომპარა. ფეხმძიმედ რომ ვიყავი ბარბარეზე აკაკი რუსეთში წავიდა. ახლა უკვე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ აკაკი საქართველოდან პრობლემებს გაექცა, უნდა დამალულიყო, ასე იყო საჭირო. სადღაც დაიწერა, რომ მიმატოვა. ასე არ ყოფილა. წავიდა, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. განშორება ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემთვის. ფეხმძიმობა, მშობიარობა საყვარელი ადამიანის გარეშე გამოვიარე. ბავშვი რომ გაჩნდა, მივეჩვიე იმას, რომ ქმარი გვერდით არ მყავდა, რომ უნდა ვყოფილიყავი ძლიერი და თვითონ მიმეხედა შვილისთვის, ოჯახისთვის. 2 წელი იყო აკაკი რუსეთში. ამ პერიოდმა გააფუჭა ჩვენი ურთიერთობა.

**- არ დაელოდე?**

- დაველოდე, მაგრამ როცა მივხვდი, რომ მის გარეშეც შემძლებია ცხოვრება, დავიწყე მუშაობა. რომ ჩამოვიდა ძალიან გამიხარდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ის სიყვარული, ვნება, აღტაცება სადღაც გამქრალიყო.

**- მე მქონდა აკაკისთან ინტერვიუ და მან ასეთი რამ თქვა, როცა დავბრუნდი და მარის შევხედე, მივხვდი, რომ ის ჩემი აღარ იყოო. უკვე გყავდა ვინმე ?**

- ასეა, მისი აღარ ვიყავი. უკვე სიმპათია მქონდა ერთი ადამიანის მიმართ. დააგვიანდა აკაკის...

**- თუმცა, აკაკი ცოლსაც არ გიწოდებდა.**

- მართალია. ჩვენ ხელი არ მოგვიწერია, არც ჯვარი დაგვიწერია. ერთმანეთს არ ვეძახდით ცოლ-ქმარს. ეს სტატუსი არ მოგვწონდა. მეგობრებს ერთმანეთს ასე ვაცნობდით, ეს ჩემი საყვარელი ადამიანია.

**- „ჯი-დი-ეს“-ის ეთერში იმ გახმაურებული კადრების შემდეგ, შენი უკანალი ტამტამად რომ გამოიყენეს მუსიკოსებმა, მძაფრი რეაქცია ჰქონდა აკაკის, შვილი ეზრდება, თვალებში როგორ უნდა შეხედოსო, ამბობდა ჩემთან ინტერვიუში...**

- ზუსტად ვიცოდი ასეთი რეაქ-

**„ზუსტად ვიცოდი, რომ ცოლი არ უყვარდა“**

ცია რომ ექნებოდა. ჩვენ ერთად არ ვართ და რასაც გავაკეთებ, ჩემი საქმეა, მას ნამდვილად აღარ ეხება. რამეს გავაფუჭებ თუ გავაკეთებ, ამაზე პასუხისმგებელი მე ვარ.

**- გააფუჭე?**

- არა მგონია, რომ გავაფუჭე. ამით არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და არც თავად ვგრძნობდი შეურაცხყოფილად თავს. შეიძლება იმ მომენტში ეს ცუდად გამოჩნდა, ვიღაცებმა არ დამინდეს და უშვერი სიტყვებითაც მლანძღეს, მაგრამ ამ ეთერის შემდეგ გაიზარდა საქმიანი შემოთავაზებები.

**- სიშიშვლის, სითამამის და სექსუალური იმიჯის გამო რომ გაქვს შემოთავაზებები, ეს არ გაკომპლექსებს?**

- არა. ამას არ ვაკეთებ ფულის გამო. ეს თვითონ მსიამოვნებს. ამას რომ წაიკითხავენ, ალბათ, იტყვიან, რომ გარყვნილი გოგო ვარ, მაგრამ ასე არ არის. მე ვარ შოუვუმენი. შოუში არაფრით არ უნდა იყო შეზღუდული, დაკომპლექსებული. რა ვქნა, ასეთს მხედავენ. მე სხვა რამაც შემიძლია, შემიძლია ფილმში ვითამაშო, მსახიო-






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და სალომე ჭაჭუას ოჯახის დანგრევის მიზეზი



„როგორც გავიგე, სალომეს გიორგის „ფეისბუქი“ უნახავს, წაუკითხავს „ჩათი“ გოგოებთან და მათ შორის ჩემთან“



EXCLUSIVE

„მინდა ვითამაშო ლამაზი, მაცდური, სექსუალური ვამპირი ქალი“

ბი ვიყო. ჩემი ოცნებაა, მისტიკურ ფილმში ვითამაშო. ეს ოცნება განხორციელებადია. მინდა ვითამაშო ლამაზი, მაცდური, სექსუალური ვამპირი ქალი.

**- ქრისტიანი ხარ?**

- კი, მორწმუნე ვარ. მოძღვარი არ მყავს, ეკლესიაშიც დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ღვთის ტაძარში შესვლა მიყვარს მაშინ, როცა მე მინდა და არა მაშინ, როცა, მავალდებულებს რწმენა. რწმენა ვალდებულებით არ მოდის.

**- „მე მინდა“ რას ნიშნავს, როცა გიჭირს?**

- არა, მაშინაც შევსულვარ ეკლესიაში, როცა ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი ბედნიერება უფლისთვის გამეზიარებინა, მადლობა გადამეხადა მისთვის.

**- დღეს ბედნიერი ხარ?**

- კი. თავისუფალი ვარ და ამით ბედნიერი ვარ.

**- აკაკის მერე იყო შენს ცხოვრებაში სერიოზული სიყვარული?**

- იყო. ერთი წელი შეყვარებული ვიყავი. 6 თვის წინ დავშორდით ერთმანეთს. სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია. უცნაურად დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ერთმანეთს არ ვზღუდავდით. მასაც შეეძლო ჰყოლოდა ვინმე და მეც შემეძლო პარალელურად სხვა პარტნიორი გამეჩინა. მან, ალბათ, არ იცის და დღეს გაიგებს, რომ იმ პერიოდში მე სხვა მამაკაცი არ მყოლია. მე ის ყველანაირად მაკმაყოფილებდა.

„ვიღაც ქალბატონები მიკავშირდებიან და მემუქრებიან, რომ გიორგიზე რამეს თუ ვიტყვი, ამაორთქლებენ“

**- ვინ არის, ვიცნობთ?**

- მის ვინაობას ვერ გავამხელ, რეჟისორია, ტელესივრცეში ტრიალებს. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, მეშინია პრობლემები არ შეექმნას.

**- რატომ, ცოლიანია?**

- არა. არც ვიცი ახლა მისი ცხოვრება როგორ მიდის. კონფლიქტით დავშორდით. ტელეფონზეც აღარ ვუკავშირდებით ერთმანეთს. ალბათ, გამარჯობასაც არ ვეტყვით ერთმანეთს.

**- ცოლიან კაცთან გქონია ურთიერთობა?**

- ჩემი ყოფილი ქმარი, აკაკი, ცოლიანი იყო, როცა შემიყვარდა.

**- „ჟენა ნი სწენა“, ასეა?**

- ზუსტად ვიცოდი, რომ ცოლი არ უყვარდა. ის გოგო დაფეხმძიმდა, ბიჭი გაუჩინა და აკაკიმ ველარ მიატოვა. ერთად დაიწყეს ცხოვრება, მაგრამ სულ კონფლიქტი ჰქონდათ.

**- რამდენ ხანში მოახერხე აკაკის დასაკუთრება?**

- 7 თვეში.

**- ბაბე, შენ კიდევ ერთი ოჯახის დანგრევაში გადანაშაულებენ. ამბობენ, რომ გიორგი ვარდოსანიძე და სალომე ჭაჭუა შენ გამო დაშორდნენ ერთმანეთს...**

- (იცინის) მე მაბრალებენ, მაგრამ მათი ოჯახი მე არ დამინგრევია. გიორგი გადასაღებ მოედანზე გავიცანი. ვიღებდით ფილმს, „სიყვარული 5 ნახვით“. ეს ერთი წლის წინ იყო. მაშინ სალომე და გიორგი უკვე ცოლ-ქმარი იყვნენ. მე და გიორგიმ ერთმანეთი „ფეისბუქზე“ დავიმატეთ და ვურთიერთობდით, როგორც კოლეგები. ჩვენს მიმოწერაში ნამიოკიც კი არ იყო იმის შესახებ, რომ ერთმანეთის საყვარლობა გვინდოდა. მეგობრული, თბილი ურთიერთობა გვქონდა. დამშვიდობებისას კოცნებსაც ვუგზავნიდით ერთმანეთს ჩათში, ოთონდ მეგობრულად. როგორც გავიგე, სალომეს გიორგის „ფეისბუქი“ უნახავს, წაუკითხავს „ჩათი“ გოგოებთან და მათ შორის ჩემთან. არ ვიცი რა მოხდა. ჩვენ ერთმანეთს ისეთს არაფერს ვწერდით, ამის გამო ოჯახი რომ დანგრეულიყო. თუმცა, როცა ქმარი ასეთ სექსუალურ ქალს სწერს და იქიდანაც პასუხს იღებს, არც ერთ ცოლს არ მოეწონება.

**- დროში დაემთხვა, მათი დაშორება და თქვენი მიმოწერა?**

- როცა ჩვენ ერთმანეთს ვწერდით, სალომესთან იყო გიორგი. როცა გავიგე, რომ დაშორდნენ, ორი თვე ურთიერთობა აღარ გვქონია. მერე კიდევ მოვიკითხეთ ერთმანეთი. მას მერე რაც გავრცელდა ჭორი, რომ წყვილის დაშორების მიზეზი მე ვიყავი, გიორგიმ დამირეკა და მკითხა, რა ხდება, რა მიწერ-მოწერა გვქონდა ჩვენო. გაკვირვება რომ გამოვხატე, დაიბნა, ან იფიქრა, რომ მისთვის ცუდი მინდოდა და ყველაფერი უარყო. თქვა, რომ მას „ფეისბუქი“ რამდენჯერმე გაუტეხეს და თუ ვინმე მწერდა მისი სახელით, თვითონ არ ყოფილა.

**- გიორგისთან მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა მქონდაო, ამბობ, რატომ, არ მოგწონდა?**

- რატომაც არა, ძალიან სიმპათიურია, კარგი მსახიობია, ნიჭიერია, შესანიშნავი მეგობარიც იქნებოდა, უბრალოდ, თავი შევიკავე, რადგან მას ცოლი ჰყავდა. მე ოჯახებს არ ვანგრევ! აკაკის შემთხვევა იყო ერთადერთი და ისიც იმიტომ, რომ მათ ერთმანეთი არ უყვარდათ, უბრალოდ, ერთჭერქვეშ ცხოვრობდნენ. სხვა შემთხვევაში არ ვიცოდი მამაკაცი ცოლიანი თუ იყო. ერთმა, როცა „კალიცო“ დავუნახე ხელზე, მაშინ აღიარა, რომ ცოლი ჰყავდა და იქ დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. როგორც ჩანს, „კალიცოს“ მოხსნა დაავიწყდა მორიგ შეხვედრაზე... დღეს, ამ ჭორის გავრცელების შემდეგ, ვიღაც ქალბატონები მიკავშირდებიან და მემუქრებიან, რომ გიორგიზე რამეს თუ ვიტყვი, ამაორთქლებენ.

**- სექსში ფული აგიღია?**

- არა. ფულის ან ნივთის გამო არავისთან ვწოლილვარ. მოგატყუებ თუ გეტყვი, რომ ერთი-ორი პარტნიორი მყავდა ან ერთჯერადი სექსი არ მქონია. მაგრამ ამას შეგნებულად არ ვაკეთებდი. მომეწონა ადამიანი, მაგრამ გაცნობის მერე აღარ მომეწონა და რა ვქნა, სირცხვილის გამო ვერ ვიცხოვრებ ადამიანთან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისის „დინამოს“ კაპიტანი ნიკა

მაგდა კლდიაშვილი

**რეგიონალური ტურნეს შემდეგ, გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტი კვლავ დედაქალაქს დაუბრუნდა და კოსტავას ფილიალში თბილისის „დინამოს“ კაპიტანს, ნიკოლოზ ჭანტურიას უმასპინძლა, რომელიც გასულ წლებში საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებსაც კაპიტნობდა.**

აქციამ რეგიონებში საკმაოდ სასიამოვნოდ ჩაიარა. იმის გათვალისწინებით, რომ ერთობლივ წამოწყებას ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიც შეუერთდნენ და საკუთარი გულშემატკივარი გუნდის აქსესუარებით თუ მაისურებით გაანებივრეს. უნდა აღინიშნოს ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელობის განსაკუთრებული საჩუქარი, უსაჩუქროდ, არავინ დარჩენილა და ყველა ბათუმელმა, ვინც იმ მომენტში ტოტალიზატორის ბათუმის ფილიალში იმყოფებოდა, ბათუმის „დინამოს“ შარფი მიიღო პრიზად.

ბათუმელებს არც ქუთაისელები ჩამორჩნენ და მათ მაისური გაათამაშეს. სასიხარულოა, რომ ქართული კლუბები და ფეხბურთელები ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას და მზად არიან, სიამოვნებით მიიღონ მასში მონაწილეობა, შეხვდნენ გულშემატკივარს და მათთან დაამყარონ ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელიც მსოფლიოშია მიღებული.

მას შემდეგ, რაც აქცია დაიწყო, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი პირველად იყო აქციის სტუმარი. როგორც იცით, „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ გასული წლის ზაფხულში, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას დაიწყო და ჩემპიონთა ლიგის დასრულებამდე გასტანს.

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე და ნიკა ჭანტურია - ეს იმ სტუმრების ჩამონათვალია, რომლებმაც პროექტის განმავლობაში ქართველი გულშემატკივარი გაიცნო.

„ევროპაბეთი“ თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი სპონსორი და პარტნიორია, ამიტომ „დინამოს“ კაპიტანმა, რომელსაც ახლა უმძიმესი ტრავმა აქვს და წინ ძალიან რთული ოპერაცია ელის, შემოთავაზება სიამოვნებით მიიღო და უარი არც კლუბიდან უთქვამთ.

ახალგაზრდა ფეხბურთელს სიარულიც უჭირს, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ესტუმრა „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალს. შეხვედრა საკმაოდ გულთბილი გამოდგა. იმ თაობის ადამიანებისთვის, რომლებიც არც თუ ცოტა სტუმრობენ კოსტავას ფილიალს, თბილისის „დინამოს“ ქომაგები ბევრნი არიან, ამიტომ ახალგაზრდა კაპიტანს ყველა სითბოთი შეხვდა. თავად ნიკა ჭანტურიაც გამორჩეული ფეხბურთელია, მოწოდებით კაპიტანი, ამიტომ, შემთხვევითობა არ იყო, რომ 17 და 19-წლამდელთა ასაკობრივ ნაკრებებში სწორედ მას ანდეს კაპიტნის სამკლაური.

ნიკა ჭანტურია გახდა ესპანელი ჩისკო მუნიოსის რჩეული, რომელიც „დინამოს“ კაპიტნობდა საქართველოდან წასვლამდე. ჭანტურია „დინამოში“ ახალი გადასული იყო, პატარა ფეხბურთელი, გამოცდილ მუნიოსს არ გამოჰპარვია თვალთახედვიდან და კლუბის ხელმძღვანელობას თავისი სურვილიც გააცნო, რომ სამკლაური მას გადასცემოდა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდა კაპიტანმა უმძიმესი ტრავმა მიიღო. მან მუხლის მყესები გაიწყვიტა და მოედანს მინიმუმ ექვსი თვით დაემშვიდობა. ფეხბურთელი 31 მარტს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მიემგზავრება, სადაც ეს ურთულესი ოპერაცია უნდა გაიკეთოს. თავად ნიკა ჭანტურია, იმედიანად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ მეშვიდე თვეს უკვე მინდორზე დაბრუნებას შეძლებს. რეაბილიტაციის პროცესი კი მართლაც რთული იქნება. სწორედაც, რომ ახლა სჭირდება მას გულშემატკივრის მხარდაჭერა.

**ნიკა ჭანტურია:**

- რაც შეეხება ტრავმას, უკვე დაზუსტდა, რომ პირველ აპრილს გავიკეთებ ოპერაციას გერმანიაში, კერძოდ, შტუტგარტში. შემდგომი რეაბილიტაციის კურსი იქნება საკმაოდ ხანგრძლივი და რეაბილიტაციაზეა დამოკიდებული, რამდენად მალე დავუბრუნდები მოედანს. როგორც ექიმები წინასწარი პროგნოზით აცხადებენ, მინიმუმ ექვსი თვე დამჭირდება მოედანზე გასასვლელად.

ძალიან რთულია ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ფსიქოლოგიურად ასეთი ტრავმის შემდეგ ყველაფერს გაუძლო და არ გატყდე. როგორც ნიკა ამბობს, მომხდარით ბედნიერი ვერაფრით იქნება, მაგრამ ფაქტი უკვე მომხდარია და ცდილობს, რომ მომავალს იმედის თვალით უყუროს.

**ნიკა ჭანტურია:**

- ფსიქოლოგიურ განწყობას რაც შეეხება, ამ ფაქტით ბედნიერი ვერ ვიქნები, მაგრამ უკვე მოხდა, წარსულია. უნდა ვეცადო, რომ რეაბილიტაცია სწრაფად გავიარო და მოედანს, რაც შეიძლება მალე, უკეთეს ფორმაში დავუბრუნდე.

„დინამოს“ კაპიტანი კლუბის ხელმძღვანელობას და მწვრთნელთა შტაბს გვერდში დგომისთვის ემადლიერება. უნდა აღინიშნოს, რომ თავად „შტუტგარტის“, რომელიც გერმანიის პირველ ბუნდესლიგაში გამოდის, ექიმი გაუკეთებს ოპერაციას ნიკას და მისი მეთვალყურეობის ქვეშ გაივლის ორკვირიან სარეაბილიტაციო პროცესს ფეხბურთელი შტუტგარტში. ამ ყველაფრის ხარჯს თბილისის „დინამო“ დაფარავს.

„ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო „დინამოს“ ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, რომლებმაც უდიდესი მხარდაჭერა გამომიცხადეს ამ მდგომარეობაში. მთელი გუნდი და გულშემატკივარი, რომელთაც ვიცნობ, მხარში მიდგას და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს ფსიქოლოგიური სტრესი შემიმსუბუქონ“.

რაც შეეხება თავად აქციას, „ევროპაბეთმა“ ტრადიციულად სტუმარი ფეხბურთელისთვის, სიმბოლური ბილეთი დაამზადა, სადაც ნიკა ჭანტურიამ საკუთა-




europe-bet.com







**„ფსიქოლოგიურ განწყობას რაც შეეხება, ამ ფაქტით ბედნიერი ვერ ვიქნები, მაგრამ უკვე მოხდა, წარსულია. უნდა ვეცადო, რომ რეაბილიტაცია სწრაფად გავიარო და მოედანს, რაც შეიძლება მალე, უკეთეს ფორმაში დავუბრუნდე“**









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჭანტურია სტუმრად „ევროპაბეთში“




## „ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგას წელს მიუნხენის „ბაიერნი“ მოიგებს და ჩემი ფავორიტიც სწორედ ეს გუნდია“

## „ვფიქრობ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი აქციაა ფეხბურთის განვითარებისთვის. მოვედი დღეს, გავეცანი გულშემატკივრებს, ავტოგრაფები დავარიგე“

# EXCLUSIVE

**„ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო „დინამოს“ ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, რომლებმაც უდიდესი მხარდაჭერა გამომიცხადეს ამ მდგომარეობაში. მთელი გუნდი და გულშემატკივარი, რომელთაც ვიცნობ, მხარში მიდგას და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს ფსიქოლოგიური სტრესი შემიმსუბუქონ“**

რი ფავორიტი დაასახელა ჩემპიონთა ლიგაზე. ეს გუნდი მიუნხენის „ბაიერნია“, რომლის გაჩემპიონებაშიც ფეხბურთელს ეჭვი არ ეპარება.

**ნიკა ჭანტურია:**

- ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგას წელს მიუნხენის „ბაიერნი“ მოიგებს და ჩემი ფავორიტიც სწორედ ეს გუნდია.

მიუნხენელებს გაუმართლათ წილისყრაში. მეოთხედფინალში ისინი პორტუგალიურ „პორტუს“ დაუპირისპირდებიან. წყვილში უდავო ფავორიტი გერმანული გუნდია, ამიტომ დიდი შანსია, რომ მიუნხენელები ნახევარფინალში ვიხილოთ, აი, იქ ვინ შეხვდებათ, ამის შემდეგ გავიგებთ, ითამაშებს თუ არა ნიკა ჭანტურიას ფავორიტი გუნდი ფინალში.




**აქამდე ჩატარებულ აქციებში კი ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი;

ლონდონის „ჩელსი“ – გივი კვარაცხელია; რაც შეეხება „ჩელსის“, ლონდონელებმა სწორედ წინა კვირას დაასრულეს ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლა.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებაზე ნიკა ჭანტურია დადებითი აზრისაა და სხვა ორგანიზაციებსაც მოუწოდებს, რომ მაგალითად აიღონ და ტრადიციად დაინერგოს საქართველოში მსგავსი სახის აქციები.

**ნიკა ჭანტურია:**

- პირველ რიგში, მინდა, მადლობა მოვახსენო „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“ ამ აქციისთვის. ვფიქრობ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი აქციაა ფეხბურთის განვითარებისთვის. მოვედი დღეს, გავეცანი გულშემატკივრებს, ავტოგრაფები დავარიგე. ეს ერთ-ერთი ხერხია ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის და კარგი იქნება, თუ ამას სხვა ორგანიზაციებიც მიბაძავენ და ტრადიციული გახდება.

შეხვედრა „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში დასრულებულია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ახალგაზრდა ფეხბურთელს წარმატებული ოპერაცია ვუსურვოთ და მოედანზე მალე დაბრუნდეს. შემდეგი შეხვედრა კი ტოტალიზატორის სამგორის ფილიალში შედგება, სადაც გულშემატკივარი ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელებს, დათა სიჭინავასა და გიორგი ჭანკოტაძეს შეხვდება.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წლის პროდუქტიულმა მსახიობმა,



## „იმუნიტეტი მაქვს. გული არ მტკივა. ნინო ერთადერთია, ვინც გულამდე მოვიდა, დანარჩენებს ტვინის იქით არ ვუშვებდი“



**my View**

**ნინო მჭედლიშვილი**

**თეატრალურ ინსტიტუტში შემთხვევით მოხვდა, მეგობარს გაჰყვა კონსულტაციაზე. რამდენიმე სპექტაკლი „რუსთაველის თეატრში“ ითამაშა. ახლა „ახმეტელის თეატრის“ მსახიობია. ფაქტობრივად თეატრში ცხოვრობს. თვლის, რომ მის პროფესიას ცუდი მხოლოდ იმედგაცრუება აქვს, რაც ჯერ არ ჰქონია. გიგი მიგრიაული 27 წლის ასაკში წლის პროდუქტიულ მსახიობად დაასახელეს. ცოტა ხნის წინ პრემიერა ითამაშა ბრაზილიელი რეჟისორის, როდრიგო ფიშერის სპექტაკლში „2+2=2“. ეჭვიანი, წვერიანი ცოლის როლი მოირგო. თავად არ უნდა ასეთი ცოლი ჰყავდეს. გულისსწორი უკვე იპოვნა. თუმცა მანამდე არაერთი სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდა. გიგი დღეს ჩემი რესპონდენტია და როგორც თავად ამბობს, გულწრფელია.**

- მთელი ბავშვობა ვცდილობდი დამოუკიდებელი ვყოფილიყავი. სკოლის მერე „პიონერთა სასახლეში“ მივდიოდი და მთელ დღეს იქ ვატარებდი. ყველაფრის წრეზე დავდიოდი, რაც კი არსებობდა. დოლზე დაკვრასაც კი ვსწავლობდი. მახსოვს, ერთხელ, ტაქსის ფული არ მქონდა, მეტროთი დამეზარა წასვლა. 2 ლარი უნოდა თავისუფლების მეტროდან ჩემს სახლამდე ჩამოსვლას. ერთი ლარი მივეცი მძღოლს. დანარჩენს ადგილზე დამახვედრებენო, მკითხა. დანარჩენისას დოლზე დაგიკრავ-მეთქი, ვუთხარი. წამიყვანა. მერე ისე „გაბაზრდა“ ეს ამბავი, ვიღაცამ მე მომიყვა. ცეკვაზეც დავდიოდი. ისეთი პატარა ვიყავი, პირველად უნგრეთში რომ წავედი გასტროლზე, ღამე მასწავლებელი მაღვიძებდა, ფისი ხომ არ გინდაო. ძალიან ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი ცეკვიდან. სკოლის გაცდენა ხშირად მიწევდა, მასწავლებლებისთვის საჩუქრები ჩამომქონდა გასტროლებიდან.

**- რატომ, ნიშნები რომ დაეწერათ?**

- არა, რომ ვაცდენდი იმიტომ. კარგად ვსწავლობდი, ისე კარგად, რომ ერთხელ, მათემატიკის მასწავლებელმა წიგნი წამართვა და სხვას მისცა, შენ მაინც წინ ხარ და ამას არ აქვსო.

**- ცეკვას რატომ დაანებე თავი?**

- „პიონერთა სასახლიდან“ „ერისიონში“ გადავედი. ეს ანსამბლი ზუსტად თეატრალურის წინ იყო. ერთხელ ჩემს ძველ კლასელს და მეგობარს, ვანო დუგლაძეს გავყევი თეატრალურში. კონსულტაციაზე მიდიოდა, მამამისი მსახობია. თეატრალურში კარგი გოგოები სწავლობენო, ამბობდნენ და მაგიტომ გავყევი. მაშინ აბიტურიანტი ვიყავი, პირველი მეღვინეობა მეწერა, მეორე მიწათმოქმედება.

**- რატომ?**

- არ ვიცი, არ ვიცოდი რა პროფესია ამერჩია, შეიძლება ითქვას, რომ ვღადაობდი. ამ ღადაობა-ღადაობაში მსახიობი გავხდი. უფასოზე მოვხვდი. თავიდან, დედაჩემს რომ ვუთხარი, სამსახიობოზე ვაბარებ-მეთქი, ძალიან ბევრი იცინა. ნათესაობაშიც არავინ მყავს მსახიობი. ბოლო წამამდე არ სჯეროდათ, რომ ჩავაბარე, თან უფასოზე.

**- მეღვინეობა მეწერაო, მითხარი, ღვინოსთან მეგობრობ?**

- კი, ახლო ურთიერთობა გვაქვს (იცინის).

**- ყველაზე დიდი სისულელე, რაც სიმთვრალეში გაგიკეთებია, სიფხიზლეში თუნდაც...**

- ცოლის მოყვანა გადავწყვიტე. ძველ შეყვარებულთან ნაჩხუბარი ვიყავი. მსახიობი იყო ისიც. ბათუმში გასტროლი ჰქონდა. იქ ჩავედი, სცენაზე ავედი ბეჭდით და ხელი ვთხოვე მაყურებლის თანდასწრებით. იყო ფოიერვერკები, ტირილები.

**- უარი გითხრა?**

- არა, დამთანხმდა, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ იმ დღესაც ბათუმში დარჩა. მეორე დღესაც სპექტაკლი ჰქონდა. მერე აღმოვაჩინეთ, რომ არ გვიყვარდა ერთმანეთი. მაშინ მეგონა, რომ ეს ჩვენს ურთიერთობას სჭირდებოდა.

**- ახლა სად არის?**

- არ ვიცი. იმ შემთხვევიდან ერთ კვირაში დავშორდით ერთმანეთს.

**- გიგი, წლის პროდუქტიულ მსახიობად დაგასახელეს. რა შეცვალა ამან?**

- არაფერი. ძალიან გამიხარდა და იმ საღამოს მეტროთი წავედი სახლში. ეს შედეგები კულტურის სამინისტროს და ისეთ ორგანიზაციებს უფრო უნდა აინტერესებდეთ, რომლებიც ჩვენი და ზოგადად თეატრების ბედს წყვეტენ.

**- თავში ავარდნის მომენტი იყო?**

- არა, არ ვარ ეგ ტიპი, ერთადერთი შეიძლება ტელეფონზე უცხო ზარს არ ვუპასუხო (იცინის). ვიღაცები იაფფასიანი და უხარისხო რეკლამებისთვის რომ მირეკავენ, უარს ვერ ვეუბნები, მერიდება და ამიტომ არ ვპასუხობ.

**- კიდევ რისი გერიდება, რისი კომპლექსი გაქვს?**

- ჩემი ხმის გაგონების მეშინია. რადიოში უნდა დამეწყო მუშაობა და ამ კომპლექსის გამო უარი ვთქვი.

**- ცეკვავ, დოლზეც უკრავ. არ მღერი?**

- ჩემი ჯგუფელი იყო გიგი დედალამაზიშვილი. „მგზავრების“ შექმნაში მეც მიმიძღვის წვლილი. მეც ვიყავი თავიდან ამ ჯგუფში, მედოლის სტატუსით. გიგიმ მითხრა ერთხელ, კიდევ კარგი სმენა არ გაქვს, თორემ არ მოგერიდებოდა, უტიფრად ჩაწერდი სოლო ალბომსო.

**- იმ შეყვარებულის მერე, კიდევ იქნებოდნენ სხვა შეყვარებულები შენს ცხოვრებაში.**

- იყვნენ, ბევრი იყო. მაგრამ ძირითადად შეყვარებული იმიტომ მყავდა, რომ საღამოს ვინმესთვის მესიჯი მიმეწერა. მსახიობის ცოლობა ცალკე პროფესიაა. ვეძებე, ვეძებე და ყველაზე კარგი ვიპოვე. სამი წელია ერთად ვართ. ეს ყველაზე დიდი დროა, რაც მყვარებია. ნინო წიკლაური ეკონომისტია. მეგობრობით დაიწყო ყველაფერი.

**- როგორი არ უნდა იყოს შენი მეორე ნახევარი?**

- ეჭვიანი.

## „ჩემი ჯგუფელი იყო გიგი დედალამაზიშვილი. „მგზავრების“ შექმნაში მეც მიმიძღვის წვლილი. მეც ვიყავი თავიდან ამ ჯგუფში მედოლის სტატუსით“





## „შეყვარებული იმიტომ მყავდა, რომ საღამოს ვინმესთვის მესიჯი მიმეწერა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიგი მიგრიაულმა ცოლი მოიყვანა



EXCLUSIVE

**„ცოლის მოყვანა გადავწყვიტე. ძველ შეყვარებულთან ნაჩხუბარი ვიყავი. მსახიობი იყო ისიც. ბათუმში გასტროლი ჰქონდა. იქ ჩავედი, სცენაზე ავედი ბექდით და ხელი ვთხოვე მაყურებლის თანდასწრებით. იყო ფოიერვერკები, ტირილები“**

**- თავად მშვენივრად ირგებ ეჭვიანი ქალის როლს.**

- ზუსტად მაგიტომ, კარგად მაქვს გააზრებული, რა საშინელებაა ეჭვიანი ცოლი, ქალი, შეყვარებული. სცენა ხომ ამისთვისაა, რომ ჩვენი ნაკლოვანებები დაგვანახოს. პრინციპში, საბაბი არ უნდა მისცე ადამიანს, რომ იეჭვიანოს.

**- მიგიცია?**

- კი და ბევრჯერ მიტკენია გული.

**- შენთვის თუ უტკენიათ?**

- მე იმუნიტეტი მაქვს. გული არ მტკივა. ნინო ერთადერთია, ვინც გულამდე მოვიდა, დანარჩენებს ტვინის იქით არ ვუშვებდი. ახლა თუ მომეცა საბაბი, იმუნიტეტი აღარ იმუშავებს. ცოტა ხნის წინ ფილმში ვათამაშე ნინო და ახლა მთელი მისი სამსახური ელოდება ამ ფილმის გამოსვლას. კომედიაა, - „კრიმინალები“. რეჟისორია ბაჩო გოქაძე. მე ვარ ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ყველაფერი კიდია დედამიწის ზურგზე, გარდა გოგოებისა და ფულის ხარჯვისა. გიორგი გურგულიაც თამაშობს ამ ფილმში ერთ-ერთ ბოროტს. ჩემი შეყვარებული გოგოს თამაშობს, რომელიც მთელი ფილმის განმავლობაში საავადმყოფოში წევს, კომაშია. მთავარ როლში ხარ-მეთქი, ვუთხარი და მთელ სამსახურს მოსდო ეს ამბავი (იცინის). თვე-ნახევარში იქნება პრემიერა. იმ დღეს ვნახე ნახევარფაბრიკატი და საშინლად არ მომეწონა საკუთარი თავი. არაფერი არ მომწონს, არც ხმა, არც გარეგნობა, არც თამაშის მანერა. ჩემს თავს ვერ ვუყურებ, არ შემიძლია. საშინლად თვითკრიტიკული ვარ.

**- სხვა თუ გაკრიტიკებს?**

- ამას ვერ ვიტან. ჩემი მყოფნის. სპექტაკლის შემდეგ კულისებში რომ შემოდიან და ძალიან მცოდნე გამომეტყველებით გეუბნებიან, იცი, ეს ბევრი იყო, ის ცოტა მომეჩვენაო, ამის გამო შეიძლება ვიღაცას ხელი დავარტყა. იმას არ ვამბობ, გინდა თუ არა მოიწონოს-მეთქი. თუ მაინც უნდა მოვიდეს, პრემიერა მომილოცოს, ნურც ცუდს იტყვის და ნურც კარგს.

**- მაგრამ შეფასება ხომ ყოველთვის უნდა აინტერესებდეს მსახიობს...**

- მე პირადად, დიდად არ მაინტერესებს. ჩემთვის კომპეტენტურია იმ ხალხის აზრი, ვისაც თეატრთან შეხება არ აქვს. თეატრმცოდნე ჩემთვის მეტრი არ არის. მირჩევნია იმ ადამიანმა შემაფასოს, ვინც დილიდან საღამომდე კომპიუტერთან ზის, ან სამზარეულოში ტრიალებს. ის უფრო გულწრფელია და იმიტომ. მე კულისებში არ შევდივარ არასდროს, არავის სპექტაკლზე.

**„სპექტაკლის შემდეგ კულისებში რომ შემოდიან და ძალიან მცოდნე გამომეტყველებით გეუბნებიან, იცი, ეს ბევრი იყო, ის ცოტა მომეჩვენაო, ამის გამო შეიძლება ვიღაცას ხელი დავარტყა“**

**- ოჯახში როგორ უყურებენ შენს საქმიანობას?**

- დედაჩემს ყველა ჩემი წარმატება უხარია. ბოლო დროს „ფეისბუქი“ დავამულამებინე, და წუხს რამეს ცუდს რომ დავწერ ხოლმე.

**- პროტესტანტული განცხადებებიც გაქვს?**

- უფ, კი, უამრავი. ყველაფერს ვაპროტესტებ, პოლიტიკური სტატუსებიც მაქვს ხოლმე.

**- რა გაწუხებს?**

- ახლა? ხალხის გაჭირვება მაწუხებს. მე არაფერზე არ მაქვს საწუწუნო. ერთ-ერთი უკრაინელი რეჟისორი იყო ჩამოსული. იმან გვითხრა, გარეთ რომ გადიხარ რეპტიციიდან, ყველა ცდილობს დადებითი ენერგია წაგართვასო. მეტროში მივხვდი, რომ მართლა ასეა. ხალხს აკლია ყველაფერი დადებითი, ძალიან უჭირს. პროფესია მაქვს ასეთი, ყველაფერს ვაკვირდები. ამას წინათ, ჩემს მეგობარს მამა გარდაეცვალა. საავადმყოფოში უთხრეს ამის შესახებ. იქ ვიყავი ექიმმა ეს ამბავი რომ გამოიტანა. იცი რაში დავიჭირე ჩემი თავი, რამდენიმე წამი ჩემი მეგობრის რეაქციას ვაკვირდებოდი. ძალიან ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ გულწრფელი ვარ ახლა.

**- გიგი, ნინოსაც სცენაზე უნდა სთხოვო ხელი?**

- არა, მაგ ასაკიდან, ალბათ, გამოვედი. ხელს მოვაწერთ, ოჯახებს გავაცნობთ ერთმანეთს. ე.წ. გადაპატიჟებას გავაკეთებთ ბანტიანი გიტარით (იცინის). გიგისაც წავიყვან დედალამაზიშვილს, თუ თბილისში იქნება, მაგრამ მე არ მამღერებენ. არადა, რა ნიჭი იკარგება. მაინც ჩავწერ სოლო სიმღერას.

**P.S**. გიგიმ მოახერხა და სანამ ჩვენი ინტერვიუ დაიბეჭდებოდა, ცოლი მოიყვანა.

**- გიგი, გილოცავ გაბედნიერებას, კარგია ცოლიანი ბიჭის სტატუსი?**

- კი, მომწონს. სახლი ვიქირავეთ, „ხრუშოვკა“ და გადავბარგდით. სახლში მაქვს ბევრი ლუდი და დიდი სიყვარული. დავაფრთხე გოგოები, შავები აცვია მთელ თბილისს. დღეს მოვდიოდი და დილმის ტრასაზე გოგოები ვნახე ჩამოკიდებული, მიგრიკამ ცოლი მოიყვანაო და ჩამოიხრჩეს თავი.

**- მეშინია კრიმინალის ბრალდებით არ დაგაკავონ.**

- ჰო, აი მაგის მეც მეშინია, შავი სათვალით დავდივარ, არ ვახმაურებ ამ ამბავს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გიორგი ჭანკოტაძე და დათა სიჭინავა - წამოწყე



## „ვიღაცამ სატურნირო მდგომარეობა რომ ნახოს, იფიქრებს, რომ „სიონი“ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, მაგრამ გუნდში ისეთი სიტუაცია გვაქვს და ისეთი ადამიანები ვართ შეკრებილი, რომ არ შევეგუებით გადასარჩენად ბრძოლას. რაც შეიძლება, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ“

europe-bet.com

მაგდა კლდიაშვილი

**რეგიონალური ტურნეს დასრულების შემდეგ „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ დედაქალაქს დაუბრუნდა. კოსტავას ფილიალში სტუმრობის შემდეგ, სადაც თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, ნიკა ჭანტურია იმყოფებოდა, „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალს ვესტუმრეთ, სადაც აქციის სტუმრები, ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელები, გიორგი ჭანკოტაძე და დავით სიჭინავა იყვნენ.**

გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ეს უკვე რიგით 18-ე შეხვედრაა. აქცია გასული წლის ზაფხულში, მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას დაიწყო, სადაც ქართველმა გულშემატკივარმა ქართული ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები გაიცნო, როგორიც ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი და სხვები არიან.

ერთობლივი პროექტის გაგრძელების შემდეგ, გარდა ცნობილი ვარსკვლავებისა, გადავწყვიტეთ, რომ ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ფეხბურთელებიც გაგვეცნო ქართველი ქომაგებისთვის, რათა ამ გზით, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი. აქციამ შესაბამისი გამოძახილიც ჰპოვა - ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მაისურები გადმოგვცა საჩუქრად, რეგიონებში კი ბათუმის „დინამომ“ და ქუთაისის „ტორპედომ“ კლუბის მაისურები და შარფები დააწესა გასათამაშებლად. თავად ფეხბურთელებისგან კი წამოწყებამ დადებითი შეფასება მიიღო - ყველა ერთხმად ამტკიცებს იმას, რომ ეს ქართულ ფეხბურთს დღეს ძალიან სჭირდება, რადგან გულშემატკივართან ურთიერთობის მსოფლიოში მიღებული ფორმაა.

„პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეხვედრები შედგა, როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ქართველ ფეხბურთელებთან.

აქციის დაწყების დღიდან დღემდე გულშემატკივარი შემდეგ ქართველ



ფეხბურთელებს შეხვდა: გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე და დათა სიჭინავა.

გიორგი ჭანკოტაძე და დათა სიჭინავა იყვნენ ოთხშაბათს, ტოტალიზატორის სამგორის ფილიალის სტუმრები.

„ევროპაბეთმა“ ტრადიციულად, მოწვეული სტუმრებისთვის სიმბოლური ბილეთები დაამზადა, სადაც მათ, ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტები დაასახელეს.

26 წლის შემტევი, დათა სიჭინავა, მეორეა, ვინც ტურინის „იუვენტუსს“ გულშემატკივრობს და მისი გაჩემპიონება ივარაუდა. იტალიური გუნდი საკუთარ ფავორიტად ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელმა, ირაკლი კლიმიაშვილმაც დაასახელა. სიჭინავამ ეს თამამი გადაწყვეტილება „დორტმუნდთან“ დაპირისპირებამდე გააკეთა. „ბებერ ქალბატონს“ პირველი მატჩი, საკუთარ მოედანზე 2:1 ჰქონდა მოგებული გერმანული გუნდის წინააღმდეგ, დორტმუნდელები კი 1:0 ანგარიშის შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გადიოდნენ. ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ არა ერთგული გულშემატკივრები, რომ „იუვენტუსი“ შემდეგ ეტაპზე იასპარეზებდა. დათა სიჭინავას ვარაუდი, რომ „იუვენტუსი“ „დორტმუნდს“ გასცდებოდა, გამართლდა. ტურინელები მეოთხედფინალში არიან, სადაც ფრანგულ „მონაკოს“ დაუპირისპირდებიან და წყვილში ფავორიტად ითვლებიან. ასე რომ, სიჭინავას საყვარელ გუნდს შანსები აქვს ნახევარფინალში ითამაშოს, შემდეგ კი, ვინ იცის, რა მოხდება...

**დათა სიჭინავა:**

„იუვენტუსი“, მგონია, რომ „დორტმუნდს“ გასცდება, ამ ეტაპს გადალახავს. ჩემი საყვარელი გუნდია, ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. შეიძლება გრანდებში არ შედის, მაგრამ იყო წლები, როდესაც ერთ-ერთი ძლიერი გუნდი იყო. იმედი და დიდი სურვილი მაქვს, რომ გაიმარჯვოს“.

გიორგი ჭანკოტაძე კი „ბარსელონას“ გულშემატკივარია. კატალონიურ გუნდში მისი საყვარელი სათამაშო სტილის მოთამაშეები ირიცხებიან, ამიტომ ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ მისი ფავორიტი გუნდი ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების გამარჯვებული გახდება.

**„ასეთ აქციებს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ კარგია. პროცენტულად რომ ავიღოთ, ბევრი არ იცნობს საქართველოში ფეხბურთელებს, არ აქვთ ურთიერთობა მოთამაშეებთან. აქამდე არ მქონია ასეთი შემთხვევა და კარგია, უფრო გაიცნობს ხალხი ფეხბურთელებს და პირიქით“**








**დათა სიჭინავა: „ჩემი საყვარელი გუნდია, ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ. შეიძლება გრანდებში არ შედის, მაგრამ იყო წლები, როდესაც ერთ-ერთი ძლიერი გუნდი იყო. იმედი და დიდი სურვილი მაქვს, რომ გაიმარჯვოს“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ბა ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის გზაა




**„ბევრმა შეიძლება ფიქრობს, რომ ბოლნისის „სიონს“ არ აქვს ძალები, მაგრამ, ვფიქრობ, ისეთი თამაშები დაგვრჩა, ყველა მოსაგებია. ყველა მატჩზე ამ განწყობით გავდივართ. ცუდად დავიწყეთ მეორე წრე, მაგრამ ეს ყველაფერი გამოსწორდება და მოგებებსაც დავიწყებთ“**

**გიორგი ჭანკოტაძე:**

- „ბარსელონა“ სტილით ძალიან მომწონს და ამით მომწონს, პირველ რიგში. არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ჯდებიან ჩემს გემოვნებაში, ამიტომ მგონია, რომ „ბარსელონა“ მოიგებს ჩემპიონთა ლიგას.

გიორგი ჭანკოტაძის ფავორიტი გუნდიც მეოთხედფინალშია. კატალონიელებმა ინგლისური „სიტი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს და მეოთხედფინალში ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ ხვდებიან, რომელსაც 4 წამყვანი ფეხბურთელი მოაკლდება პირველ შეხვედრაში, ამიტომ წყვილის ფავორიტი სწორედ ესპანური გრანდია და დიდი შანსი აქვს, რომ ფინალამდეც მიაღწიოს.




აქამდე ჩატარებულ აქციებში ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც აქციის ფარგლებში ფავორიტად გივი კვარაცხელიამ დაასახელა, უკვე გამოეთიშა გათამაშებას. ეს კლუბი ლონდონის „ჩელსი“ იყო.

ფეხბურთელებმა საკუთარი გუნდის გამოსვლაც შეაფასეს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში, სადაც „სიონი“ 15-ე ადგილს იკავებს და ჯერჯერობით აუტსაიდერებშია. ორივე მათგანი ოპტიმისტურადაა განწყობილი და აცხადებს, რომ მათი გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და არა გადასარჩენად.

**დათა სიჭინავა:**

- „სიონს“ რაც შეეხება, სატურნირო მდგომარეობდიან გამომდინარე, ცუდ ადგილზე ვართ, მაგრამ ისეთი თამაშები დაგვრჩა, რომ ქვედა ადგილიდან ამოვალთ. მთავარი მიზანი იქნება დარჩენილი თამაშების დადებითად გადაწყვეტა და ცხრილში წინ წაწევა. ვიღაცამ სატურნირო მდგომარეობა რომ ნახოს, იფიქრებს, რომ „სიონი“ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, მაგრამ გუნდში ისეთი სიტუაცია გვაქვს და ისეთი ადამიანები ვართ შეკრებილი, რომ არ შევეგუებით გადასარჩენად ბრძოლას. რაც შეიძლება, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

**გიორგი ჭანკოტაძე:**

- ბევრმა შეიძლება ფიქრობს, რომ ბოლნისის „სიონს“ არ აქვს ძალები, მაგრამ, ვფიქრობ, ისეთი თამაშები დაგვრჩა, ყველა მოსაგებია. ყველა მატჩზე ამ განწყობით გავდივართ. ცუდად დავიწყეთ მეორე წრე, მაგრამ ეს ყველაფერი გამოსწორდება და მოგებებსაც დავიწყებთ.

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას ფეხბურთელები დადებით შეფასებას აძლევენ და ამბობენ, რომ საქართველოში, ბევრ ფეხბურთელს არ აქვს იმის ფუფუნება, ცნობადი იყოს, ეს კი პოპულარიზაციას ხელს უწყობს.

**დათა სიჭინავა:**

„ასეთ აქციებს რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ კარგია. პროცენტულად რომ ავიღოთ, ბევრი არ იცნობს საქართველოში ფეხბურთელებს, არ აქვთ ურთიერთობა მოთამაშეებთან. აქამდე არ მქონია ასეთი შემთხვევა და კარგია, უფრო გაიცნობს ხალხი ფეხბურთელებს და პირიქით.

**გიორგი ჭანკოტაძე:**

- ეს ყველაფერი ფეხბურთს სჭირდება, მით უმეტეს, ქართულ ფეხბურთს. არ მქონია ასეთი შეხვედრა გულშემატკივართან არასდროს. კარგი იქნება, თუ ხშირად ჩატარდება და მომრავლდება ასეთი აქციები. ძალიან სასიამოვნოა, როგორც ფეხბურთელებისთვის, ვფიქრობ, გულშემატკივრებისთვისაც.

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ მარტში დასრულებულია. ის ქართველ გულშემატკივარს ჩემპიონთა ლიგის განახლებისთანავე დაუბრუნდება. მანამდე კი სანაკრებო პაუზაა. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგი ტურის მატჩების დასრულების შემდეგ, 10-11 აპრილს, აქცია „ევროპაბეთის“ ფილიალებში კვლავ დაუბრუნდება ქომაგს.




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

**აზა ღურწკაია: „მანქანებით ვაჭრობენ და ეზო სავსეა გასაყიდი მანქანებით. როცა მყიდველები მოდიან, პირდაპირ ეზოში დაჰყავთ მანქანები წინ და უკან“**

# „დიდი, ორსართულიანი ავტობუსებითაა სავსე ეზო და ზაფხულში მასწავლებლებს იმის საშუალებაც კი არ აქვთ, რომ ბავშვები გარეთ გაიყვანონ“




ხათუნა მგალობლიშვილი

**ბაგა-ბაღების უმრავლესობა საკვები პროდუქტების უვარგისობის გამო ბევრჯერ მოხვდა ყურადღების ცენტრში. როგორც წესი, მშობლები ძირითადად საკუთარი პატარების საკვებით ინტერესდებიან და მათ შემოწმებას შესაბამის სამსახურებს სთხოვენ. ხშირ შემთხვევაში ბაღების დირექტორები უარს აცხადებენ შემოწმებაზე და არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ მიზნის მისაღწევად. ამ შემთხვევაში კი 31-ე ბაგა-ბაღი აბსოლუტურად განსხვავებული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბაღის შენობაში უკვე წლებია გორიდან დევნილი რამდენიმე ოჯახია შეჭრილი და ოთახების დაცლაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. მათი მოთხოვნა თბილისის ცენტრში იგივე ფართის გადაცემაა. ფართს რაც შეეხება, ის საკმაოდ სოლიდურია, რადგან ბაღში ორსართულიანი შენობის ნახევარი სწორედ მათ აქვთ დასაკუთრებული. რამდენიმე ოთახის გარდა, სადაც თავად ცხოვრობენ, დანარჩენი ოთახები უბრალოდ ჩაკეტილი აქვთ და იქ მასწავლებლებს არ უშვებენ.**

**აზა ღურწკაია, 31-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელის დედა:**

– ბაღში მძიმე მდგომარეობაა. უკვე მრავალი წელია, შენობის ნახევარი დევნილებს აქვთ დაკავებული. ამის გამო ერთ ჯგუფში 80 ბავშვს უწევს ერთად ყოფნა, მაშინ როდესაც სტანდარტულად ეს ფართი, წესით, 20-30 ბავშვზეა განსაზღვრული და რაც ყველაზე მძიმეა, ბავშვებიც და დევნილებიც სწორედ ერთი საპირფარეშოთი სარგებლობენ. ოთახები გატიხრულია თაბაშირ-მუყაოთი, 80-ბავშვიანი ჯგუფი გაყოფილია რუსულ და ქართულ სექტორად. თუ შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, რა მდგომარეობაში უწევთ ბავშვებს ყოფნა. ბავშვები და დევნილები ერთი შესასვლელითა და დერეფნით სარგებლობენ. ფაქტობრივად, ეზოც კი ათვისებულია დევნილების მიერ და ეზოშიც არ აქვთ ბავშვებს გასვლის საშუალება. ასეთი მძიმე მდგომარეობა, დარწმუნებული ვარ, ბევრ რეგიონშიც კი აღარ არის. არაერთხელ მივმართეთ ბაღების სააგენტოს განცხადებით, დევნილთა სამინისტროს თუ სხვადასხვა არასამთავრობოებს. ამას ემატება ისიც, რომ ახალი კანონის თანახმად, 6 წლამდე ბავშვებიც იძულებული იქნებიან, ბაღში დარჩნენ და როცა სექტემბერში ბაღი დამატებით ახალ აღსაზრდელებს მიიღებს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაცია შეიქმნება. ვფიქრობ, საშინლად ირღვევა ბავშვების უფლებები. მშობლებს რომც გვინდოდეს, ბავშვს სხვა ბაღშიც კი ვერ გადავიყვანთ, ბაღებში შექმნილი უადგილობის პრობლემის გამო.

**– რამდენი ოჯახია ბაღში შესახლებული?**

– სულ სამი-ოთხი ოჯახია, მაგრამ მთლიანი შენობის ნახევარი აქვთ დაკავებული, რამდენიმე ოთახში ცხოვრობენ, დანარჩენი კი ჩაკეტილი აქვთ. ამ ოთახებს არ ათავისუფლებენ, რადგან იმედი აქვთ, რომ სახელმწიფოსგან საცხოვრებელ ფართს მიიღებენ.

**– თუ არ ცხოვრობენ, რატომ არ ხსნის ბაღის ხელმძღვანელობა იმ ჩაკეტილ ოთახებს?**

– რამდენჯერმე ჰქონდათ დაკეტილი ოთახების გახსნის მცდელობა, მაგრამ დევნილების მხრიდან საშინელი აგრესია წამოვიდა, სიტუაცია ისე დაიძაბა, ფიზიკურ შეურაცხყოფამდეც კი მივიდა საქმე. გამგის წინააღმდეგ ფიზიკური ანგარიშსწორებით იმუქრებოდნენ. შენობის გარდა, ბაღის კუთვნილი ეზოც დაკავებული აქვთ, ეზოში სამზარეულოა, რომელშიც დევნილებს ღვინის მარანიც კი აქვთ გახსნილი და სათავსოებად იყენებენ. გარდა ამისა, მანქანებით ვაჭრობენ და ეზო სავსეა გასაყიდი მანქანებით. როდესაც მყიდველები მოდიან, პირდაპირ ეზოში დაჰყავთ მანქანები წინ და უკან. დიდი, ორსართულიანი ავტობუსებითაა სავსე ეზო და ზაფხულში მასწავლებლებს იმის საშუალებაც კი არ აქვთ, რომ ბავშვები გარეთ გაიყვანონ. ორი მასწავლებელი ამდენ ბავშვს სათანადო ყურადღებას ვერ მიაქცევს ისეთ ეზოში, სადაც გაუჩერებლად დადიან სამგზავრო და სატვირთო მანქანები.

**– როდესაც ბაღების მართვის სააგენტოს მიმართეთ, რა პასუხი მიიღეთ?**

– არაერთხელ მივმართეთ, მაგრამ პრობლემის მოგვარებისგან რატომღაც თავს იკავებენ. არ ვიცი, რატომ იქცევიან ასე, თუმცა ფაქტია, რომ საკითხის გადაწყვეტით არ არიან დაინტერესებულები. ბაღების მართვის სააგენტო დევნილთა სამინისტროსკენ იშვერს თითს. როგორც დევნილთა სამინისტრო გვეუბნება, არ არის იმდენი საშუალება, რომ ეს ოჯახები დაკმაყოფილდნენ. ყველა იცილებს პასუხისმგებლობას.

**– ადგილზე იყვნენ მოსულები?**

– ბაღების მართვის სააგენტოდან იყო მოსული წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ბაღში მშვენიერი სიტუაციაა და ამისთვის მადლობა გადაუხადა გამგეს და მშობლებს გვითხრა, არაფერი გაქვთ საწუწუნოო. დევნილთა სამინისტროდანაც იყვნენ მოსულები წარმომადგენლები და პირდაპირ გვითხრეს, დევნილების გადაყვანის საშუალება არ გვაქვს და ოდესმე ამას მოვახერხებთო. არავის აინტერესებს, რომ ბავშვები ზარალდებიან, არ ვიცი, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი სიტუაცია.

**– საპირფარეშოც ერთი აქვთ?**

– ეს ყველაზე დიდი პრობლემაა. წარმოიდგინეთ, 80 ბავშვს ისედაც ერთი საპირფარეშო აქვს და ამას დევნილებიც ემატებიან. რა სანიტარიული სისუფთავე და ჰიგიენა შეიძლება იყოს დაცული ასეთ პირობებში?

აზა ღურწკაიას შვილი სწორედ 31-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელია. მშობელი მთელ დღეს ნერვიულობაში ატარებს, რადგან არ არსებობს გარანტია, რომ მისი შვილი ბაღის ეზოში უსაფრთხოდ ითამაშებს. როგორც თავად მშობელი აღნიშნავს, ბაღების მართვის სააგენტო და ლტოლვილთა სამინისტრო მშობლებს ერთმანეთთან ამისამართებს.

„პრაიმტაიმი“ 31-ე ბაღის პრობლემით დაინტერესდა და ბაღების მართვის სააგენტოს დაუკავშირდა.

სააგენტოს ხელმძღვანელის, თემურ თორდინავას განცხადებით, აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა მისთვის გაურკვეველია, როდის შეიძლება დაცალონ დევნილებმა ბავშვების კუთვნილი ოთახები. ეს უკვე დევნილთა და განსახლების სამინისტროზეა დამოკიდებული. სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ისედაც ბევრი დევნილი ჰყავთ საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფი და როდის დადგება 31-ე ბაგა-ბაღში შესახლებულთა ჯერი, არავინ იცის...

**თემურ თორდინავა, ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი:**

– სააგენტოს ახალ ადმინისტრაციას აღნიშნული პრობლემა დაგვხვდა, ეს ჩვენთვის ახალი არ არის, ბუნებრივია, ჩვენს ინტერესში შედის, პრობლემა, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს, რადგან ნაძალადევის რაიონში არსებულ თავისუფალ ადგილებზე დიდი მოთხოვნაა. ჩვენ მივმართეთ დევნილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური წერილით და მათგანაც მივიღეთ ოფიციალური პასუხი, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით დაწყებულია მუშაობა, ბევრი საკითხია მოსაგვარებელი და, შესაბამისად, პრობლემა შესაძლოა, მალე ვერ გადაწყდეს. როგორც კი დევნილებისთვის ფართები იქნება მოძებნილი და განთავისუფლდება ბაღის ტერიტორია, სააგენტო განახორციელებს შესაბამის ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს, ანუ ჩატარდება რემონტი.

**– როდისთვის შეიძლება ეს ფართები გამოთავისუფლდეს?**

– ამაზე კონკრეტულ პასუხს ვერც მე გაგცემთ, ვერც ზუსტ ვადას დაგისახელებთ, რადგან ეს ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. რაც ჩვენს კომპეტენციაშია, აქტიურად ვმუშაობთ.

**– მშობლების განცხადებით, დევნილებს ბაღის ეზოც მთლიანად აქვთ ათვისებული, ორსართულიანი ავტობუსები მოძრაობენ იმ ადგილას, სადაც, წესით, ბავშვები უნდა სეირნობდნენ...**

– გეთანხმებით, ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილია. მეტიც, ამ ბაღს ღობეც კი არ ჰქონდა, მაგრამ სააგენტოს ახალი ადმინისტრაციის პირობებში საკმაოდ მაღალი დონის ღობე აქვს შემოვლებული. ამით იმის თქმა მინდა, რაც ჩვენს კომპეტენციაშია, ყველაფერს ვაკეთებთ. რაც ჩვენს კომპეტენციას სცილდება, ამ შემთხვევაში ჩვენ პრობლემის მოსაგვარებლად მივმართეთ შესაბამის სტრუქტურებს.

**– უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ვინ არის?**

– ვის უსაფრთხოებას გულისხმობთ?

**– ეზოში, სადაც ბავშვები სათამაშოდ გადიან, მშობლების განცხადებით, ორსართულიანი ავტობუსები და მანქანები მოძრაობენ, ეს თავისთავად ქმნის საფრთხის საშიშროებას...**

– კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, ამ ბაღს ღობეც კი არ ჰქონდა და ჩვენ გავუკეთეთ. დანარჩენ პრობლემებზეც მუშაობა დაწყებული გვაქვს.



> **„სულ სამი-ოთხი ოჯახია, მაგრამ მთლიანი შენობის ნახევარი აქვთ დაკავებული, რამდენიმე ოთახში ცხოვრობენ, დანარჩენი კი ჩაკეტილი აქვთ. ამ ოთახებს არ ათავისუფლებენ, რადგან იმედი აქვთ, რომ სახელმწიფოსგან საცხოვრებელ ფართს მიიღებენ“**

> **„80 ბავშვს ისედაც ერთი საპირფარეშო აქვს და ამას დევნილებიც ემატებიან“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნუგზარ რუხაძე - „რაღა დროს სინანულია? ტკბილ ასაკში ვარ. არაფერს ვიკლებ“

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ამ ინტერვიუსთვის შესავლის გაკეთება ყოვლად ზედმეტია. ჩემი რუბრიკისთვის ზედგამოჭრილი რესპონდენტი ავარჩიე და ძალიან მიხარია. როგორ უნდა იარო ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ, ამის მაგალითი ბატონი ნუგზარ რუხაძე ყოფილა. ამ სტატიას აუცილებლად უნდა გაეცნოთ.**



„მამა რომ დაიღუპა, 15 წლის გავხდი. იმხანად დედა არ მუშაობდა. რაღაც უნდა მექნა. ცუდია, რომ ამ ასაკში დედა გეუბნება, კაცი შენ ხარ ახლაო. თამაში და გართობა გინდა და მოვალეობას რომ ცხვირში გტენიან, წელში გტეხენ. ძალიან დავითრგუნე. მეზობლებში მოვძებნე ბავშვები და ინგლისურს ვასწავლიდი“

EXCLUSIVE

„სიყვარულს ბედნიერების პერმანენტული შეგრძნება მოაქვს. მიუხედავდ იმისა, რომ ქორწინებებში ასე გავიფანტე, მე მაინც ერთხელ შეყვარების მწამს. მე შეიძლება უიღბლო აღმოვჩნდი“

### ბავშვობა

**ნუგზარ რუხაძე:**

- ჩემი მშობლები დინების წინააღმდეგ მაშინ წავიდნენ, როდესაც ჩემი ინგლისურში მომზადება გადაწყვიტეს. ინგლისურის სწავლება მაშინ, საბჭოთა რეჟიმში, საეჭვო იყო. რატომ ასწავლი? რა გინდა ბავშვს უყო? მასწავლებელი სახლში მოდიოდა. მეცხრე კლასში ვიყავი მამა რომ დაიღუპა, 43 წლის ასაკში გულმა უღალატა. დედა 39 წლის იყო. მე მამის ორმოცზე გავხდი 15 წლის. იმ ხანად დედა არ მუშაობდა. რაღაც უნდა მექნა. ცუდია, რომ ამ ასაკში დედა გეუბნება, კაცი შენ ხარ ახლაო. თამაში და გართობა გინდა და მოვალეობას რომ ცხვირში გტენიან, წელში გტეხენ. შინაგანად ძალიან დავითრგუნე. სახლში პურის ფულის შოვნის საჭიროება გაჩნდა. მეზობლებში მოვძებნე ბავშვები და ინგლისურს ვასწავლიდი, გაკვეთილში მანეთს ვიღებდი. მეათე კლასში ენა ძალიან კარგად ვიცოდი, თავისუფლად ვლაპარაკობდი. დავიწყე სახლში პურის ფულის მოტანა. ასეთი მომზადებით შევხვდი ცხოვრების წინააღმდეგობას. ჩემი და ლალი მე გამოვზარდე, თავად გასაზრდელი ვიყავი. დღეს ჩემთვის მასთან სტუმრად მისვლა ზეიმია. ქვეყნად მის მომზადებულ საჭმელზე მეტად არაფერი მიყვარს.

ოჯახის მდგომარეობა არც ჩემი სტუდენტობის დროს გამოსწორებულა. საერთო კომუნალურ სახლში ვცხოვრობდით. ჩემი ძმაკაცები რუსთაველზე რომ სეირნობდნენ, მე მოწაფესთან უნდა წავიდე-მეთქი, ვამბობდი. გული მიკვდებოდა, მათთან ერთად გართობა და გოგოებთან ერთად სიარული ისე მინდოდა. ბევრი მოწაფე მყავდა, მეათე კლასში სერიოზული ფულის კეთება რომ დავიწყე, დღემდე, 73 წლის ვხვდები, ასე ვარ. დიდი ფული არასდროს მიკეთებია. ცხოვრებაში არავისთვის ჯიბის ფული არ მითხოვია. იმედი მაქვს, კეთილდღეობის მიღწევის ძალას ღმერთი არ გამომილევს.

### ნეპალი

ინსტიტუტის დასრულების შემდეგ რუსთავის სკოლაში გაუშვეს და ერთდროულად იყო პიონერთ ხელმძღვანელი და ინგლისური ენის მასწავლებელი. მერე კი ნეპალში მოხვდა.

„საბჭოთა კავშირის მთავრობა ცდილობდა პროექტები აეშენებინა ინდოეთში, ავღანეთში, პაკისტანში, ინდონეზიაში. მე ნეპალში თარჯიმნად გამანაწილეს. სიგარეტის ფაბრიკაში მოვხვდი. 22 წლის ვიქნებოდი. საბჭოთა კავშირმა ჩეხებისგან სიგარეტის ფაბრიკა იყიდა და ნეპალს აუშენა. შაქრის ფაბრიკაშიც და გზების მშენებლობაზეც ვმუშაობდი. ნამდვილ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობას იქ შევეჩეხე. ჩვენთან მუშაობდნენ უკრაინელებიც. იქ თარჯიმანი რუსი სერიოჟა დამხვდა, რომელსაც იქით ვამეცადინებდი ინგლისურში. ჩემი კეთილი ნებით, ბონკით ვასწავლიდი ინგლისურს. კატმანდუდან უფროსი ჩამოვიდა და ადგილობრივ ჩემს უფროსს ეკითხება - ნუგზარ რუხაძე როგორ მუშაობსო? კარგია, მაგრამ სერიოჟა ჯობსო. ეს ამბავი რომ მომიტანეს, გავგიჟდი! რა თქმა უნდა, ეს რუსი თარგმნიდა თავის მშობლიურ ენაზე. 22 წლის ბავშვის გული ლამის გასკდა და ამოვარდა. დავჯექი და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, 952 გვერდი, არ დამავიწყება, სამი



თვე ხმამაღლა თავიდან ბოლომდე წავიკითხე. ჩემს თავს გადავახტი, სერიოჟამ გაჯობა და ახლა შენ უნდა აჯობო-მეთქი, თქეშით მოდიოდა დინება და მე მის წინააღმდეგ წავედი. დღეში ორ საათს ვკითხულობდი. მას შემდეგ ვიცი რუსული კარგად. სამი თვის მერე ჩემი, როგორც თარჯიმნის ფასი, იქ არ ყოფილა. თარჯიმნად კატმანდუშიც მიწვევდნენ. მაღალფარდოვანი რუსულით ვსაუბრობდი“.

### გაყიდული „ვოლგა“ და ქორწინება

ნეპალში დაგროვილი თანხით ყვითელი „21“ შეიძინა. თუმცა ცოტა ხნით მოუხდა ახალი მანქანით თავის მოწონება. ბედისწერა ისევ რინგზე იწვევდა 24 წლის ნუგზარს.

„ჩემი ყვითელი ვოლგით ვანათებდი. მაგრამ მალე მომიხდა მისი გაყიდვა. 24 წლისამ ცოლის შერთვა გადავწყვიტე. აი, წინააღმდეგობა იქ უნდა გენახათ. ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო დედაჩემიც და ჩემი ცოლის მშობლებიც. კონკრეტული მიზეზი არ არსებობდა. ან დასაწუნი რა მჭირდა? კომკავშირის ცეკაში ვმუშაობდი, 21 მყავდა, სამსახური მქონდა, ბინა მქონდა. ოჯახი ფეხზე დავდექით. მამის აშენებული სამოთახიანი ბინა მოგვცეს. აცხონა ღმერთმა სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი ალავიძე. რა დამავიწყებს ადამიანის სიკეთეს. მამა ხომ გარდაცვლილი იყო, ბინა მაინც მოგვცა. მოკლედ, გადავედით ცალკე




საცხოვრებლად. ნეპალში ტყე-ღრეში შრომით ნაყიდი 21 გავყიდე. ჩემი გული იმ „ვოლგამ“ წაიღო. კბილის ექიმმა, თავმოტვლეპილმა კაცმა იყიდა. ქალაქში რომ ჩემს ვოლგას ვხედავდი, მიკვირს თავში სისხლი რომ არ ჩამექცა. მაშინ ახალგაზრდას მანქანის გარდა რა უნდა ენატრა? მაგრამ მშობლებისგან ამ წინააღმდეგობებს მაინც შეეწირა ჩვენი ოჯახი. ეს წითელ ზოლად გასდევდა იმ 13 წელს, რაც ერთად ვიცხოვრეთ. თავიდან როგორც დაიწყო, ისე გაგრძელდა. და ქორწინება განქორწინებით დასრულდა. მართალია მე მბრალდება, რომ მე სხვა ქალთან წავედი და ასეც იყო, ქორწინება სხვა ფიგურას გადავაყოლე. მაგრამ ეს ტექნიკურად მოხდა, რომ მე სხვა ქალს გადავაყოლე ოჯახი, შინაარსობრივად და ორგანულად კი იმ ბოლმისა და სიძულვილის ბრალი იყო, რომელმაც იმთავითვე დაისადგურა მშობლების მხრიდან. ის შემდეგი ურთიერთობაც დამენგრა თავზე. ყველაფერი დავკარგე - სახლი, შვილი, ძაღლი. დავრჩი მარტო ქუჩაში. ის ქალი კი არა, საკუთარი თავი შემძულდა. ამ ქალის გამო თუ დაანგრიე ცხოვრება, მასთან ერთად ვერ გაჩერდიო - მეკითხებოდნენ. არაფერი აღარ მინდოდა ქვეყანაზე. საშინელი დეპრესია მქონდა და თავი იპოდრომზე თავლას შევაფარე. ცხენების ტრენერი ზურიკო დუნდუა დღემდე იქ მუშაობს და ამაში დამემოწმება. მან მასწავლა ცხენზე ჯდომა. თავლიდან არ გამოვდიოდი, ვალაგებდი, მარულაშიც ვმონაწილეობდი, ცხენმა დამამტვრია კიდეც. ლისის ტბაზე 14 ცხენი მონაწილეობდა დოღში. ჩემი ცხენი ორმოს დანახვაზე შედრკა. წინ წავვარდი და კისერზე ჩამოვეკიდე. კილომეტრნახევარი მათრია. სულ დაბეგვილი ვიყავი. იფიქრეს, რომ მოვკვდი. არ დაიჯერებთ, ეს დალეწილი, მკერდში ფლოქვებნაცემი აღვირს სიმწრით დავეკიდე, ფეხი უზანგში შევდგი და ბიჭებმა დამდეს ცხენზე. იმ ცხენით ლისის ტბიდან იპოდრომზე ჩემით ჩამოვედი. თავლაში წამივიდა გული“.

### ამერიკა

„საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდა წინადადებით - გავცვალოთ ჟურნალისტებიო. ეს იღბლიანი მე აღმოვჩნდი. მართალია იმ დროს ტელევიზიაში არ ვმუშაობდი, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროდან საზოგადოება მიცნობდა. პროტოკოლის უფროსი და საკონსულო განყოფილების გამგე გახლდით. 12 წელი ვმუშაობდი. ინგლისშიც ამ სამინიტროდან გამიშვეს. მოკლედ, ჩავედი ამერიკაში. მეთერთმეტე არხი NBC-ის ფილიალი ატლანტაში. რეგიონალური „ემი“ მივიღე. ჩემი გიგანტური ბილბორდები იდგა ატლანტაში. ბევრი სიუჟეტი გავაკეთე. საინფორმაციოს ბოლოს გადიოდა ჩემი სიუჟეტი. ამერიკელებს ჩემი თვალით დანახულ ამერიკას ვაჩვენებდი. ერთხელ ოდრი ჰეპბერნი ჩავწერე, ხუთი საათი გავატარე მასთან ერთად. ციხეზე გავაკეთე სევდიანი სიუჟეტი, რომელმაც ამერიკა მოიარა და გენეტის პრიზი მიიღო. ნუდისტურ კემპინგში სრულიად შიშველმა გადავიღე კადრები. ტაქტი არსებობს, არსად არ უნდა შეხედო. თვალი თუ გაგეპარა, უზრდელი და გადამთიელი ხარ. ოპერატორმაც ისე გადაიღო, არც ერთი შეცდომა არ დაუშვია. 15 წუთში წამივიდა სირცხვილის შეგრძნება. ტელევიზიის კონტრაქტი რომ ამოიწურა, მე ვაშინგტონში გადასვლა მომიხდა. ჯეკ ლონდონის ბიოგრაფია გამახსენდა, რამდენიმე სამსახური მოვსინჯე. ებრაელთა კულტურის ცენტრში ინგლისურის მასწავლებლის საჭიერობა აღმოჩნდა. მშვენიერი სამსახური ვიპოვე, გავხდი პოპულარული, ჟურნალ-გაზეთები ჩემზე წერდნენ. კერძო გაკვეთილებსაც ვატარებდი“.

მერე აღმოჩნდა საკომპიუტერო კომპანიაში. ამ საქმით სარდაფში გადაინაცვლა. წვალობდა, მაგრამ კომპანიამ გაიმარჯვა და სარდაფიდან ამოვიდა. ოფისები, კომპიუტერები, შესამოსავალიც წამოვიდა და მარკეტშიც უნდა გასულიყნენ, რომ ბინ ლადენმა ტყუპები დაანგრია. „ბანკებმა კარი გამოგვიკეტეს. ფულით ვერ ვსარგებლობდით, სესხის საშუალებაც არ იყო. პრაქტიკულად გავკოტრდით. მაინც ვაცოხცლეთ კომპანია. ამის მერე საქართველოდან ტელევიზიაში მუშაობის წინადადება მივიღე. 24 საათში შევკარი ბარგი და წამოვედი. ფესვებს და ამ მიწა-წყალს ჩემთვის იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, მიუხედავდ იმისა, რომ დიდი არაფერი ფუნქცია მომანიჭეს ამ ქვეყანაში, მე მაინც გამოკვეთილ წახნაგებიან პიროვნებად ვგრძნობ თავს. 14 წელია ბევრმა ახალგაზრდამ გაიარა ჩემს ხელში, ენას ვასწავლი. შევქმენი ინგლისურენოვანი გაზეთი „Georgian journal“. 700 სტატია დავწერე, ახლა 383-ე სარედაქციო სტატიით გამოდის. ვმუშაობ თბილისის ბაირონის სკოლაში“.

### სიყვარული

დიდ ფულში თუ არა, აი, სუსტი სქესი იყო თემა, რაშიც ბატონ ნუზგარს უმართლებდა. ნახევარდ ხუმრობით ამბობს, მექალთანე არ ვარ, უბრალოდ, ასე ხდებოდა, ხის წვერზეც რომ ავსულიყავი იქაც ქალი მხვდებოდაო. ახლა ცოლად რუსი ქალბატონი ჰყავს - ნინა ვაიეკევა. ნინა მხატვარია.

**- სიყვარული რა არის?**

- სიყვარულს ბედნიერების პერმანენტული შეგრძნება მოაქვს. მიუხედავდ იმისა, რომ ქორწინებებში ასე გავიფანტე, მე მაინც ერთხელ შეყვარების მწამს. სიყვარული ისეთი ბრილიანტია ბევრჯერ არ შეიძლება გეწვიოს. ერთხელ შეყვარების მჯერა. ეს არის ნამდვილი და ბოლომდე. მე შეიძლება უიღბლო აღმოვჩნდი. ჩემი ცხოვრება ერთადერთ სიყვარულს ვერ ავაყოლე. არ გამომივიდა. მე მშურს იმ ხალხის, ვისაც ეს გამოუვიდა. პირადი ცხოვრება გაფანტულ-ეკლექტიკური გამომივიდა.

**- ნანობთ?**

- რაღა დროს სინანულია? არაფერს არ ვნანობ. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ამ ასაკამდე მოვედი. საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრე. ახლა ტკბილ ასაკში ვარ. არაფერს ვიკლებ. შეგნებულად ვცხოვრობ. მინდა მეტი სიკეთის მოტანა. მინდა ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობა მივიღო, მაგრამ არ გამოდის. მინდოდა ტელეეთერში მქონოდა ანალიტიკური გადაცემა, სადაც მთელ ჩემს გამოცდილებას დავდებდი. იმედი არ ამომიწურია. შემიძლია ამ ქვეყნის მომავალზე კეთილი გავლენა მოვახდინო.





„მეათე კლასში ფულის კეთება რომ დავიწყე, დღემდე, 73 წლის ვხვდები, ასე ვარ. დიდი ფული არასდროს მიკეთებია. ცხოვრებაში არავისთვის ჯიბის ფული არ მითხოვია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟიურის წევრების დაპირისპირ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**6 აპრილს „X ფაქტორი" იწყება. ოთხ ორშაბათს თქვენ მეგაშოუს დიდი კასტინგის ჩანაწერს იხილავთ. ლაივ კონცერტები კი მაისში იწყება. მერე იქნება შოუს დრამატული, ოთხი სკამის ნაწილი, რომელიც შარშან რეიტინგულ ნაწილად წარმოჩინდა. როგორც პროდიუსერები ამბობენ, შოუს ამ ნაწილში მიხვდნენ, რომ „X ფაქტორი" შედგა. „მანდ ჩაერთო დიდი აუდიტორია და თქვეს, ახლა მივხვდით რა არის „X ფაქტორიო".**

შოუს შემქმნელები გვპირდებიან, რომ მეორე სეზონი პირველზე ხანგრძლივიც იქნება. კატეგორიებს ვიხილავთ ცვლილებებით - კატეგორია 25 წელს ზევით, ჩაანაცვლა კატეგორიამ 16 წელს ქვევით. ჯგუფებს დაემატა მუსიკალური ბენდები. მოკლედ, ყველა მინუსი გათვალისწინებულია. ეს ფროდაქშენი მიღწეულით არასდროს კმაყოფილდება. ჩანაწერებმა საკმაოდ მაღალი მუხტით ჩაიარა. ძალიანაც რომ მოგენდომებინათ, ვერ მოიწყენდით. სახალისო ნომერს ნიჭიერი კონკურსანტი ღირსეულად ცვლიდა. აქეთ ჟიურის წევრების პაექრობა ისე გაგართობთ, რომ არც ერთი ორშაბათის გამოტოვების სურვილი არ გექნებათ.

**გიორგი ხაბურზანია:** ბევრი ნიჭიერი ადამიანიც ვნახეთ და ბევრი სასაცილო მომენტიც. ამ ფორმატში კონტრასტის მომენტი დევს, სასაცილო ნომერი აუცილებლად უნდა იყოს შოუში, რომ ძალიან ცუდსა და ძალიან კარგს შორის კონტრასტი დაფიქსირდეს.

**- ბავშვების კატეგორიის დამატებამ გაამართლა?**

- ამ კატეგორიის დამატება ჭკვიანური იდეა იყო. ის ნიკა გვარამიას ეკუთვნის. წინა სეზონზე 25 წლის ზევით კატეგორიას სახარბიელო რეზულტატი არ მოჰყოლია. ვიფიქრეთ, რომ ამ კატეგორიაში წელსაც გაგვიჭირდებოდა. ამიტომ შევცვალეთ ის. მაყურებელი ახალ ხმებს მოისმენს. აქ არიან ბავშვები, რომელთაც არც ერთ შოუში არ მიუღიათ მონაწილეობა.

გიორგი ხაბურზანიას და დემნა ჯაფარიძის მუსიკალურ შოუებში მსოფლიო დონის ვარსკვლავების ნებისმიერი სახით გამოჩენა უკვე ტრადიციად იქცა. ამ მხრივ მოლოდინიც სულ არის.

„ჩვენ კარგად ვთანამშრომლობთ აჩიკო გულედანთან და „ალტერვიჟენთან". კონცერტის ჩასატარებლად თუკი ვინმე ჩამოჰყავთ, ჩვენ შოუებში მოსვლით ყოველთვის გვანებივრებენ. შოუ კარგ დროს ემთხვევა, მთელი ზაფხული ეთერში ვართ. ვინც ჩამოვა, ჩვენს შოუში იხილავს მაყურებელი. ჯერ რამდენიმე ვერსიას განიხილავენ".

**- ჟიურით კმაყოფილი ხართ?**

- აბსოლუტურად. ისეთი მოუთოკავი ენერგია მოდის ჟიურისგან, როგორსაც არ ველოდი. ჩვენც ვერ ვაკონტროლებთ.

**- ხომ არ გადააჭარბეს?**

- ზოგ მომენტში აჭარბებენ და ვთხოვთ, გაჩერდნენ. არის მომენტები სიცილით ვიხოცებით. შეუძლებელია მათი ასეთი დიალოგი დაგეგმო.

**- უნდა დაამონტაჟოთ?**

- რაღაცებს დავტოვებთ, რაღაცების დატოვება ზედმეტია. ლაივ კონცერტზე, ალბათ, მაგრად დაგვერხევა.

**- მართლა აიწყვიტეს ანრიმ და გიორგიმ.**

- აიწყვიტეს. ორივეს მაგარი იუმორი აქვს. ენამოსწრებულები არიან.

**- გოგონებს შორის ქალურ კონკურენციას ამჩნევთ?**

- ალბათ, რაღაც დონეზე არის, მაგრამ ორივე შემდგარი დივაა.

**- სწორედ დივების კონკურენციას ვგულისხმობ.**

- რეალური შეჯიბრი განაწილებული კატეგორიების შემდეგ წამოვა.

**- ცნობილ კონკურსანტებზე რას იტყვით - ალეკო ბერძენიშვილზე, ლიზა ყენიაზე?**

- მოხარულები ვართ ცნობილი სახეების მონაწილეობით. მათ თქვეს, ჩვენი გარკვეული კარიერის მიუხედავად გვილირს ამ პროექტში მონაწილეობაო. არის კონკურსები, სადაც ასეთი კონკურსანტები არ მივლენ. „X ფაქტორი" ერთადერთია, სადაც ცნობილი სახეები მონაწილეობის მისაღებად მოდიან.



## სოფო ნიჟარაძე: „რა ვქნა, ანრი, ჩემს კართან დგახარ და მე უფლება მაქვს ჩემს კართან ისე ვიმოქრაო, როგორც მინდა"

## „ზოგ მომენტში აჭარბებენ და ვთხოვთ, გაჩერდნენ. არის მომენტები სიცილით ვიხოცებით. შეუძლებელია მათი ასეთი დიალოგი დაგეგმო"

სოფო ტოროშელიძე ორ თვეში ბიჭის დედა ხდება. არც რეჟიმი შეუცვლია, არც კვების რაციონი - ცხოვრების ძველი აქტიური სტილით ცხოვრობს. ფილარმონიაში „X ფაქტორის" კასტინგებს სრულად ესწრებოდა. ის არხის მუსიკალური რედაქტორია. მაისის ბოლოს პროექტს ეთიშება, თუმცა ირიბად მაინც იქნება ჩართული.

**სოფო ტოროშელიძე:**

- ორსულობისას განსაკუთრებული მიდგომის მომხრე არ ვარ. ქალის ცხოვრებაში ეს ბუნებრივი მოვლენაა და ხელოვნურად შეფერება - ცუდად ვარ და დასვენება მინდა - ზოგჯერ გამუქებაა. თუმცა არის შემთხვევები ორგანიზმი არ უწყობს ხელს. მე გამიმართლა და თავიდან მშვიდად დამეწყო ორსულობა.

**- გიორგი ხაბურზანიამ ჩვენთან წინა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სოფო წინა სეზონში ჟიურიში რახან იჯდა შოუს დააკლდაო. მაინც რა მხრივ დააკლდი წინა „X ფაქტორს"?**

- აი, ეს მეორე სეზონს დაეტყობა რა დააკლდა სოფო ტოროშელიძისგან წინა სეზონს. ეს მუსიკალური თვალსაზრისით გამოჩნდება. მიხარია, რომ მუსიკალური ბენდები დაემატა კატეგორიებს და კიდევ ბავშვების კატეგორიაა. მაყურებელი დარწმუნდება, როგორი თაობა მოდის. მომწონს ჟიურის ახალი შემადგენლობა. შეცვლილია გიორგი გაბუნიას დამოკიდებულება ჟიურის მეორე მამაკაცის - ანრის მიმართ. კიდევ უფრო მეტი ინტრიგაა და სასაცილოა. გამეორება არ არის. სოფომ თავისი წვლილი შეიტანა.

ვანიკო თარხნიშვილს დრო როგორც კი გამოუჩნდება, მეგაშოუს ჩაწერას ესწრება. ვინც კი ერთხელ მოიწამლება „რუსთავი 2"-ის მუსიკალურ პროექტებზე დასწრებით, მერე იქაურობას ვერ შორდება.

**ვანიკო თარხნიშვილი:**

- რასაც მოვუსმინე, 80 პროცენტი უკვე ჩამოყალიბებული მომღერალია. კარგი თაობა მოდის. ჩვენი „X ფაქტორი" კიდევ უფრო უკეთესი გახდება. ყველა ცვლილება უკეთესობისკენ მიდის და ამართლებს. საინტერესო და საჭიროა ჟიურის წევრებს შორის პაექრობა. ეჭვი მაქვს, ჩვენი მაყურებელი არ მოიწყენს.

ანრი სოციალურ ქსელში აქტიურია. წინა კვირაში მან თავის კედელზე ასეთი რამ დაწერა.

„ზოგიერთი, მარად დამწყები მომღერლის საყურადღებოდ!!!

უხერხულია, როცა ნაცნობობის მანძილზე, ერთი ფოტო და პოსტი არ გაქვთ დალაიქებული და ცხოვრებაშიც სალამს ძლივს გაძრობთ პირიდან და უცებ, „X ფაქტორში" რომ აღმოჩნდით კონკურსანტის ამპლუაში, პირდაპირ მხურვალე და გულითად მოკითხვებზე გადმოხვედით ინბოქსში,

წარმატება, მხოლოდ კარგად სიმღერა არ არის, ეს მთელი პიროვნული თვისებების თაიგულია, რომელიც ბევრთან ჰყავის და თქვენ შემთხვევაში დამჭკნარია".

**- ვისი მისამართით დაწერე ეს პოსტი?**

## სოფო ტოროშელიძე: „მეორე სეზონს დაეტყობა რა დააკლდა სოფო ტოროშელიძისგან წინა სეზონს"







## ანრი: „კარგი ექშენი გაიჩითა მაგიდასთან. მაყურებელი ძალიან გაერთობა"







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ება „X ფაქტორის“ კულისებში

EXCLUSIVE



# ანრი ჯოხაძე: „უცებ როგორ მიმაჩათლახა! რა იყო ახლა ეს? ძივა გაბრაზებულია!“





**ანრი ჯოხაძე:**

- ოჰო ჰო ჰო, დაითრიეს ჩემი პოსტი. რაც ჟიურის წევრი გავხ-ვდი, ჩემს ინბოქსში რომ შემო-იხედოთ რა ხდება, გაოცდებით. ძალიან კომუნიკაბელური ადამ-იანი ვარ, ასე თუ ისე კი მიცნობ. მონაწილეების თითქმის ნახევარი „ფეისბუქზე“ მწერს. მკითხულო-ბენ, მეკონტაქტებიან. ბოლომდე გაკვირვებული ვარ. ახლა რატომ გავხდი მათთვის საინტერესო.

**- ასეთი მნიშვნელოვანია შენთვის ფოტოების და პოსტის დალაიქება?**

- არა, აქ აქცენტი სხვა რამეზე გავაკეთე. ადამიანები წარმატებ-ისთვის ყველაფერს აკეთებენ ცხ-ოვრებაში.

**- ეს კენჭი ვის ბოსტანშიც ისროლე, მიხვდა და გამოგეხმაურა?**

- მე ვთვლი, რომ ამ ადამია-ნებს ბოსტანი არ გააჩნიათ ცხ-ოვრებაში.

**- ანრი საგრძნობლად ხარ წონაში მომატებული.**

- ვცდილობ ცომეული არ ვჭ-ამო. შეიძლება საქართველოში გემრიელი ჭამა არ გიყვარდეს? თან როგორი კალორიული სა-მზარეულო გვაქვს.

**- შენ მოგიხდა არჩევანის გაკეთება „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის მუსიკალურ შოუებს შორის. არჩევანით კმაყოფილი ხარ?**

- მაგარი არჩევანი გავაკე-თე.

**- დაიქოქეთ?**

- კარგი ექშენი გაიჩითა მა-გიდასთან. მაყურებელი ძალი-ან გაერთობა. პლიუს ამას ნი-ჭიერ ახალბედა მომღერლებს მოუსმენენ და ჩვენთან ერთად აღმოაჩენენ. ძალიან გაერთო-ბიან.



**„ჩვენ კარგად ვთანამშრომლობთ აჩიკო გულედანთან და „ალტერვიჟენთან“. კონცერტის ჩასატარებლად თუკი ვინმე ჩამოჰყავთ, ჩვენ შოუებში მოსვლით ყოველთვის გვანებივრებენ. შოუ კარგ დროს ემთხვევა, მთელი ზაფხული ეთერში ვართ. ვინც ჩამოვა, ჩვენ შოუში იხილავს მაყურებელი“**



## „X ფაქტორი“ ერთადერთია, სადაც ცნობილი სახეები მონაწილეობის მისალებად მოდიან“

ამ დროს გიორგი გამოვიდა საგრიმიოროდან.

**ანრი:** მოდი გაბუ, იყავი ღმერ-თებთან.

**გიორგი გაბუნია:** სადღა ვჩ-ანვარ შენ გვერდით. ანრი დიდი ხანია შეჭმით მემუქრება. ჩემი ხარშვა დაწყებული აქვს.

ფოტოს გადაღების დროსაც არ ცხრება ეს დუეტი. წელში გა-მართულ ანრის გიორგიმ შენიშვ-ნა მისცა.

**გიორგი:** ნუ იჯგიმები ბიჭო, ისედაც რამხელა ხარ!

**ანრი:** ხომ უნდა გამოჩნდე, რომ ბულგარული ქათამი ხარ.

**გიორგი:** ბულგარული კი არა, იაპონური.

ანრის რომ ვწერდი საგრიმიო-როდან გამოიხედა სოფო ნიჟარა-ძემ, რომელმაც კარის გასაღები მოითხოვა. ანრი გაჩერდა, მიუბ-რუნდა და ხმამაღლა მოსაუბრე სოფოს შენიშვნა მისცა.



## გიორგი ხაბურზანია: „ისეთი მოუთოკავი ენერგია მოდის ჟიურისგან, როგორსაც არ ველოდი. ლაივ კონცერტზე, ალბათ, მაგრად დაგვერხევა“

**ანრი**: ინტერვიუს ვწერ, სოფო.

**სოფო ნიჟარაძე:** რა ვქნა, ან-რი, ჩემს კართან დგახარ და მე უფლება მაქვს ჩემს კართან ისე ვიმოძრაო, როგორც მინდა.

**ანრი:** უცებ როგორ მიმაჩა-თლახა! რა იყო ახლა ეს? ძივა გა-ბრაზებულია!

კასტინგის ბოლო დღეს შემა-ჯამებელი რეზიუმე გააკეთა გი-ორგი გაბუნიამ.

**გიორგი გაბუნია:** მართლა კა-რგი ნაკადი მოდის. უმეტესად ჟი-ურის წევრების აზრი ერთმანეთს ემთხვევა. კონკრეტულ შემთხვ-ევებში ვკამათობთ კიდეც. იყო სამი „კი“, მე „არას“ ვამბობდი. ასე გამეორდა რამდენიჯერმე.

**- საპირისპიროდ წასვლა გიყვარს.**

- ვფიქრობ, ვიღაცისგან რა-ღაც არ გამოვა და ამიტომ მივდ-ივარ საპირისპიროდ. რახან სამი ამბობს „კის“, ამიტომ არ ვექცევი გავლენის ქვეშ. „ბავშვია, რა საყვარელიას“ გამოც არ ვექცევი გავლენის ქვეშ. ბავშვებიც სრ-ულფასოვანი კონკურსანტები არიან.

**- წელსაც აქტიური ხარ.**

- ჩემი საქმე ეს არის.

თამთა გოდუაძე მაისამდე აღ-არ ჩამოვა საბერძნეთიდან. ლაივ-ებამდე ერთი თვეა.

**- თამთა, პაუზა გამოგივა. მოგენატრება აქაურობა?**

- აბა, რა იქნება? ბევრს ვიმუ-შავებ, იდეებს მოვაგროვებ. დრ-ოის გამოყენება კარგად შეიძლე-ბა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თორნიკე ოქრიაშვილი ირლანდიასთან მატჩამდე კაზინო „აჭარაში“ შენიშნეს



**საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა შემტევი, თორნიკე ოქრიაშვილი, ისეთი სიხშირით ეხვევა სკანდალებში, ინგლისში რომ დაბადებულიყო, ტაბლოიდებისა და პაპარაცების სასურველი პერსონა იქნებოდა.**

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 7 სექტემბერს ირლანდიის ეროვნულ გუნდს ხვდებოდა. როგორც კაზინო „აჭარას“ დაცვის წევრი ყვება, ფეხბურთელი, თამაშამდე სამი დღით ადრე, მათთან არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა და კაზინო გამთენიისას დატოვა.

რაც შეეხება თავად ამ შეხვედრას, კაზინოსი რა გითხრათ, ოქრიაშვილმა ირლანდიის კარში შესანიშნავი გოლი გაიტანა, ისეთი, მსოფლიოს ნებისმიერი ვარსკვლავი რომ ხელს მოაწერდა და ანგარიში საყაიმო გახადა, თუმცა ის მატჩი ქართველმა ფეხბურთელებმა მაინც წააგეს.

„პრაიმტაიმი“ ინფორმაციის გადასამოწმებლად თორნიკე ოქრიაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ დაიფიცა - კაზინოში ცხოვრებაში ერთხელაც კი არ ვყოფილვარ და არასოდეს მითამაშიაო.

„კაზინო „აჭარასთან“ სასტუმროა და იქ დავდივარ ხშირად და, ალბათ, იქ დამინახეს და თქვეს, რომ კაზინოში ვიყავი. ცხოვრებაში ერთხელაც კი არ ვყოფილვარ ასეთ დაწესებულებაში და არასდროს მითამაშია“, - აცხადებს ფეხბურთელი.

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ამ ჭორებმა და სკანდალებმა თორნიკე ოქრიაშვილზე ცუდად არ იმოქმედა - ამბობენ, ფეხბურთელი ყოველდღიურად თავგადაკლული ვარჯიშობს. ვარჯიშების შემდეგ რჩება ბაზაზე და დამატებით იტვირთავს თავსო.

# ელგუჯა გრიგალაშვილი ვარჯიშზე ნასვამი მივიდა



**ელგუჯა გრიგალაშვილი თბილისის „დინამოში“ აღარ ირიცხება, მის გუნდიდან წასვლას წინ მცირე ინციდენტები უძღოდა. როგორც ცნობილი გახდა, ფეხბურთელი ვარჯიშზე, ჯერ კიდევ დუშან უჰრინის დროს შეზარხოშებული მივიდა, რის გამოც ჩეხმა სპეციალისტმა ის მეორე გუნდში გადაიყვანა და დააჯარიმა.**

მალევე, გუნდში მალხაზ ჟვანია დაინიშნა, რომელიც გრიგალაშვილის მწვრთნელი გახლდათ მარტვილის „მერანში“. ჟვანიამ გრიგალაშვილი პირველ გუნდში დააბრუნა, თუმცა „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხის შემდეგ, გრიგალაშვილსა და „დინამოს“ მფლობელს, რომან ფიფიას შორის, გავრცელებული ხმებით, გასახდელში სიტყვიერ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ამის შემდეგ, ელგუჯა გრიგალაშვილი „დინამოში“ დიდხანს აღარ დარჩენილა. ის ამ მომენტისთვის, კარიერას კვიპროსში განაგრძობს.

# თბილისის „დინამოს“ გია გრიგალავას დამატება სურს



**საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველისა და მახაჩკალის ანჟის ყოფილი ფეხბურთელის, გია გრიგალავას დამატება სურს თბილისის „დინამოს“. ამის შესახებ, „პრაიმტაიმმა“ ერთ-ერთი საფეხბურთო აგენტისგან შეიტყო.**

გრიგალავა დაღესტნურ გუნდს სკანდალურად დაშორდა. როგორც კლუბი იუწყებოდა, ქართველი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა, ქართველი კი ამტკიცებდა, რომ კლუბმა მას ეს ყველაფერი მოუწყო.

# თბილისის „დინამოსა“ პრესსამსახურის უფროსი დაითხოვეს



**თბილისის „დინამომ“ პრესსამსახურის უფროსი, გიგა გვენცაძე დაითხოვა. გვენცაძე წლებია ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდში მუშაობს, ამიტომ საკვირველია, რა მოხდა, გუნდმა მისი გაშვების გადაწყვეტილება რომ მიიღო.**

გუნდიდან გაუშვეს კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც სტატისტიკას აწარმოებდა და 21 წელზე მეტია ამ კლუბში მუშაობს. როგორც „დინამოს“ ყოფილ თანამშრომლებს განემარტათ, გუნდს ფული აღარ აქვს და სწორედ ეს გახდა მათი კლუბიდან გაშვების მიზეზი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ნისიაზე“ ჩატარებული შეხვედრა

მაგდა კლდიაშვილი

**საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ ფინანსური პრობლემები აქვს. ამის შესახებ ზამთარში, კლუბის მეპატრონემ ილია კოკაიამ განაცხადა. მფლობელმა ადგილობრივ საკრებულოს კლუბის წილის ნაწილიც შესთავაზა, რომლის გადაფორმების შედეგად, იმერლები დახმარებას მიიღებდნენ, 19 მარტს გამართულ სხდომაზე კი ზესტაფონის საკრებულომ გუნდს დახმარებაზე პასუხი გაურკვეველი დროით გადაუვადა. რატომ ჩაიშალა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც გუნდი სუბსიდირებას მიიღებდა და როგორ დაასრულებს გამოსვლას ჩემპიონატში „ზესტაფონი“ – „პრაიმტაიმი“ საქმის დეტალებით.**




## „ზესტაფონს“ ადგილობრივმა საკრებულომ დაფინანსებაზე უარი უთხრა

რამდენიმე თვის წინ, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონსა“ და ადგილბრივ ხელისუფლებას შორის შეთანხმება შედგა, რომლის მიხედვითაც, გუნდის ნახევარს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მიიღებდა, სანაცვლოდ კი გუნდში სუბსიდირებას გასწევდა და მის გადარჩენაში ლომის წილს დაიდებდა.

კლუბის მეპატრონემ, ილია კოკაიამ, პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ მისი, როგორც კერძო კლუბის გადასახადებიდან მუნიციპალური დაფინანსების გუნდები ფინანსდებოდნენ, მას კი სახელმწიფოსგან არანაირი შეღავათი არ ჰქონდა. ამრიგად, კოკაიას წინადადება იყო ასეთი - ნახევარი მფლობელობაში გადაეცა ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის და რა დაფინანსებასაც ადგილობრივი თვითმმართველობა გაიღებდა გუნდისთვის, მინიმუმ ერთი იმდენ ინვესტიციას, თავად ჩადებდა გუნდში.

გულშემატკივრების მოლოდინი, რომ დღე-დღეზე კლუბის სასარგებლოდ გადაწყდებოდა საქმე, ფუჭი აღმოჩნდა. საკრებულოს 19 მარტს გამართულ სხდომაზე, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, კახა შავგულიძემ, „რაღაც“ ხარვეზები აღმოაჩინა, საქმის განხილვა კი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

როგორც კახა შავგულიძემ ტელეკომპანია „ტვს“-თან საუბარში განაცხადა, ის არც კი დაინტერესებულა, ვინ, რა დონეზე და რა პირობებით მუშაობდა ამ თემაზე.

**კახა შავგულიძე, ზესტაფონის საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე:**

„მე არ მაქვს ინფორმაცია და არც დავინტერესებულვარ, ვინ, რა დონეზე და სად, რა პირობებით მუშაობდა ამ თემაზე. ჩვენ, იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოგვივიდა 11 მარტს კორესპონდენცია, ელექტრონული ვერსია დაგვეწერა და 11 მარტსვე დავიწყეთ კომისიის რეჟიმში მასზე მუშაობა. 12 მარტს, ჩვენი მითითების საფუძველზე, ვნახეთ, რომ დოკუმენტები არასრულფასოვნად იყო წარმოდგენილი და გარკვეულ რისკებს შეიცავდა, პარტნიორად შესვლის თვალსაზრისით რომელიმე შპს-ში. ჩვენ საბიუჯეტო კოდექსი, „ბიუჯეტის შესახებ კანონი“ და თვითმმართველობის კანონი გვავალდებულებს ამას და გვაქვს კიდეც პრეტენზია, ვიყოთ გონივრულები და ამომწურავად ჩავიხედოთ საქმის ვითარებში, როდესად შედიხარ შპს-ში და აფუძნებ შპს-ს“.

**„ვნახეთ, რომ დოკუმენტები არასრულფასოვნად იყო წარმოდგენილი და გარკვეულ რისკებს შეიცავდა, პარტნიორად შესვლის თვალსაზრისით რომელიმე შპს-ში“**

კახა გეწაზე, საკრებულოს უმცირესობის წევრი აცხადებს, რომ შეთანხმება, რომელიც რამდენიმე თვის წინ მუნიციპალიტეტსა და კლუბს შორის გაფორმდა, სოციალური პროექტია და მას მხარში დგომა და მხარდაჭერა სჭირდება.

**კახა გეწაძე, ზესტაფონის საკრებულოს წევრი:**

- როგორც იცით, კლუბსა და მუნიციპალიტეტს შორის რამდენიმე თვის წინ მოხდა შეთანხმება, რომ წილობრივი მონაწილეობა უნდა მიეღო მუნიციპალიტეტს ამ გუნდის გადარჩენაში, ასე ვთქვათ და შემდგომ რჩენაში. რამდენიმე თვის შემდეგ ვიგებთ, რომ თურმე ეს არ შეიძლება კანონით. ვფიქრობ, მუნიციპალიტეტი და ხელისუფლება უნდა დაფიქრებულიყო, სანამ ხელშეკრულებას დადებდა კლუბთან და დღეს წარმოგვიდგინეს, როგორც ბიზნეს პროექტი. ჩვენ ვთვლით, რომ ეს ბიზნეს პროექტი კი არა სოციალური პროექტია, ამ სოციალურ პროექტს სჭირდება მხარში დგომა.

„ზესტაფონის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი და ამავდროულად, ზესტაფონის საკრებულოს წევრი, სერგო ფუტკარაძე განმარტავს, რომ ადგილობრივმა საკრებულომ, ეს საკითხი იურიდიულად მოუმზადებლად ჩათვალა და დროებით გადადება გადაწყვიტა.

**სერგო ფუტკარაძე, „ზესტაფონის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელი:**

- რამდენიმე კვირაა ამ რეჟიმში ვართ, საბუთებს ვამზადებთ და ვაწვდით საკრებულოს, მუნიციპალიტეტს, მათთან კოორდინაციაში ვმუშაობთ. ერთი საკითხი იყო, რომელიც ჩვენ თავად წამოვწიეთ. საფეხბურთო კლუბში ბიუჯეტის ბალანსი ცვალებადია, ხან მინუსში ხარ, ხან პლუსში. ახლა მინუსი იყო დაფიქსირებული და მასაც ჰქონდა ახსნა. ვიკითხეთ, ამაზე პრობლემა ხომ არ შეიქმნებოდა. გაიარეს გუბერნიაში კონსულტაცია, სადაც ასეთი რჩევა გაიცა, რომ ეს პრობლემა არ იყო, ვალდებულების შესახებ ნოტარიულად უნდა დამოწმებულიყო, რომ ამას კლუბი აიღებდა თავზე და ესეც შესრულდა. ეს საბუთიც წარმოვადგინეთ, ახლა პოზიცია შეიცვალა, ეს საბუთი საკმარისი არ ყოფილა. კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, საკრებულოს მიერ წერილობით წარმოდგენილი ყველა მოთხოვნა შეასრულოს, მაგრამ ეს მოთხოვნა ამ დრომდე არ მიგვიღია კლუბში. ჩვენ გვინდა, ხელმეორედ აღარ გაჩნდეს მოთხოვნები და ყველაფერი წერტილ-მძიმით გარკვეული იყოს.

**სერგო ფუტკარაძე: „კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, საკრებულოს მიერ წერილობით წარმოდგენილი ყველა მოთხოვნა შეასრულოს, მაგრამ ეს მოთხოვნა ამ დრომდე არ მიგვიღია კლუბში. ჩვენ გვინდა, ხელმეორედ აღარ გაჩნდეს მოთხოვნები და ყველაფერი წერტილ-მძიმით გარკვეული იყოს“**

სერგო ფუტკარაძის თქმით, შესაძლოა იყვნენ კონკრეტული პირები, რომლებსაც ამ საქმის გაკეთება არ სურდეთ, თუმცა, მთლიანობაში განწყობა ისეთია, რომ გუნდის დახმარება მოხერხდეს. რაც შეეხება კახა შავგულიძის განცხადებებს, სერგო ფუტკარძისთვის გაურკვეველია, რა იყო მოუმზადებელი.

„ზესტაფონის“ ფეხბურთელებს ორი თვეა ხელფასები არ აუღიათ. კლუბის პრესატაშე სწორედ კლუბში არსებულ ფსიქოლოგიურ ვითარებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ასე უსასრულოდ, გუნდის „ნისიაზე“ თამაში ვერ გაგრძელდება.

„კლუბში არსებული ვითარება დადებით ფსიქოლოგიურ განწყობას ვერ ქმნის გუნდსა და კოლექტივში. ესაა სანერვიულო. მხოლოდ „შუქურასთან“ თამაშს არა, უკვე ორი თვეა „ნისიაზე“ ვთამაშობთ. გუნდის ქობულეთში ჩასვლას, სასტუმროში განთავსებასა და კვებას 3000 ლარამდე სჭირდებოდა, რომელიც ქველმოქმედებით შეგროვდა. ერთ-ერთმა ბიზნესმენმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, კლუბს 1000 ლარი შესწირა, მეორე ათასი ლარი კი ფეროშენადნობთა ქარხნის თავმჯდომარემ, ვასილ გერეგამ აჩუქა გუნდს, საწვავით იმერლებს ფეხბურთის ფედერაცია დაეხმარა და სწორედ ამის ხარჯზე მოხერხდა ქობულეთში გამგზავრება. ფეხბურთელები უხელფასოდ და უყველაფროდ ასრულებენ მოვალეობას სულით და გულით, მაგრამ ასე უსასრულობამდე ვეღარ გაგრძელდება“.

თუკი ზესტაფონის საკრებულო დროულად არ გადაწყვეტს საკუთარი ქალაქის გუნდის დახმარების საკითხს, „ზესტაფონი“, სავარაუდოდ, სეზონს ვერ ჩაამთავრებს. დაპირებისამებრ, კლუბში ერთი ლარის ინვესტიციასაც აღარ განახორციელებს, ჯერჯერობით ერთადერთი მფლობელი ილია კოკაია, რომელმაც 2004 წლიდან დღემდე ეს გუნდი მხოლოდ საკუთარი ფინანსებით მოიტანა.



**კახა გეწაძე: „ჩვენ ვთვლით, რომ ეს ბიზნესპროექტი კი არა სოციალური პროექტია, ამ სოციალურ პროექტს სჭირდება მხარში დგომა“**





**კახა შავგულიძე: „მე არ მაქვს ინფორმაცია და არც დავინტერესებულვარ, ვინ, რა დონეზე და სად, რა პირობებით მუშაობდა ამ თემაზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N11 (312) ორშაბათი, 23 მარტი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

იქს ფაქტორი



# ჟიურის წევრების დაპირისპირება „X ფაქტორის“ კულისებში exclusive



europe-bet.com

**ნიკა ჟანტურია:** „ვფიქრობ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი აქციაა ფეხბურთის განვითარებისთვის. მოვედი დღეს, გავეცანი გულშემატკივრებს, ავტოგრაფები დავარიგე“

exclusive



## ეკა ხოფერიას გულახდილი ინტერვიუ „პრაიმტაიმთან“

„გიხარია მეორე დღე როცა თენდება და ეს ადამიანი შენთან არის... ეს ძალიან მაგარია“



## სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე ახალ რომანშია მხილებული

exclusive

## გიგი მიგრიაულმა ცოლი მოიყვანა



„იმუნიტეტი მაქვს. გული არ მტკივა. ნინო ერთადერთია, ვინც გულამდე მოვიდა, დანარჩენებს ტვინის იქით არ ვუშვებდი“

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



„როგორც გავიგე, სალომეს გიორგის „ფეისბუქი“ უნახავს, წაუკითხავს „ჩათი“ გოგოებთან და მათ შორის ჩემთან“

## გახდა თუ არა ბაბეტა გიორგი ვარდოსანიძისა და სალომე ჭაჭუას exclusive ოჯახის დანგრევის მიზეზი



## თემურ უგულავას პირველი ცოლი - თეო ფერაძე თოთხმეტწლიანი exclusive დუმილის შემდეგ

„იმ ქალმა იმდენი გააკეთა... მოკლედ, რაც გააკეთა. მე არ ვარ იმ ტიპის ქალი, კაცი, რომელსაც ჩემგან წასვლა უნდა, ძალით დავაკავო“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება